

8.12.09.33

FS 1067

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՖԻԼԻՍՏՐՖԻԿԱԿԱՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ



№ 4067

IV



ა ლ მ ა ნ ა ს ი

შ ე დ გ ე ნ ი ღ ი

გ. თუშანიუზვილისაგან

I

—

ტფილისი

ექვთიმე სელაძის სტამბა

1878

899.962.1-2



აღმანასი

შედგენილი

გიორგი თუმანიშვილისგან.

8702
K

I.



ტფილისი

ექვთიმე სულაძის სტამბა.

1878

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Декабря 1877 г.

FS 1067

28 ს. გ. 1837, (15 x 9), 205.

სამიებელი

I. შვიდი ლექსი თ. ალექსანდრე ჭავ- ჭავაძისა	1
II. ჟორჟ დანდენი, კომედია სამ მოქმე- დებათ მოლიერისა.	8
III. სამი ლექსი თ. მიხ. ბირთვ. თუმა- ნიშვილისა	88
IV. ეკონომიური სურათები (გადასახლე- ბა.—საფრანგეთი.—ინგლისი) . . .	92
V. შარშანდელ ქართულ მწერლო- ბის გადათვალეერება	128
VI. პატარა წერილი დიდ საქმეებზე .	155



შეთავრები შეტოვებები:

- 24 გვერდზე, 4 სტრიქონში ზევიდამ დაბეჭდილია: „ბუტრანი“, უნდა იყოს: „ბეტრანი“.
- 28 გვ., 6 სტრ. (ზევიდამ) დაბეჭდილია „კლოდინა“, უნდა იყოს: „კლოდინას“.
- 44 გვ., 12 სტრ. (ზევიდამ) დაბეჭდილია: „იმათ შეგირთესთ თქვენ“, უნდა იყოს: „იმათ შეგრთესთ თქვენ ცოლი“.
- 44 გვ., უკანასკნელ სტრიქონში დაბეჭდილია: „მინდა ცოტათ მაინც ვინანო დიდ-კაცობა“, უნდა იყოს: „მინდა ცოტად მაინც ვნახო დიდკაცობა“.
- 47 გვ., უკანასკნელ სტრიქონში დაბეჭდილია: „დედ-სმამა“ უნდა იყოს: „დედ-მამას“.
- 61 გვ. 7 სტრ. (ქვევიდამ) დაბეჭდილია: „სალხის“, უნდა იყოს: „სახლის“.
- 121 გვ., 6 სტრ. (ზევიდამ) დაბეჭდილია: „როცა ისინი იყვნენ წინააღმდეგ ბატონ-ყმობის“, უნდა იყოს: „როცა ისინი არ იყვნენ წინააღმდეგ ბატონ-ყმობის“.
- 157 გვ. 7 სტრ. (ქვევიდამ) დაბეჭდილია: „ღავანებებ თავს“, უნდა იყოს: „ღავანებებ თავს“.

ზვიდი ლეჰნი თ. ალექსანდრე ჰაგვაპაძისა *)

ქვირფასო საყვარელო, მხოლოდ ძეგლობო გულისაჲ,
წამელსაცა სსვა მზგაკსი არა სად გეპოება,
შენ გეტრფი, შენგან ვცოდნსლებ, სულა ჩემისსუ-
ლისაჲ!

მარამ სურვილი ვითა სრულად გამოითქმება?
ბუჩუბაში საცა რას ვხედავ შენუბის მქონეს,
შენი საამო სახე ყველგან მიდგს თვალთა წინა,
არ მციდდები სედვითგან, მარადის შესსა მგონეს:
ზღვითრე გარდმოსულთა ვსჭვრეტდე გრაცათა გინა:
ოდეს აღვიდებ კალამს, ესოდენ მარჯვს სასუსვოდ,
რომე ვინარო წერითა შენისა სასელისა;

*) ჩვენ ვიზოვეთ განსვენებულ თ. მისეილ ბირთველის მის თუმანაშვილის ქალაღღებში იმისთანა ლექსები ალ. ჭავჭავაძისაჲ რომელნიც, რამდენადაც გვალსოუს, აქამდი არსად არ ყოფილან დაბეჭდილნი. იქილამ შვიდი ლექსი ავიღეთ ამ წიგნში დასაბეჭდათ და დანარჩენები კი გადაგვციით იმ ბირთ, რომელნიც აგროვებენ ალ. ჭავჭავაძის ლექსებს და ანარჩებენ იმათ გამოცემას ამ უცოცა სახში.



ქართული
ლიბრარიონი

სსკათა ყველათ საქებრად ჩანგი მშთაძია უხმოდ,
შენ მხოლო ხარ აღმსთობით აღმძვრელი ძისის ხმისა.

(შენთანა ვარ, თუ სსკაგან, მასღობლად, თუ შორს
ქმნილად,
ღვინად, შვებად, განცხრომად შენი ოდენ მაქვს
ტროფობა;

სოფელსა ამას შინა შენ მხან ყოველ კეთილად,
გულს შენგან აქვს სიტოცხლე, და სიტოცხლეს დატ-
კობა.

საცა გინდა ვიუმცა, გარეთ, შინ, სოფლად, ველად,
შენი შვენების ხატი ვითა განმეშორების?

მას ქქმნია ჩემს გრძობაზედ სურვილი შთამ-
ბეჭედელად,
ხედვა მის მზექს ძილადმდე და ფიქრი მასთან
ჭსტებების.

თვით ყამსაცა ძილისას ხარ მაქვს ბედი მწერომე:
სიზმარი მასმენს შენგან გამომხდარს ნაზსა ხმასა.
განვიღვიძებ — ჩემთან ხარ და სიამით ვჭსედ რომე,
გულს შენ უწინ ჭსტემნათელს, კიდრე მზე ქვეყანასა.

II.

მე შენ არ გეტყვი: გეტროფი, ვითა სსკანი გეტყვიან.
ბეჭრი გარწმუნებს გეტროფი, გულისთ ვი სსკაგან რბიან.



მხლოდ ეს ლექსი: გატრფი, ნეტა რას ძალსა
მქონობს?

ცუდ არს: გატრფი და გატრფი, თუ გულის ან
მიმელოდს.

ასეთი გატრფის: გატრფი, რომ ტრფობა ან იცოდეს:
სხვამ ნუთუ ვერ გრჩვას: გატრფი, და გულში გი
იწოდეს!

ნუ ელი მეც გრჩვა: გატრფი: დუმილს ვრაცხ უმ-
ჯობესად,
მარამ მეწმინე გატრფი საზომის უადრესად.

III

ჩემო სიამევე, შეგებავ, განცხრომისა სავსებავ!
იმრთელე მტირე ლექსნი, ჩემის ჭმუნვის დავსებავ!
ერგასო სინარულე, დამატებით ასებავ!
სულისათვის უტკბესო, გულის როგორ ფასებავ,
სატრფოვ და სასალექო ჩემის გულის ადვებავ!

მე ვით მოგვჩინოს ჭაზრნი, ვით სელ ვჭყო ქე-
ბის ფენას?
სად ვჭზოვო ისი ლექსნი, რომელ არა აქვს ენას?
ყოველად ბრძენთა ათინელთ ქებად ეყოფი შენ ასს,
ნარნარითა მშვენიერო, კეკელათა ნასებავ!

IV.

კ ა მ ე ნ ა ს ა დ მ ი .

... თუ ვითარის ტრფობით და აღტაცებით დიდით
შევიტვავ ბეჭედს შენსა, ჩემდამო წარმოგზავნიდეს,
ვეწმინდები მასა გულისა მსურველებით,
სურვის ძალის შემტებობედს და ჩვენს მკავშირებ-
ლად მქმნელს!

... იგი სამოწნო. სასურველი ბეჭედი
დაგწიებულ ვჭეო ჩემგან, არ ვმოწნო მარად—მარად,
მეის, სატრფობო ვამენავ, ეგ ბროლ-ფიქალი მკეჭდა,
ჩემდა მრისსანედ შექმენ, ტანჯულ მყავ მარად-მარად.

... თუ ესოდენ ძლიერ მიუწითომელ რხვრა ქმნილ,
ვინაწს ჩემდა მტანჯველად, ტრფობით გავშირებულნი?
შენ, ანგელროსო ჩემო, თვალ მშვენ, ბროლ-ფი-
ქალ-წყობილ,
შენ, მსოლოო ნუგეშო, შენ ჭკურნე გული წელული!

... რას მშვენნი მუხლნი შენნი ბალიშენ თავსა ჩემსა,
და მეც ვჭეტებობდი სრულად, ვფელობდი ბედს
... უამიერსა, —
... დიმილით საამუწით აცოცხლებდი სულს ჩემსა,
... ცოცხლებ მგზებარეს თვალთ ჭსკვრეტდი ჩემსაარესა.

ნეტა, სასიკამან შენმან, წყნარ-ტეზობილ-ფეკეობ-
ქმნილმან,
ნუთუ მარტო შემიძურო და დამდვა ვისეოს ჯაჭვნი?
არა, მაგრამ ბეჭედმან, ჩვენ დამკავშარებელმან,
სასსოვრად შენად იძუება სულის ჩემის გრძნობანი.

V-

რუსული სიმღერა.

(რუსულით)

ფერსა ბნელს, ფერსა შავს
შე გეტრფი მარად უამს:
არა ღროს ფერსა სსვას
არ გეტრფო, ვეიცამ ცას.
არას ძალს, არას გვამს
არა აქვს ეს უფლებს,
აშორვოს ფერსა შავს
ჩემი ტრფიალებს.

თუ მკითხავთ ფერსა შავს
რათ ვეტრფიალები,
ვიშრობენ და რა ვაქო
საყვარლის თვალები!

გინდ მე მან სასურმან
 მივიწუღე ახმა ვაძმს,
 მით გტრფოდე უდრეკლად
 თუქსა ბნელს, თუქსა შავს.
 თუქსა ვილად შავს,
 ცნობულმა მის საგანს, —
 მას შეგროვად ჩემსა სულს,
 მარად მის შეწირულს.
 სოფლითაც განსვლის უძმს
 ვისუდრებ თუქსა შავს,
 და ვიდრე მდის კვლაცსლებს,
 თვალს აწ მოგაშორებ.

VI

გულთა საწელავად გუზიდონს შენ უიღვენ ესე ისარი:
 მსტყორცნის საგანსა და ასობს, ეს იუოს გინა
 ის არი:
 გლან გულა! ანდამატისა წდუდე გარემოისარი,
 თვარ მოგწელავს იგი უცილოდ, რწად დაგიშთეს
 ის არი...

VII.

სვემ მიწვიძს მანანა;
მოძივლინა მან ანნა,
მასთან მოჭყევა მანანა,
მინანავს მან სანა.

საიანოუონე

(საქალაქისა-სა-საქალაქისა)

საქალაქისა-სა-საქალაქისა

საქალაქისა-სა-საქალაქისა
საქალაქისა-სა-საქალაქისა
საქალაქისა-სა-საქალაქისა
საქალაქისა-სა-საქალაქისა

საქალაქისა-სა-საქალაქისა
საქალაქისა-სა-საქალაქისა
საქალაქისა-სა-საქალაქისა
საქალაქისა-სა-საქალაქისა

საქალაქისა-სა-საქალაქისა
საქალაქისა-სა-საქალაქისა
საქალაქისა-სა-საქალაქისა
საქალაქისა-სა-საქალაქისა

117

ჯორჯ დანდენი

კომედია სამ მოქმედებად
მოლიერისა

(თარგმნილი ფრაიხჟულიდამ)

მოქმედნი პირნი:

ჯორჯ დანდენი, მდიდარი გლეხი.
ანჟელიკა, ჯორჯ დანდენის ცოლი.
დე-სოტანვილი, სოფელელი აზნაური, ანჟე-
ლიკას მამა.
დე-სოტანვილიის ცოლი.
კლიტანდრი, ანჟელიკას საყვარელი.
კლოდინა, ანჟელიკას მძახვე.
ლიუბინი, კლიტანდრის მსახური, გლეხი.
კოლინი, ჯორჯ დანდენის მსახური.
სცენა წარმოადგენს ჯორჯ დანდენის სახ-
ლის წინა ადგილს სოფელში.

მომავლება პირველი

სცენა I.

მარტო ჟორჟ ლანდენი.

ქვა საკვირველი რამეა აზნაურის ქალის შერთვა!
 მე რომ მიუერთნ კარგ ჭკუას ისწავლიან ის გლე-
 ხები, რომელთაც სურთ მალლა აწეკა და ჩემსავით
 დანათესაება კეთილმშობილებთან! კარგი-გვარის შვი-
 ლობა, რასაკვირველია, კარგი რამ არის! მაგრამ
 იმას იმდენი ცუდი საქმეც სხემებია, რომ
 სჯობია არ მიეკაროს კაცი. მე ეს გავიგე,
 როცა გავკრიე აზნაურებში; მაგრამ ძვირად კი და-
 მიჯდა ეს ჩემი გამოცდილება: ცხინი უძრავდებოდა
 ჩვენ თუფს და არა ჩვენ. ჩემისთანა მდიდარ კაცი-
 სათვისაც უფრო კარგი იქნებოდა, რომ შემერთო
 კეთილი და უბრალო გლეხის ქალი, ვინამც ამეუგ-
 ნა ცოლათ ის, რომელიც იწეკს ჩემზე ცხვირს და
 ეთავილება ჩემ გვარის დარქმევა; მითომ იმდენი
 არ დამხარჯოს იმაზე, რომ ღირსი ვიყო იმის



ქმობისა! უორუ დანდენო! უორუ დანდენო! შენის-
 თანა ტუტუტობა ჯერ არ მოუსდენია აჩავის ქვე-
 ყანაზედა. ჩემი სახლი ესლა შევე მამინებს და ისე ვერ
 შევალ იქ, რა რამე მწუხარება არ დამხვდეს.

სცენა II.

ჟორჟ დანდენი და ლიუბინი.

ჟორჟ დანდენი. (თავისთვის, რა ნახავს თავის
 სასლიდამ გამოსულ ლიუბინს). რა უმძევმა მოათრია
 ეს ტუტია ჩემ სახლში?

ლიუბინი. (თავისთვის, რა ნახავს უორუ დანდენს)
 ეს გილაც არის რეგორ შემამტყერია!

ჟორჟ დანდენი. (თავისთვის) ეს მე ვერ მიტ-
 ნობს.

ლიუბინი. (თავისთვის) რაღაც ეჭვშია.

დანდენი. (თავისთვის) უჰ! თავის დაკვრაც ეძე-
 ლება.

ლიუბინი. (თავისთვის) მეშინიან არ ვის შეატ-
 ყობინოს, რა მე გამოველა ამ სახლიდამ.

დანდენი. გამარჯვება!

ლიუბინი. გაგამარჯვოს!

დანდენი. თქვენ აქაურობა ანა ბმანდებით, მე
მგონია.

ლიუბინი. ანა, მარტო სვალინდელ დღესასწა-
ულს სანახავათ მოკვლ.

დანდენი. ერთი მათხარით, თუ არ შეგაწუხებთ:
თქვენ ამ სახლიდამ გამომხველით?

ლიუბინი. უუუ!

დანდენი. რა?

ლიუბინი. ჩუმათ!

დანდენი. რა არის?

ლიუბინი. დაჩუქდით! არავის არ უნდა უთხ-
რათ, რომ აქედამ გამომსული მნახეთ.

დანდენი. რატომ?

ლიუბინი. ღმერთო ჩემო! იმიტომ...

დანდენი. თქვით რაღა, რატომ?

ლიუბინი. ჩუმათ! მეშინიან არკინ დაკვივდოს
ეუ^ო.

დანდენი. ანა, ანა.

ლიუბინი. მოკვლამ ამ სახლას ქაღბატონთან;
სიტყვას მაქვს გადასაცემი იმის საყვარლასგან; ეს
არავინ არ უნდა გაიგოს, გკსმით?

დანდენი. მესმის.

ლიუბინი. იმიტომ რომ დამარცხდეს გაფრთხილები, ანუ დაენახვოდ. გთხოვთ მაინც ანაზის უთხრათ, რა მე მნახეთ.

დანდენი. რა სელი მაქვს.

ლიუბინი. მე სინაზულაით ავასრულეს სოლმე საიდუმლო დარიგებას.

დანდენი. კაი საქმეა.

ლიუბინი ქმარი, ამბობენ, ეჭვიანიად, არ უნდა, რომ სხვას უყვარდეს იმის ცოლი; და ამ ამბავს რომ ქმარმა უური მოჭკრას, გაცოფიანდება. სომ გესმით კარგად?

დანდენი. ძალიან კარგად.

ლიუბინი. იმან ანაფური არ უნდა იცოდეს ამასე.

დანდენი. რასაკვირვებლად.

ლიუბინი. ჩემ-ჩემად უნდათ იმის მოტყუება. სომ კარგად გესმით?

დანდენი. უკეთესად ზღარ იქნება.

ლიუბინი თუ წავივალთ და ერთეოთ იმას, რომ აქედამ გამოსული მნახეთ, სულ-ძოლად წამისდენთ საქმეს. სომ კარგად გესმით?

დანდენი. მშვენივრად... ჭო! რა ჭკვიან იმას, ვინც თქვენ აქ გამოგზავნა?

ლიუბინი. ჩვენებური ბატონია, ვიგონტი...ვიგონტი...ფუ! სულ მავიწყდება რას ეძახიან. დასწყევლა დემეტრე! ბატონი კლა...კლატანდრი.

დანდენი. აი ის სახეგახდა, რომელიც დგას..

ლიუბინი. დიას, ამ სეკბთან..

დანდენი. (თავისთვის) მაშ აი რასთვის გადმოსახლებულა ჩემ მეზობლათ ეს ზატაოსანა ბატონი. კარგად მცოდნია სუნით შეტყობა; იმის მეზობლობამ რეუილად კი არ გამეკვირვინა.

ლიუბინი. ქრასტეს მადლმა! იმისთანა ჰატიოსანი გაცი თქვენ დღეში არ გუნახებათ. იმან სამი ოქრო მანუქა მარტო იმისთვის, რომ შეთქვა იმის სიუვარულზე აქაურ ქალბატონისთვის და რომ ჩემ ბატონს სურს იმასთან დაზავი. სომ ნახეთ ბევრად დავიღალე თუ არა, რომ ამდენი ფული მიმეღო; მთელი დღე რომ შემუშავნა, რამდენიმე გროშის მეტს ვერას მოვიგებდი.

დანდენი. მეტი, რაც მოგანდეს ახარულე?

ლიუბინი. დიას. მე იქ ვიპოვე ერთი კლადინა, რომელიც მაშინვე მისვდა რაცა მსურდა და თავის ქალბატონთან მალეზავა.

დანდენი. (თავისთვის) აჰ, საძაგელა გოგო!

ლიუბინი. დემეტრე! რა ღამაში რამ არის ის

გლადინა! გული მომიგო იმან და რა დათანხმდეს
ამ წამსვე შევირთავ.

დანდენი. მეზე რა ზასუნი მისცა ქალბატონმა
თქვენ დიდკაცს?

ლიუბინი. მითხრა გადავცე...მაცა, მგონია,
ალბატ გი მალსოვს!..ხე, უთხარ რა დიდად მად-
ლობელი ვარო თქვენ გძნობის გამცნადებისათვის
და რადგანაც ეწთი უვნაური რამ არის ჩემი ქმა-
რიო, ჩუმი-ჩუმიად უნდა წავიუყანოთ საქმეო და იმის-
თანა რამ უნდა მოვიგონოთ, რომ შეგვეძლოს ჩუ-
მიად ერთმანერთთან ლაზარაკიო.

დანდენი. (თავისთვის) აჰ! უნამუსო ცოლო!

ლიუბინი. დემრთი არ გამიწყურეს! საცინელი
რამ იქნება! ქმარს ხომ თვიქრათაც არ მოუვა, რა
ცოლი ჭლალატობს; კარგი ის არის, რა ის ვერა-
ფერს იქს თავის ეჭვიანობით, სასტათ დარჩება.

დანდენი. მართალია.

ლიუბინი. მშვიდობით! მაინც გი არ გამცეთ!
კარგად უყურეთ, რამ არ შეიტყოს ქმარმა ეს სა-
იდუმლო.

დანდენი. კარგი, კარგი.

ლიუბინი. მინდა თავი მოვიკატუნო, მითამ
აწაფერიო. მე ისეთი ცბიერი ვარ, რომ ვეწვინ ვერ
გაიგებს ჩემ ცბიერებას.

სცენა III.

ჟორჟ დანდენი.

ეგზე, ჟორჟ დანდენო! სომ ხედავ, როგორ გე-
ყრება შენი ცოლი! აი რა აწის აზნაურის ქალის
შერთვა! როგორც უნდათ ისე გაოცდებენ და ჯავ-
რის ამოყრაც ვი აწ შეგიძლიან; აზნაურება შენ
გინახავს ხელ-ფეხ შეკრული! ჯავრი სომ მანც შე-
გიძლიან ამოიყარო შენ ცოლზე, თუ ერთ წოდე-
ბისა ხართ მრევნი; და ცოლათ რომ გლესის ქა-
ლი გულოდა, სომ შენ თითონ მოახდენდი სამაჩ-
თაღს და გუღს გაიგრილებდი ცოლის ღაზათიან
მიბერტყვით. მაგრამ შენ გინდოდა დიდ-გაცობის
გემო გენახა და ამან მოგაბეზრებინა შინ ბატონ-
ნობა. აჰ! რა გული მამდის, მზათა ვარ შემოვარ-
ტუა სილუბი ჩემ თავს. რაო? ჩემი ცოლი ურცხვად
უგდებს ყურს აზნაურის სიყვარულის გამოცხადე-

მას, ვინც იძევებს იმავ დროს მიწურ-მეწურას! ფუ!
აღარ მოკვანდენიებს მე მავ სავქეებს, ესლავ უნდა
წავიდე იმის დედ-მამას შევატეობინო, რანაირად
მკვავრებს და მწუსებს იმათი ქალი. მავრამ აკურ
ისინიც მადიან.

სცენა IV.

დე-სოტანვილი, იმის ცოლი და ჟორჟ
დანდენი.

დე-სოტანვილი. რა არის, ჩემო სიძევ? გავ
ვავრებს უფლი მეხვენებით.

დანდენი. მიზესი მაქვს და...

დე-სოტანვილის ცოლი. დმერთო ჩემო!
სიძევ, რა უზდელობაა: ვინმე რო გიანლოვდებათ,
თავს არც კი უვრავთ.

დანდენი. დმერთმანი! ჩემო სიდედრო, სულ
სსვავ რამე მაქვს ესლავ თავში და...

დე-სოტანვილის ცოლი. კიდევ! სავკვირვე-
ლია, ჩემო სიძევ, რა ცოტად იცნობთ თქვენებს
და ვერ შეიძლო გაცმა, ვერ გასწავლათ როგორ
უნდა მოაქცეთ ვარგ-გვარის შვილებში.



დანდენი. როგორა?

დე სოტანვილლის სოლი. ნუ მედგებით ხელზე და ნუ მეძახით „სიდედრო“; როგორც ვერ შეეჩვიეთ დაძინასთან; ქაღბატონო?

დანდენი ღმერთო! თუ თქვენ მე სიძეს მეძახით, მეორისა მეც მაქვს ნება დაგიძახოს თქვენ: ჩემო სიდედრო.

დე სოტანვილლის სოლი. ეგ სულ ერთი არ არის. იცოდეთ თუ ღმერთი გწყაძით, რომ თქვენ ჩემ გვარის კაცთან არ უნდა ინძახოთ ეგ სიტყვა; თუმცე ჩემი სიძე ბძანდებით, მაინც დიდი განსხვავებაა ჩვენსა და თქვენ შუა. ეს თქვენ უნდა იცოდეთ.

დე-სოტანვილლი. კარგი, ჩემო სულა, დავანებოთ მაგას თავი, გვეყოფა.

დე-სოტანვილლის სოლი. (ქაჩს) ღმერთო ჩემო! შენ იმისთანა ჩვილი გუფი გაქვს, როგორც ანაკის. და არ იცი, როგორ მოექცე იმას, ვინც შენგან დავალებულია.

დე-სოტანვილლი. უკაცრავათ, შენ მაგაში გეჭაფერს მასწავლი. მე ბევრჯერ მიჩვენებია ჩემ სიტყვასში ჩემ სასტიკ ყოფა-ქცევით, რომ ანაკის დავაძინებინებ ჩემ ღირსებას. მაგრამ ამ კაცი სთვის

820.2

ესლა საკმაოდ იქნებოდა მსოფლიოდ გაფრთხილება.
 ახა ერთი გვიბძანეთ, ჩემო სიძევე, რა გაწუხებთ
დანდენი. რადგანაც მოკლედ საჭიროა ლაპარაკი,
 უნდა მოგადსენოთ ბატონო დე-სოტანვილელი,
 რომ მე...

დე-სოტანვილელი. მაცადეთ, ჩემო სიძევე, იცო-
 დეთ, რომ უხდელბაა რაღაც კაცს იმის სახელით
 უძახით; ჩვენზე მაღალ კაცს უნდა უთხრათ მოკ-
 ლედ: ბატონო.

დანდენი. კარგით! მოკლედ ბატონო და ახა
 ბატონო დე-სოტანვილელი, მე მინდა თქვენ
 მოგადსენოთ, რომ ჩემი ცოლი...

დე-სოტანვილელი. უკუაა კარგი, მაგრამ ესეც
 იცოდეთ, რომ თქვენ არ უნდა თქვათ: ჩემი ცო-
 ლი, რაღაც ჩვენ ქალზე ლაპარაკობთ.

დანდენი. ჯერით არ ვიცი რა ვქნა! რაგორ!
 ჩემი ცოლი განა ჩემი ცოლი არ არის?

დე-სოტანვილელი. მართალია, ჩემო სიძევე,
 თქვენი ცოლია, მაგრამ ნება არა გაქვთ იმას ესე
 დაუძახოთ. ამნაირი თქვენი ქცევა შესაძლო იყო,
 თუ რომ შეგეგრთათ თქვენი ცოლი.

დანდენი. (თავისთვის) აჰ! უორჟე დანდენო, სად
 შეტოპე? (სმა მაღლა) აჰ, თუ დემოთი გწამთ,

8505

ერთ წამით დაივიწყეთ ებ თქვენი აზნაურობა და გამიგეთ, რასაც გეტყვით ჩემებურად (თავისთვის) დასწყევლათ ღმერთმა, რასა მტანჯამენ (დე-სოტან-გილს) მე თქვენ გეუბნებით, რომ გამყვანილი არა ვარ ჩემი ცოლის-შერთვითა.

დე-სოტანვილლი. მიჰყი, ჩემო სიძევ?

დე-სოტანვილლის ცოლი. ეგრე როგორ ლაზარაკობთ იმ საქმესე, რომელმაც მაგდენი სარგებლობა მოგიტანათ?

დანდენი. რა სარგებლობა, ქალბატონო? მართალია, ეს საქმე სასარგებლო იყო თქვენთვის, რადგანაც უხემოთ, თუ არ გაწეინებათ, თქვენი საქმეები დასლართულები იყვნენ და ჩემმა ფულმა დაგიღონათ ბევრ სათაბაღიღამ. მე, მე კი რა მოვიტე, თუ ღმერთი გწამთ მითხარით, იმით, რომ გვარც გამიგრძელებთ და ყოჩაყ დანდენის მაგიერად, თქვენ გადაძვიდეთ, მქვან ბატონი დელა-დანდინიერი?

დე სოტანვილლი. მაშ, ჩემო სიძევ, არაფერად აგდებთ იმას, რომ დაენათესკენით დე-სოტანვილლებს?

დე-სოტანვილლის ცოლი. და დელა-ზრუდოტაერებს, რომელთაც მე ვეკუთვნი და რომელნიც გააზნაურებენ თქვენ შვილებს.

დანდენი. დიას, აი კაი საქმე: ჩემი შვილები აწნაურები იქნებიან და მე გი მოტყუებულად ქმარი.

დე-სოტანვილლი. რა გინდათ მაგით სთქვათ, ჩემო სიძევ?

დანდენი. მინდა ვთქვა, რომ თქვენი ქალი ისე არ იქცევა, როგორც ეკადრება ვატიოსსან ცოლს, და უპატიურად უჭირავს იმას თავი.

დე-სოტანვილლის ცოლი. კარგი! ფრთხილად ილაპარაკეთ. ჩემი ქალი ისეთი ვატიოსსან ჩამომავლობისაა, რომ არას დროს ის უპატიურად არ მოიქცევა. მადლობა დმერტს, აგერ სამასი წელიწადია პრუდოტიერებისსახლიდამ იმისთანა ქალი არ გამოსულა, რომ აელაპარაკებინოს თავისზე ქვეყანა.

დე სოტანვილლი. დმერტმანი! დე-სოტანვილლების გვარში არ გაგონილა კობწია ქალი; ჩამომავლობით ჩვენში როგორც ვაჟებს დასჩემებიან სიამაძე, ისე ქალებს უმანკობს!

დე-სოტანვილლის ცოლი. ჩვენში იყო ერთი უაქოლინა დელა პრუდოტიერისა, რომელმაც არ მინდომა ცხოვრება ჩვენ მხრის დუბერნატორთან და თავადთან.

დე-სოტანვილილი. იუჲ კრთიმსტიუჩინა დე-სოტანვილილისა, რომელმაც უაჩი უთხრა სელმწიფის შინა კაცს, რომდისაც ეს ამდგადა ამ ქალს ღრ ათას თუმანს მხალღოდ სამუსაიფოთ.

დანდენი. ჭო! თქვენი ქალი გი ეგრე მიუკარებელი არ არის და რაც ჩემთან არის დაშინაურდა.

დე-სოტანვილილი. ამიღსენით ჩემო სიძეე, რაშია საქმე. ჩვენ იმისთანები არ განლაგართ, რომ ავიტანოთ უსიძესვო ყოფა-ქცევა ჩვენი ქალისა და სუუველასე აღრე, ჩვენ, იმის დედა-მამა, გამოგესარჩლებით თქვენ.

დე-სოტანვილილის ცოლი. დავ ნებოთ თავი პატიოსნობასე სუმობას. ჩვენ ჩვენი ქალი გავვიზდია ნამუსიანად.

დანდენი. აი რა შემიძლიან მე თქვენ მოგაღსენოთ: არის აქ ერთი კარგი გვარისშვილი, რომელიც თქვენ გინახავთ; ის ჩემ თვალწინ ეარშიეობა ჩემ ცოლს და ესეც მართმინებით უუჩს უგღებს იმის სიყვარულს გამოცხადებას.

დე-სოტანვილილის ცოლი. ქრისტეს მადლმა! მე თითონ ჩემივე ხელებით დავადრწობ იმას, თუ რომ იმან მიყენა თავის დედას მაგვარად უპატიურებას.

დე-სოტანვილილი. დეკრთმანი, ჩემ სმალზე
ავაგებ იმ ფრანტსაც და ჩემ ქალსაც, თუ რომ
ბძან თავი გაიპატოურა.

დანდენი. სამართაფსა გთხოვთ მე თქვენ ესლა.

დე-სოტანვილილი. ნუ შესწუსდებით! რჩივს
გაგარჩევთ და მე დაუყენებ თვალებს დამნაშავესა.
მეკე დაწმუნებულნი ვი ბძანდებით თქვენ ნაამბობის
სინამდვილეში?

დანდენი. სწორედ.

დე-სოტანვილილი. მაინც ფრთხილად იყავით; ამ
გვარსი საქმეები მოსარიდებულნი არიან კეთილმშობი-
ლებში და აქ უადგილად წინდაუსკდავობა.

დანდენი. გეუბნებით, მე თქვენთვის სიტყვა
ტყუილი არ მითქვამს.

დე-სოტანვილილი. ჩემო გულო, წადი მთე-
ლანაწარკე შენ ქალს; მე და ჩემი სიმე მრეკლანაწარ-
კებით იმ კაცს.

დე-სოტანვილილის ცოლი. შესაძლოა განა,
რომ მაგნაირად დაეკიწუა თავის პატრივი ჩემ ქალს,
როცა ის ჩემში ხელავს მსოფლოდ კარგ მაგალითს.

დე-სოტანვილილი. გავარჩიოთ საქმე. თქვენ,
ჩემო სიმე, მე მომდიეთ და ნუ შესწუსდებით.



თქვენ ნახავთ, რა ცხარედ ვეკიდებით საქმეს, რა-
ცა შეურაცხველი იმათ, რომელნიც ჩვენ გვე-
კუთვნიან.

დანდენი. აგერ ის კაციც მოდის ჩვენკენ.

სტენა V.

დე-სოტანვილი, დანდენი და კლიტანდრი.

დე-სოტანვილი. ბატონო, მიცნობთ მე თუ
არა?

კლიტანდრი. მგონია, ვერა, ბატონო.

დე-სოტანვილი. მე შეკვიან ბატონი დე-სო-
ტანვილი.

კლიტანდრი. დიდად მესიამოვნება თქვენი გაც-
ნობა.

დე-სოტანვილი. ჩემი სახელი ცნობილია
ხელმწიფის სასახლეში; მე ჩემი სახელგანდობაში
მგონდა ბედნიერება ვეოფილავიკ ერთ პირველთა-
განი ვეთილშობილთ კრებაში ნახსს.

კლიტანდრი. კითხვი.

დე-სოტანვილი. ჩემი ძამა უახუილ დე-სო-
ტანვილი იმდენად ბედნიერი გახლდათ, რომ მონ-



ქართული
ლიბრარი

ტახანის ვარით გაჩს შემოტყუმაში მოსწილე-
ბა მიიღო.

კლიტანდრი. მოსარული განლაგართ მაგ ამბოვით.

დე-სოტანვილლი. მე შეაკდა შავა უტრან-
ნი დე-სოტანვილლი, რომელიც ისეთი გამოჩენი-
ლი იყო თავის დროს, რომ მიიღო ნება გაეყიდნა
მთელი თავის ქონება სამსღვარ გარეთ გასამგზავ-
რებლათ.

კლიტანდრი. მკერა.

დე-სოტანვილლი. მე გამოვიას, ბატონო,
რომ თქვენ გიყვართ და დასდევთ კიდევ ერთ
ხალგაზდას, რომელიც განლაგეთ ჩემი ქალი; და
ისე ვესარჩლები იმას როგორც ამ კაცს (უჩვენებს
უორუ დაღესე), რომელიც იმდენად ბედნიერია,
რომ განდა ჩემ სიძეთ.

კლიტანდრი. ვინა? მე?

დე-სოტანვილლი. დიას. მე მოსარული გან-
ლაგართ, რომ თქვენ გელაპარაკებით და გთხოვთ
ამიღსნათ რას ნიშნავს ეს ამბავი.

კლიტანდრი. აი უცხრ ჭოჩი! ეს ვინ მო-
გახსენათ?

დე-სოტანვილლი. ერთმა ვინმემ, რომელმაც
მცის ეს ნამდვილად.

კლიტანდრი. ეგ ვილც აზის სტუუის. მე შა-
ტიოსანი კაცი გასლავართ. ნუთუ გგონიათ, რომ
მე მაგნირი ურიგო საქმის ჩამდენი ვიყუ. მე მიუ-
ვარდეს ახალგაზდა ლამაზი ქალი ბარონ დესოტან-
ვილლისა! ისეთი შატრივი მაქვს მე თქვენი, რომ მე
მაგას ვეკ ვაკბედავდი. გიყია, ვინც ეს გითხრათ.

დე-სოტანვილლი. აბა, ჩემო სიძეკ.

დანდენი. რა?

კლიტანდრი. ამის მთქმელი გაქნილი: სალა-
ხანა ვინმე უნდა იყოს.

დე-სოტანვილლი. (ყოჩუ დაღებს) უზასუსეთ.

დანდენი უზასუსეთ თქვენ თითონ.

კლიტანდრი. რომ მცოდნოდა ვის შექმლო
ეთქვა, მე თქვენ დასწრებაშივე გამოუვასავდი მუ-
ცელს იმას სძლიათ.

დე-სოტანვილლი. სმა ამოიღეთ რადა!

დანდენი. რაც გთქვი მართალია.

კლიტანდრი. ბატონო, განა თქვენ სიძემ...

დე-სოტანვილლი. დიან, ეგ გიჩავით.

კლიტანდრი. დმერთს მადლობა უთხრას, რომ
ის თქვენი სიძეა, თორემ ვასწავლიდი ამას რა-
გორ უნდა მაგვკობრი ლაპარაკი ჩემისთანა კაცზე.

სცენა VI.

დუ-სოტანვილლი, იმის სოლი, ანჟელიკა,
კლიტანდრი, ჟოკა და ნანენი და კლოდინა.

დუ-სოტანვილლის სოლი. საკვირველი რამ
აჩნის ეჭვიანობა! მომეყავს აჟ ჩემი ქალი, რომ გა-
მოაშქარდეს საქმე უველას წინ.

კლიტანდრი. (ახელოვას) ქალბატონო, თქვენ
გიბრძანებიათ ქმრისათვის, რომ მე თქვენ მიუვარ-
ხარო?

ანჟელიკა. მე? რატომ ვეტყუადი მე მაგას?
განს რამე აჩნის აჟ მართალი? ნუტავი არ იქნება,
რომ შემიყვარათ. აბა ერთი გთხროთ! გამოსცა-
დეთ; ნახავთ მაშინ ვისაც უღაპარაკებით; გაბედეთ
და მეაჩმიუეთ: ერთი თავის გასართობათ გამი-
მიგზავნეთ მცნაქულები, საიდუმლოდ მომწერეთ
სარძიელ ბარათები; ელოდეთ იმ წამს, როდისაც
ჩემი ქმარი შინ არ იქნება ან მე გამოვალ შინი-
დაძი, და დამეღაპარაკეთ თქვენ სიუვარულზე. აბა
ერთი მობრძანდით და სიტყვას გაძლევთ, რომ ვარ-
გაძბც გი მიგიღებთ.



კლიტანდრი. ოჰ! ოჰ! ქალბატონო, დაწინა-
დით, ჩემთვის საჭირო არ არის მკვდენი დარიგება
და თქვენი თავის შეტყუება. ვინ მოგაღსუნათ, რომ
მე თქვენ აწმყოფაზე ვფიქრობ.

ანჟელიკა. რა ვინა, აქ ვი ამის ამბობენ.

კლიტანდრი. სხვას ათასი რომ შეუძლიან
თქვას, მაგრამ თქვენ სომ იცით, მითქვამს თუ არა
რამე თქვენთვის ჩემ სიუვარულზე, როცა შემხვედ-
რისართ.

ანჟელიკა. ეგლა გაკვდათ; კარგადაც იქნებო-
დით მიღებულა.

კლიტანდრი. გარწმუნებთ, ჩემი არ უნდა გე-
შინაღესთ; მე არ გახლავარ იმათგანი, რომელიც
მოსეხებას არ აძლევს ღამაზ ქალებს; და იმდენათ
შატოვი მაქვს თქვენი და თქვენი მშობლებისა, რომ
ფიქრათაც არ მომივა თქვენთან აწმყოფა.

დე სოტანვილლის ცოლი. (ღანდენს) აბა!
სომ სედავთ.

დე-სოტანვილლი სომ დაკმაყოფილდით, ჩე-
შა სიძეე, ახლა წაღას იტყვიით.

დანდენი. მე ვამბობ რომ ეგენი ჭორებს მიტ-
ქარაძენ. რაც ვინა, მე კარგად ვინა დაუნდა სულ



გიოსრათ: ჩემმა ცალმა შიილმა ამ ვაჟსატონისაგან
მეცაქული

ანთელიკა. მე, მე მიმიღია, მეცაქული?

კლიტანდრი. მე გამიგზავნისა მეცაქულა?

ანთელიკა. გლოდინა!

კლიტანდრი. (გლოდინა) განა ეს მანათლია?

კლოდინა. დმეტოძანი საცდარი ჭოწია!

დანდენი. დაჩუმიდი, მე გარყვნილთ. მე ვინც
თქვენი ამბავი; შენ არ შეუძესი ქალბატონთან მე-
ციქულს?

კლოდინა. ვინა? მე?

დანდენი, სწორეთ შენ. ეგრე ჩუ იზრანტები!

კლოდინა. აჭა დმეტოძ! დღეს ეველა ეგრე
როგორ გადაწყულა; ასეთ ეჭვს იღებენ ჩემზე,
რომელიც ვარ თვით უმანკაება.

დანდენი. დაჩუმიდი პატრონსა სულა! ტყუილად
იკატუნებ თავს, მე ვინცა დიდისანია, რა ცუდლუ-
ტიც ბრძანდები.

კლოდინა. (ჩველ გს) ქალბატონო განა... ..

დანდენი. სმა ჩაიწვიტე მეთქი; შენ უნდა და-
ისზე ეველას მაგიერ, ახსნაუბშილი სამ მინც
აწა სარ.

ანჟელიკა. ეს ისეთი დიდი ცილის წამებია და ისე მაჭკვს გუფი აშოკათებუფი, რომ ზასუსინც ვერ გაშიცია. საშინელა რამ არის, როცა ქიარბი გაბრ-
ლებს იმას, რაც არის დროს არ მოგიქმედია. ჭო!
დამნაშავე ვარ, რომ შეტვლ კარგად გექცეოდით
თქვენ.

კლოდინა. სწორედ.

ანჟელიკა. ჩემი უბედურებებ ის იყო, რომ მა-
გას თავს ვეკლებოდი; ნეტავი მართლა სსგასთან
მეარბიუნა, მაინც ესე არ შეწყინებოდა ამდენი
აყალ-მაყალი. მშვიდობით; მე ველარ ავიტან ამდენ
უზატურებებს.

სცენა VII.

დე-სოტანვილლუბი, კლიტანდრი, ჟორჟ
დანდენი და კლოდინა.

დე-სოტანვილლის ცოლი. (ღახღეს) ღირ-
სია არა ხართ ამგვარ ჰატროსთან ცოლისა.

კლოდინა. დემეტრისი, მე რა ჩემ ქალბატო-
ნის ადგილას ვუფიფიფიფიფი, არ დავინდობდი ჩემ
ქმარს. ღირსია, რომ ამას მართალ-მართალი უთ-



სწან. (კლიტანდრს) დიას, ბატონო, თქვენ ამის დასასჯელათ უნდა შეიყვაროთ ჩემი ქალბატონი გთხოვთ გაბედოთ; კარგად წავა სჯიქე, მე თითონ მოგესმარებით, წადგანაც უიმისოთაც სომ დამწამეს. (კლოდინა გაღეს).

დე-სოტანვილი. დიასი ბრძანდებით, ჩემო სიკე, რომ ამგვარად გელაპარაკონ. თქვენი სჯიციელთ მთელი ქვეყანა გაიმტყრეთ.

დე-სოტანვილის ცოლი. ამის შემდეგ მაგნიჩად აღარ შესტდეთ, წადით, იფაქრეთ. როგორ უნდა უკეთესად მოექცეთ კარგ გვარის ქალს.

დანდენი. (იქით) ვბრძანდები, რომ მევე მამტყუნებენ, როცა მართალი ვარ.

საქმის დასრულება VIII. საქმის დასრულება

დე-სოტანვილი, კლიტანდრი და დანდენი

კლიტანდრი. (დე-სოტანვილს) ხომ ნასეთ, ბატონო, როგორ ცუდ-უბრალოდ მამრავლებდნენ. თქვენ გეტყვით კეთილმშობილთ ჩვეულება და ამიტომაც გთხოვთ დამაგმარებოდეთ.

დე-სოტანვილილი. მაგას მარტაღს ბრძანებით,
ეგრეს რიგი. ახს ჩემო სიძე, დაგვიყოფს
ეს ბატონი.

დანდენი. რა? დამეყოფილეთ?

დე-სოტანვილილი. დიას, ეგ არის სჭირს, რა-
ცა ცუდ უბრალოდ აბრალებენ. ასეთ რიგი.

დანდენი. თანახმა არ ვარ. ტყუილად არაფერი
დამიბრალებია. ჩემი ეჭვი უსაფუძვლო არ გახლავთ.

დე-სოტანვილილი. სულ ერთია; რა ეჭვიც
გქონდათ, ხომ ამას უსაფუძვლოთ იცნო. რამ არა
სტყუდება, უნდა დამეყოფილათ.

დანდენი. მის ჩემ ცოლთან მწოლარეც რა
კნახსო, უნდა წამოდგეს, და არ გატყუდეს, უარი თქვას?

დე-სოტანვილილი. ნუღარ იმართლებთ თავს,
ბოდიში მოსთხოვეთ, როგორც დაგარიგათ.

დანდენი. მე! მე უნდა მოვთხოვო ბოდიში
იმის უკან...

დე-სოტანვილილი. რა გირჩევთ უნდა გაბე-
დოთ; ნუ გეშინიანთ, ბევრს არას გათქმევინებთ.

დანდენი. მე არ ვინა ...

დე-სოტანვილილი. ღმერთმანი, ნუ ამიშფო-
თებთ გულს, თორემ იმის მხარეს დავიჭერ.
მოძენდეთ, მე გასწავლით.



დანდენი. (ქით) აჰ, ჟორჟ დანდენო!

დე-სოტანვილლი, პირველად თქვენ მოიხადეთ ქუდი: ეს ბატონი ახსნაურია და თქვენ კი არა.

დანდენი. (თავისთვის ქუდი სელბი) ვაკრით არ ვაგრძელებ! აჰ, აჰ!

დე სოტანვილლი. გაიმეორეთ რატ გითხრათ: ბატონო...

დანდენი. ბატონო.

დე სოტანვილლი. ბოდიშს ვინდი... (სედაგს რომ დანდენი არ ემოწონილებს) ეჭ!

დანდენი ბოდიშს ვინდი.

დე-სოტანვილლი. რა ცუდი აზრისა ვიყავ თქვენზე.

დანდენი. რა ცუდი აზრისა ვიყავ თქვენზე.

დე-სოტანვილლი. ეს იმიტომ მოხდა, რამდ თქვენა ცნობის ბედნიერება არა მქონდა.

დანდენი. ეს იმიტომ მოხდა, რამდ თქვენა ცნობის ბედნიერება არა მქონდა.

დე-სოტანვილლი, გთხოვთ მიტოვდეთ.

დანდენი. გთხოვთ მიტოვდეთ.

დე სოტანვილლი. თქვენ უმოწონილეს მონათ.

დანდენი. გინდათ, რამდ იმის უმოწონილესი მონათ ვიყო, ვინც მე მატყუებს?

დე-სოტანვილილი. ექს!

კლიტანდრი. ეყოფა ბატონო.

დე-სოტანვილილი. ანა, მინდა, რომ რიგზე მოხდეს ბოდიშის მოხდა (ღანდეს) თქვენი უმოწინაღესი მონა გახლავართ.

დანდენი. თქვენი უმოწინაღესი მონა გახლავართ.

კლიტანდრი. (ღანდეს) ბატონო, მეც თქვენი ერთგული გახლავართ; ამას იქით აღარ მოვიგონებ იმას, რაც მოხდა. (დესოტანვილილი) მშვიდობით ბატონო; ვნანობ, რომ თქვენ ცოტად არის შეგაწუხეთ.

დე-სოტანვილილი. როდისაც გნებავდესთ მეწვიეთ კურდღლის ნადირობაზე.

კლიტანდრი. მეტად მოწყალე ბქანდებით. (გაღის)

დე სოტანვილილი. აი, ჩემო სიძეე, როგორ უნდა საქმის გარიგება. მშვიდობით. იცოდეთ, რომ დაენათესავენით იმისთანა სხლობას, რომელიც თქვენ დაგეჟამაგებთ და არას დროს საქმეს იქამდი არ მიიყვანს, რომ ვინმემ მოგაყენოსთ თქვენ შეურაცხყოფა.

მოქმედება მეორე.

სცენა I.

ლიუბინი და კლოდინა.

კლოდინა. მე სწორედ მივსკდი, რომ ეს სულ შენი საქმეა; შენ ვიღასთვისაც გითქვამს და შენი ნათქვამი ამბავი მიუტანიათ ჩვენ ბატონისთვის.

ლიუბინი. ღმერთმანი! მარტო ერთი სიტყვა გუთხარ ვიღასაც, რომ აწავისთან გამტყეს თქვენგან გამოსული რომ მნასა. ამ თქვენ მსარეს ძალიან ებედები ყოფილან.

კლოდინა. შენ ბატონს სწორედ კარგი მოციქული ამოუჩვენებარ. სერსიანად კი ემსახურები შენი თავის მშემ!

ლიუბინი. კარგი, კარგი, მეორედ უფრო სერსიანად და ფრთხილად მოვიქცევი.

კლოდინა. ჭო, ჭო, დროც კი იქნება!

ლიუბინი. ძაგას თავი დავანებოთ. დამიგდე უური.

კლოდინა. რასკდ დავიგდო უური?

ლიუბინი. ერთი შემომხედე ცოტა.

კლოდინა. კარგი, რა აჩის?

ლიუბინი. კლადისა.

კლოდინა. რა?

ლიუბინი. ეჭ! მითომ არ იცოდე კარგად, რატ
მინდა გითხრა!

კლოდინა. არა.

ლიუბინი. ღმერთი არ გამიწყრეს! მივეაჩნარ.

კლოდინა. ძრეულ, ძრეულ?

ლიუბინი. ღმერთს გეუიცი, ტუუილს არ
გამბ.

კლოდინა. კეთილი.

ლიუბინი. გულა მაივანთქალეს, შენ რა გი-
უუ რებ

კლოდინა. ძრეულ სასანარულ და ჩკითვის.

ლიუბინი. ერთი მითხარ, ეგრე რაგორ და-
მ.წდები!

კლოდინა. რაგორ რც სხვები.

ლიუბინი. ეჭ, ბეკი რაღა გავანტქელა; თუ
გინდა, შენ ჩემი ცოლა გახდი, მე შენი ქმარი გავ-
ხდები და ორივენი გავხდებით ცოლ-ქმარი.

კლოდინა. შენც ჩვენ ბატონისაგან ეკვიანი
იქნები?

ლიუბინი. სწულებითაც არა. ნაი იმიტომ?

კლოდინა. მე თუ მკითხავ, მე მეჯავრება ეკვიანი
ნი ქმრები; მინდა იმისთანა, რომელსაც არაფრის
არ ვშინობდეს, მე შენდოს, დაწმუნებული იყოს
ჩემ ერთგულებაში და უშაშხად მხედავდეს ოც და
ათ კაცში.

ლიუბინი. კარგი, მე სწორედ მაგისთანა ვიქ-
ნები.

კლოდინა. იმაზე უარესი ტუტუტობა რაღა
იქნება ქვეყანაზე, რომ ქმარი ცოლს არ ენდოს და
სტანჯოს ის. მართალი თუ გინდა, ქმარი ამით სვე-
რაფერს ვერ მოიგებს; ის თავის ცოლს ღანბლით
ცუდ გზაზე დააყენებს.

ლიუბინი. მაშ კარგი, მე შენ მოგცემ სწულ
თავისუფლებას.

კლოდინა. აი რაა საჭირო, რომ ქმარი არ
მოტყუვდეს. ის უნდა ჩვენ მოგვინდოს და ჩვენც
ვისარგებლებთ თავისუფლებით იბღენად, რაბდენა-
დაც ეს საჭიროა; სწორედ ისე, როგორც წოდ-
იყულის ქისას გაგვიღსნიან და გვეტყვიან: აიღეთო;
ჩვენ ავიღებთ ზატონსურად, სამართლიანად იბღენს,

რამდენიც საჭირო იქნება. მაგრამ ვინც ჩვენ ჩაგვად-
ვივდება, იმას ვერცხვით, აღარ ვინდობთ.

ლიუბინი. მაშ მე ვიქნები იმათგანი, რომელ-
ნიც თულის ქისას უღისნიან ცოლს; რაღონ შემიძთე.

კლოდინა. კარგი, კარგი, ვნახოთ.

ლიუბინი ერთი აქ მო, კლოდინა.

კლოდინა. რა გინდა?

ლიუბინი. აქ მო-მეთქი.

კლოდინა. ეჭვს ნელა, არ მოუვარსი შე მჩქე-
ტელები.

ლიუბინი. ეჭვს, ერთი ბუწვით მეგობრობა გა-
მოიხინე.

კლოდინა. გამეცა-მეთქი; შენი სუბრობის
თავი არა მაქვს.

ლიუბინი. კლოდინა!

კლოდინა. (ლიუბინს) ჭკუ!

ლიუბინი. აჭ, დანდობა არა გაქვს საწყელებისა.
თუ! მითომ რა პატიოსნებაა, რომ მაგდებ! არა
გნებენია შენ ეგრე ღამაში იყო და არ გინდო-
დეს, რომ გავაღვარსონ.

კლოდინა. ცხვირში მიიღებ ჩემგან სკიპარტს.

ლიუბინი. რა, მიუვარებულა, მხეცო! აჭ სა-
მაგელა, შეუბრალებულა!

კლოდინა. ბევრ ნებას ხუ აბლევ შენ თავს.

ლიუბინი. რა დაგაკლდება, რომ ცოტა ახლა მიმიშვას.

კლოდინა. უნდა გქონდეს მოთმინება.

ლიუბინი. ერთი პატარა გონივრულად, რადგან დაქორწინებაზე ვლანაპირაგობთ.

კლოდინა. სწორედ, ბატონი ბრძანდები!

ლიუბინი. კლოდინა! გეხვეწები.

კლოდინა. აჰ! არა, არა! ერთხელ მომასწრეს კიდევ მაგასე. მშვიდობით, წადი და უთხარი ვიკონტს, რომ კენტები დაუბრუნო იმას თავის ბაჩათი.

ლიუბინი. მშვიდობით, მიუგარებულა მშვენიერება!

კლოდინა. სააჩუქიერ სიტყვას.

ლიუბინი. (მშვიდობით, კლდე, კენტო, თილანქანა და სუეველაიკერო უმაგრესო ამ ქვეყანაზე. (გაა))

კლოდინა. (მარტო) წავალ მივცემ ქალბატონს ბაჩათს... მაგრამ აგერ ისიც მოდის თავის ქმრით; მოეშორდება და მოვიტყდი, სახანო მარტო არ დაჩხება.

...სწავლა მისი სწენა II. ...
...მეტი ნაბიჯი ...

ჟორჟ დანდენი.

...სწავლა მისი სწენა II. ...
...აწა, აწა, ეგრე ადვილად ვერ გამაგრებენ და
დაწმუნებული ვარ, რომ რაც ამბავი მამიტანეს
სულ მართალია. ვერ არ იცინა, მე რა თვალუბო
მაქვს; მაგ თქვენ მიდებ-მოდებით ვერ დამაბრძანებთ.

...სწენა III. ...
...მეტი ნაბიჯი ...

კლიტანდრი, ანჟელიკა და ჟორჟ დანდენი.

კლიტანდრი. (თავისთვის, სწენის უკანა პლანზე)
ახ! აგერ ის ქალიც, მაგრამ ქმარი თანა ჭეუხვს.

დანდენი. (ვერს ხედავს კლიტანდრს) თქვენ ბრან-
ჭია-გრესიაობისაგან ვსედავ, რომ მართალია რაც
მითხრეს და მეტად ნაკლებად გაქვთ ზატეგი იმ
კავშირისა, რომელიც ჩვენ გვაერთებს. (კლიტანდრი
და ანჟელიკა ერთმანეთს თავს უგრავენ) დიუერთი ხედავ
დაეღსენით მაგ თავის დაკვრას; სრულებითაც მა-
გისთანა ზატევისცემასე არ გელაზარაკებით, დაწინ-
ვის მეტი არა იცით რა.

ანჟელიკა. მე, მე და გინით? სრულებიდაც არა!
დანდენი. მე მესმის თქვენი ჭაზრი და ვტყუ-
ბულაბ... (კლიტანდრო და ანჟელიკა კედელ თავს უკ-
რავენ ერთმანეთს) კიდეკ! რა! დაკედსნათ მასსარობას.
განა არ მესმის, რომ თქვენ კარგგვარის-შვილების
გამო თავი ჩემსუ მალლა გიჭირავთ; მეც არა ვთს-
ულაბ, რომ მე ჰატივი მცეთ; მე ვამობ, რომ
თქვენ უნდა ჰატივი სცეთ იმისთანა ჰატივისაგემ
კავშირს, როგორც ცალ-ქმრობა. (ანჟელიკა ანიშებს
კლიტანდროს) საჭირო არ არის მსრების აწევა; სუ-
ლელურს არას ვამობ.

ანჟელიკა. ვის აგონდება მსრების აწევა!

დანდენი. ღმერთო ჩემო, ცხადად ვსულავ. კიდეკ
გეტუვით, რომ ცალ-ქმრობა ისეთი კავშირია, რა-
მელსაც კაცმა უნდა სცეს უოგელგვარი ჰატივი. თქვენ
კი ცუდად იტყვით, რომ იმის ჰატივი არა გაქვთ.
(ანჟელიკა თავით ანიშებს კლიტანდროს) დიას, დიას, ეგ
ცუდი საქმეა თქვენის მსრით. ეგლა დაგჩენიათ—
თავს იჩნეთ და მეუჩინებით.

ანჟელიკა. მე? არ მესმის რა გნებავთ მგითა
სთქვით.

დანდენი. მე კი კარგად მესმის რასაც ვამობ და
მივსვდი, რომ გულაყრილი ზმანდებით ჩემსუ. მარ-

თავის კეთილმოხობილებისაგან არა ვარ დახედებულ-
ლი, მაგრამ იმისთანა სასლიდამა ვარ, რომელსაც
არ შეჭყურის სხვისგან საუკედური; და დანდენიანთ
გვარში...

კლიტანდრი. (ახელოვას უკან, არ ნახული დანდე-
ნისაგან) ერთ წამს სალაზარაკოთ.

დანდენი. (გერ სედაგს კლიტანდრს) ჭა?

ანჟელიკა. რა? მე არაფერს ვამბობ.

(უიროუ დანდენი გარს უგლის თავის ცოლს და კლი-
ტანდრი დედად თავს დაუგროვს დანდენს და გაღის).

სცენა IV.

ჟორჟ დანდენი და ანჟელიკა.

დანდენი. აი ვინ დაეთრევა თქვენს უკან.

ანჟელიკა. მერე ჩემი რა ბრალა? როგორც
გნებავთ, რომ მოვიქცე.

დანდენი. მე მინდა ისე მოვიქცე, როგორც იქ-
ცევა ქალი, რომელსაც სურს მოაწონოს თავი მარ-
ტო თავის ქმარს. რაც უნდა თქვან, ფრანტუბი
დასდეკენ იმას, ვისაც ეს მოაწონს. მხოლოდ
ტბილი შესედულაბა მიიზიდავს იმით, როგორც

თავლი ბურებს. ზატიოსან ქალებს კი ისე უჭირავთ თავი, რომ ვერ ბედვენ სსკები იმათ უკან თრეკას.

ანჟელიკა. რა მიზეზით უნდა გავლადო ყველა ჩემგან? ბიანბრუთ სომ არ ვინდი თავს, რა-ცა მოეწონება ვისმეს ეს ჩემთვის სასიამოვნოა კიდევ.

დანდენი. კარგი! მეტე რა მდგომარეობაში უნდა იყოს ქმაჩი, რა-ცა იმის ცოლი იქნება მაგ კეკლურებაში?

ანჟელიკა. ის უნდა იყოს მდგომარეობაში ზატიოსან კაცისა, რომელსაც უხარბიან, რომ იმის ცოლი ზატიოშია.

დანდენი. მადლობელი გასლავართ! ხელს კი არ მომცემს. დანდენები მაგას არ არიან დაჩვეულები.

ანჟელიკა. ოჰ! დანდენები კარგად დაჩვევიან მაგას თუ მოინდომებენ; რადგანაც თუ მკითხავთ, გიცხადებთ, რომ სრულებიდან არ მინდა ქვეყანას დავუძღო და ჯერ კიდევ ცოცხალი ჩაკეფ-დე ქმარს. რა-გორ! იმიტომ რომ ვისმეს მოუვას თავში ჩვენი შერთვა, ჩვენ უნდა ცოცხლებში აღარ ვე-ჩიოთ? საკვირველი რამ არის ამ ქმრების ჭირვე-



ყოფილხარ! იმათ უნდათ, რომ იმათი ცოლები მოაკლდნენ ყოველგვარ გართობას და მარტო იმათთვის იცხოვრონ. მასხარათ ასაგდების ამგვარა სურვილი და მე სრულებიდაც არ მინდა ესე სასაღვთისა მოკვდე.

დანდენი: მაშე გვრე სრულებთ შირობას, რომელიც მამეცით საქვეყნოთ?

ანაელიკა: მე? მე ჩემის ნებით არ მიმიტია შირობა; თქვენ მე ის ძალად ამართვით. განა გითხავთ ჩემთვის ქორწინების წინად: მიუყვანხართ თუ არა? თქვენ ამაზე ემუხსათებოდით მარტო ჩემდე-მამას; სწორედ რომ ვთქვით, იმათ შეგირთესთ თქვენ და ამიტომაც კარგს იქმოდით, რომ იმათთან გეხივლათ ყოველთვის, როცა შეგაწიხებენ. რაც შეძებსა მე, რომელმაც არ გირჩიეთ შემირთე მეთქი, რომელიც ჩემ დაუგითხავათ ამიუკანეთ, მე ჩემ თავს ვაღდეულებთ არა ვთვლი თქენი ყურ-მოჭრილი მონა გავსდე. და თუ გნებავთ სწორედ გავიგოთ, მე მსურს ვისიამოვნო იმ კარგ წამებით, რომლებსაც მამლევს მე ჩემი სასაღვთისა და ისე ტკბილად გავატარო დრო, როგორც შეუთვრება ჩემ სასახს. მინდა ცოტად მაინც ვინახო დიდ-კაცობა და ვისიამოვნო თავი ჩემ



ტყეზის ქუბის გაცეზით. მოეღოღოთ თქვენს
ჯეღს და ღმერთს მადლოზა, მოაღსენეთ, რომ
უარესის ჩამდენი არა ვარ.

ღანღენი. ჭო! მას ეგრე მოიქცევეთ! მე
თქვენი ქმარი ვარ და გუუბნებთ, რომ ეგრე ვერ
მოიქცევეთ.

ანუელიკა. მეც თქვენი ცოლი ვარ და გუუბ-
ნებთ, რომ ეგრე მოვიქცევი.

ღანღენი. (თავისთვის) ერთი ძრეელ კი მინდა
ცხვირ-ზირი ჩავამტვრიოვო ამას, რომ მოაწიყეს
აღარ მოეწონოს. აჭ წამო უფრუ დანდენო; თავს
ვერ დაიგაკეზ, სჯობია მოშორდე.

სცენა V.

ანუელიკა და კლოდინა.

კლოდინა. ქალბატონო, მოუთმენლად ველოდი
რომ თქვენი ქმარი წასუღიუო და წიგნი გადმოემეცა
მე და თქვენ რე ვიციით იმისგან.

ანუელიკა. აზა კნასოთ. (კითხულოვს ჩუმათ)

კლოდინა. (თავისთვის), ამას კი ვატუებ, რომ
ბავრად არ ეწეინა, რაც უთხარი.

ანჟელიკა. აჰ, კლოდინაჲ, როგორ ეტეობა
 ამ წიგნს, რომ ის კეთილმშობილისგან უნდა
 იყოს დაწერილი; რა სსსიამოვნონი არიან კარის
 კაცები ყველა თავიანთ საქციელში და ღაზარაკში!
 აბა რას ჭკვანან ამითან აქაულები!

კლოდინა. მგონია, იმათ ნასვის შემდეგ აღარ
 მოგეწონან დასდენები.

ანჟელიკა. აქ დარჩი, მინდა ვასუსი მივსწე-
 რა. (გაღს).

კლოდინა. (მარტო) მგონია საჭირო არ არის
 გუთხრა რომ მისწერეს სსსიამოვნონ ვასუსი; მაგ-
 რამ აგერ...

სცენა VI.

კლიტანდრი, ლიუბინი და კლოდინა.

კლოდინა. ბატონო, სწორედ რომ სესხიანი
 მოციქული გიმოხვნიათ.

კლიტანდრი. ვერ გაუბედე გამომეგზავნა ვინმე
 ჩვენ კაცთაგანი; მაგრამ, ჩემო ვატარა კლოდინაჲ,
 უნდა კარგად დაგასახუქრო, რადგან ვიცი, ჩემთვის
 მეტად გასჭვილხარ. (სელს იღებს ჯიბეში).

კლოდინა. ეჭ! ბატონო, საჭირო არ გახლავთ. თქვენ მარტო დამსახურებთ და მე გემსახურებით იმიტომ რომ დიხს იბძანდებით ამისა და გული მამდევს თქვენკენ.

კლიტანდრი. (კლეგს უუღს კლოდინას) დავალებული ვარ შენგან.

ლიუბინი. (კლოდინას) რადგან მე შენ გირთამ, ეგ მე უნდა გადმომცე, რომ ჩემ ფუფუნანს ერთად შეგინახო.

კლოდინა. არა, მე თითონ ვარგად შეგინახამ რეგულარე კონცხას.

კლიტანდრი. (კლოდინას) მითხარ ერთი მიუც თუ არა ჩემი ბაჩათი შენ მშვენიერ ქალბატონს?

კლოდინა. დიას, ის წავიდა ჰასუსის მოსაწერათ.

კლიტანდრი. მე რე, კლოდინავ, ვერ დამაღაპრებო იმასთან?

კლოდინა. რატომ არა; ახა წამობრძანდით.

კლიტანდრი. მე რე მოეწონება ეს იმას თუ არა? რომ საშიშო არ არის?

კლოდინა. არა, არა. იმის ქმარი შინ არ არის. გინდ ეს არ იყო, ქალბატონი მარტო დედ-სამამა



ეწიდეება და არა ქმარს; და თუ დედ-მამას აბოშული
აქვს რვალები აღარათერის შიში არ არის.

კლიტანდრი, მამ გენდობი, მოგვეყები.

ლიუზინი (მარტო) დმერთმანი, რა სეკსიანი
ცოლი ძეუოლებს! ოთხის ოდენა ჭკუა აქვს აი!

სცენა VII.

დანდენი და ლიუზინი.

დანდენი. (ხუდად, თაგისთვის) აგე? წელანდელი
ჩემი კაცი. ღვთის მადლით, იქნება, ეს მოწმით
დამიდგეს ჩემ ცოლის დედ-მამასთან, რომელთაც არა
სჯერათ ჩემი ნაამბობი.

ლიუზინი. ოჰ! უბედო ბატონო, რომელსაც
იმდენი ვთხოვე, ნურავის ნუ ეტყვი მეთქი, და რომ-
ელიც ამის ასრულებას დამპირდა. მოლაქლაქე ბას-
ნებულსაოთ; წასუღსაოთ და სსკებისთვის შკიტიტე-
ბინებიათ სულ რაც გიხარესთ. საიდუმლოდ.

დანდენი. მე?

ლიუზინი. დიას, თქვენ სუ ყველაფერი შკიტი-
ტეობინებიათ ქმრისთვის და თქვენა ბძანდებით მი-
სეზი ამდენ ღანძლვა-თრევისა. დიდად მოხარული

გახლავართ, რა გავიგო, რომ თქვენ ენაც გქონიათ; ეს მე მასწავლის სიხუმეს.

დანდენი გამიგონე, შმაო.

ლიუბინი. რო ვიტყვადე, რო აღარ ილაქლასქებთ, ერთ ცხელ-ცხელ ამბავს გეტყვადით. მაგრამ თქვენ დასასჯელათ არ შეგატყობინებთ არაფერს.

დანდენი. როგორ! რა ამბავია?

ლიუბინი. არაფერი, არაფერი. აი რა არის უბედობა; ესლა აღარც კი გეტყვადინებთ ახალი ამბავი რა ფერია. მშვიდობით!

დანდენი. მაიცა ცოტა.

ლიუბინი. კურა.

დანდენი. მარტო ერთი სიტყვა მინდა გითხრათ.

ლიუბინი. ა ზა, ზა, ზა. უნდა გამომტყუოთ რაღა ახალი ამბავი.

დანდენი. სრულებიდაც არა.

ლიუბინი. ჭე! რა ტეტიანა... როგორც ვხედავ, აღარ მეშვებით.

დანდენი. სხვა რამე მინდა გკითხო, გამიგონე!

ლიუბინი. არ შეიძლება. გინდათ გითხრათ რაღა; რომ ჩემმა ბატონმა ვიკონტმა მისცა ფული



კლადინას და ამანაც ის წაიყვანა თავის ქალბატონ-
თხნ. მაგრამ კვლავ ტუტუტიც არ გახლავართ!

დანდენი. თუ ღმერთი გწამს.

ლიუბინი. კეჩა.

დანდენი. გაჩუქებო...

ლიუბინი, დიას, დიას. კერძო მთავრებით!

სცენა VIII.

ქორბე დანდენი

კერძო მთავრები ჩემებურად საქმეში ეს ტუტუტი.
მაგრამ სულ ერთია, ერთი ახალი ამბავი ხომ წასცდა.
თუ ის ფრანტი ჩემ სახლშია, კარგი მოწმობა იქნე-
ბა ეს დედ-მამისათვის, რომ დაწმუნდნენ ისინი
თავიანთ ქალის უნამუსობაში. ეს კი ცუდია, რომ
არ ვიცი, როგორ ვისაჩვენებ ამ შემთხვევით.
თუ შეკვდი შინ, გამეჭვავა ის დაწვევლილი და რაც
უნდა ჩემი გამაუხარებელი რამ ვნახო იქ, მაინც
არ დამიჯერებენ სიმამრი და სიდედრი; მეტწილად:
სიზმარში ხომ არა ხარო. მეორეს მხრით, თუ
დავაბესლე ესლავო, როდისაც დაწმუნებული არა
ვარ, ის ფრანტი ჩემსაა თუ არა, ისევ ის გამოვა

და ისევე ამასწინდელ სათაბაღაში ჩაკვარდები.... იქნება ჩუმად გავიგო, ის კიდეც იქ არის თუ არა? (ისეღება გასაღების ადგილია). აჰ! ღმერთო! ეჭვი არ არის, მე ვხედავ იმას აქედამ. ბუდი მშველის, რომ შვერცხვინო ისინი. საქმის დასაგვირგვინებლათ, აგერ ღმერთმა გამოძიგზავნა ჩემი მსაჯულებიც.

სცენა IX.

დე-სოტანვილლები და შორე დანდენი.

დანდენი. ძლივს! ამას წინათ მე თქვენ არ დამიჯერეთ და თქვენმა ქალმა გაიმარჯვა ჩემზე. ესლანსაკო, როგორ მაკმაყოფილებს ის მე. მადლობა ღმერთს, ჩემი გაუზატიურება ისე ცხადია, რომ შეუძლებელია ეჭვი.

დე-სოტანვილლი. როგორ, ჩემო სიძე, კიდეც იმაზე სხივით?

დანდენი. კიდეც იმაზე; ესლანდელისაებ არასდროს არ მქონია იმდენი ჩივილის მიზეზი.

დე-სოტანვილლის ცოლი. კიდეც გინდათ თავი აგვატკიოთ?

დანდენი. დიას, ბატონო, მე უარეს მდგომარეობაში ვარ.

დე-სოტანვილილი. მას არ იშფოთ, თავი უნდა მოგვაბეჭდოთ?

დანდენი. არა, მე ძალიან მომბეჭდდა, რომ ტუტუტათა მსდინ.

დე-სოტანვილილის ცოლი. მას არ გინდათ მოიშორათ ეგ გიყური ფიქრები?

დანდენი. არა, ქალბატონო, მე უფრო ადვილად მოვიშორებ დედა-კაცს, რომელიც მაუბ-ტიურებს მე.

დე-სოტანვილილის ცოლი. დემეტო ჩემო! ისწავლეთ ილხაჩაკი, ჩემო სიძე!

დე-სოტანვილილი. დემეტმანი! ეცადეთ ეგრე უკადრისად არ ილხაჩაკოთ.

დანდენი. ვაჭარს, რომელიც აგებს, არ ვცინება.

დე-სოტანვილილის ცოლი. გადსოვდეთ, რომ თქვენ გვაგთ ცოლათ კეთილ-შობილი ქალი.

დანდენი. ძალიან ვარგად მაღსოვს და ძალიანაც დამაღსოვდება.

დე-სოტანვილილი. თუ თქვენ ეგ გადსოვთ, ეცადეთ იმარე ილხაჩაკოთ მეტის პატივით.

დანდენი. ის ანა სკობია, ის ეცადოს უფრო
პატიოსნად მომქცეს? მას აქონ კეთილშობილი
ქალი ვარა, რეგორც უნდა ისე უნდა მოიქცეს და
მე სილაც ვი ვერ ვაჭამო?

დე-სოტანვილლი. ანა რა შეგიძლიანთ თქვით?
განა ან ნახეთ ამ დილას, რომ ჩემი ქალი უაწს
ამბობს თქვენ ნათქვამ კანის ცნობაზე?

დანდენი. კარგი. მერე რას იტყვით, რომ გი-
ჩვენათ ის ფრანტი ჩემ ცრულთან?

დე-სოტანვილლის ცოლი. ჩემ ქალთან?

დანდენი. დიას, თქვენ ქალთან ჩემ სახლში?

დე სოტანვილლი. თქვენ სახლში?

დანდენი. დიას, ჩემ საკუთარ სახლში.

დე-სოტანვილლის ცოლი. თუ ეგრეა, ჩვენ
თქვენ მხარეს დავიჭერთ.

დე-სოტანვილლი. დიას, სახელის შენახვა
ჩვენთვის ყველაზე უკიდრფასესია. თუ მართლად
ამბობთ, ჩვენ შეიღისგან სელს ვიღებთ და ნებას
გაძლევთ ვაკრი ამოიყარეთ იმაზე.

დანდენი. თქვენ მარტო მომდიეთ.

დე-სოტანვილლის ცოლი. გაფრთხილდით,
ან მოსტყუვდით.

დე-სოტანვილილი. წეღანდეჯისაკე ან მოგი-
ვიდეკსო.

დანდენი. ღმერთო ჩემო! ხომ სედავთ. (უზგე-
ნებს კლიტანდრს, რომელიც გამოდის ანჟელიკასთან ერთად).
ახა მოგატყუილეთ?

სცენა X.

ანჟელიკა, კლიტანდრი და კლოდინა. დე-
სოტანვილილები და ჟორჟ დანდენი დგანან
სცენის უკან ზღანზე.

ანჟელიკა. (კლიტანდრს) მშვიდობით. მეშინიან
აქ აწავინ მოგასწრს; მე კა ვიცი სოღმე სი-
ფრთხილე.

კლიტანდრი. დამპირდით, ქაღბატონო, რომ
ამაღამ შესაძლო იქნება თქვენი ნახვა და თქვენთან
მუსაიფი.

ანჟელიკა. ვეცდები.

დანდენი (დე-სოტანვილილებს) ჩემად მიუახლოვ-
დეთ და ვეცადეთ ან გვნახონ.

კლოდინა. (ანჟელიკას) აჰ, ქაღბატონო, წახდა



ძამ ევროპიელი მუშა-ხალხი სტოკებს სამშობლოს იმიტომ ვი არა, რომ ის თავის უკარგისაბით ვეწათეწს აკეთებს სამშობლოში, ან შინ ვიწროთ არის, ან მშობლიური ბუნება ღარიბია; ევროპიელი მუშა იმიტომ ვი არ ემიგრანტობს, რომ დეკნილია ის შინ მარტებლახობისაგან რჯულისთვის ან პოლიტიკურ თავისუფლების მოთხოვნის გამო. არა, მუშა ხალხი სტოკებს ევროპას, რადგანაც იმას, ღარიბ მუშას, წაართვეს მდიდრებმა მიწა და დაიმონაკეს მიწის ძველი ხატრონიც. ევროპიული დაბალი ხალხი აგდებს თავის მშობლიურ სახლ-გარს, ნათესავებს და ამხნაგებს, გადიკარგება ზღვებსა და რკენებს იქით, ვინ იცის სად, რომელ მხეც ხალხ-



ში მსოფლად იმისთვის, რომ მიწა ეშოვოს და თავისუფლად იმუშავოს.

მაგრამ გარდასახლება მოითხოვს ბევრ ხარჯს: უცხო-შვილთა კაცისაგან 28 თუმნადი და ჯალაბიანისაგან 60 თუმნადი. ამის გამო ეკონომიაში ვერ კიდევ საკმაოდ იზრდით უადგილ-მამულთა შვიერ ხალხს, რომელსაც გარდასახლებისათვის ვერ უშოვნია ფული.

II.

ს ა თ რ ა ნ გ ე თ ი.

დიდხანია სათრანგეთს ეკონომისტები უსამართლოდ აქებენ. სათრანგეთში, ამბობენ ისინი, მუშა-ხალხი შიმშილით არ მოკვდება, რადგანაც იქ ყველას შეუძლიან ძამის სიკვდილის შემდეგ მიიღონ მიწის ნაჭერი. მეტად კარგ მდგომარეობაში არიან სათრანგეთის მუშები, განაგრძობენ ეკონომისტები, ჰირველ რეკოლიუციის შემდეგ, რომლისაც ახნაურების და სასულეირო წოდების მიწებს მართებლობა ჰქონდა ნაკურწ-ნაკურწათ გლეხებსე სხენი ვაღია ამ სტატიაში დავაბტვიტოთ, რომ თრანციელ

გლეხის მდგომარეობა ისე კარგი არ არის, როგორც აკვირებენ პატივცემული ევონომისტები.

მართალია, საფრანგეთის სტატისტიკურ ცნობებიდან ვტყუებულაბთ მსოფლად ინდაურების, ქათმების, ძროხების და იმათ ამხანაგების რიცხვზე და სწორედ კი ვერ ვხედავთ ამ ცნობებიდან, რამდენი სოფლის მეძამულეს საფრანგეთში, დასაზღვრებით კი შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამ ქვეყანაში უნდა იყოს 7 მილლიონამდი სოფლის მეძამულე. აქედამ 3,600,000 მეძამულეს აქვს ისეთი პატარ-პატარა მიწა, რომ იქიდან, იუულათ რაკიანგარიშით, მიწის მიფლებელი მსოფლად 16 მანეთს მიიღებს წელწადში. თითქმის 4 მილლიონი მეძამულე განთავისუფლებულაა თავის სიღარიბისა გამრ სასულმწითერ სარჯისგან. დარჩა 3 მილლიონი. აქედამ მსოფლად 2 მილლიონი გლეხია, და დანარჩენი 1 მილლიონი—აზნაურები და სხვა—მდიდანნი მეძამულენი გასლავან.

მაშ ესე, 4 მილლიონამდი გლეხს აქვს ისეთი პატარა მიწები, რომ სარჯის მიცემაც არ შეუძლიან. ეს კიდევ არაფერი; მიწის სიპატარე იქამდი მიადწევს, რომ ძალიან იშვიათად გლეხის მიწასე მტოტე ქონის გარდა დეტევა სოფლე პწაწა ვენახი.



სშირად გლეხის მიწაზე შესაძლოა დეკტიოს მსო-
ლოდ ისეთი პატარა ქონი, რომლისთვის ფანჯარა
არც კია საჭირო. ამებზე სულ გვიჩვენებენ ნამდვი-
ლი სტატისტიკური ცნობანი. ესაა წარმოდგინეთ,
რომ უმეტეს ნაწილს ამ ღარიბ მემამულეთაგან
ჭყავს სასლობა და მაშინ მიხვდებით, რომ იმ სა-
ფრანგეთში, რომლის ეკონომიურ მდგომარეობისა-
გან მოდიან აღტაცებაში ეკონომისტები, 10 თუ
12 მილიონი სული თითქმის უმამულაა; ისინი
თავის დასარჩენათ იმულებულნი არიან ან იჯარით
აიღონ სხვისგან მიწა ან დღიურ მუშეობათ წავიდ-
ნენ. ამ უკანასკნელ დროს ფრანციელ სოფლებში
ითვლებოდა 4¹/₂ მილიონი მიწის მეიჯარადრე
და 5¹/₂ მილ. მუშა.

ბევრი მეცნიერი ბრძანებს, საფრანგეთში ის არის
კარგი, რომ მამული მამისაგან რჩებათ ეკვლა შვი-
ლებს და არა მარტო ერთსაო. ეს კარგი განიხი-
ვას ვთქვით, მსოლოდ იმის ასრულება ძრეულ სშირად
შეუძლებელია. უმეტეს ნაწილს ფრანციელ გლეხები-
სას, როგორც ზეკითა ვთქვით, ისეთი პატარა მი-
წის ნაკუწი აქვთ, რომ იმაზე შეიძლება მსოლოდ
აშენება პაწაწა ქონისა, და ამ მიწის ნაკუწის გაყოფა
შეიძლება შუა შეუძლებელია. აი ამით აიღსნება

ის გარემოება, რომ თუმცა საზოგადოდ ფრანციელების რიცხვი მატულობს, მაგრამ წვრილ ფრანციელ მემამულეების რიცხვი იგივეა, რაც ადრე იყო. ხალხი მატულობს, იმათთვის ადგილი აღარ არის და, მეტი რა ღონეა, უადგილ-მამულეები გადადიან ქალაქში სამუშაოთ. ამის გამო თუმცა საფრანგეთს 10 წლის განმავლობაში (1856—1866.) მოემატა 2 მილიონამდე მცხოვრები, მაგრამ ფრანციელ სოფლებს კი ამავ დროს მომატების მაგიერ დააკლდა კიდევ 291,930 კაცი. ქალაქელი მუშები ხომ საფრანგეთში იმავ საცოდავ მდგომარეობაში არიან, როგორც სხვა ევროპულ სახელმწიფოებში. ქართული მკითხველი ძალიან ცოტად იცნობს ევროპულ ქალაქელ მუშის ცხოვრებას და ამიტომაც მე ერთ წამით დავანებებ თავს ვასილიკოვის წიგნს და მოვიგონებ იმ ცნობებს, რომლებსაც გვაძლევს ინგლისის მართებლობა:

„ვილლიამ ვუდმა, ცხრა წლის უმაწვილმა, დაიწყო მუშაობა ქარხანაში, როცა 7 წლის და ათი თვისა იყო. ეს უმაწვილი ყოველ დღე მუშაობს 6, 7, 8 ან 9 საათს. მეორე უმაწვილი ჩაჩხს ატრიალებს, მოდის სამუშაოთ 6 და ხან 4 საათზე დილისა. ამ უმაწვილს ხან და ხან უმუშავნია მთე-

ლი ღამე დღის რვა საათამდის; ღამეობით იმას-
 თან მუშაობდა კიდევ რვა თუ ცხრა ემაწვილი. წამ-
 დენიმე ამათგანი განაგრძელებენ მუშაობას თით-
 ქმის შეუწყვეტლივ დღითაც. კვირაში აქვთ ამათ
 ჯამაგირი 3 შილლიანი და 6 პენსი (ე. ი. ერთი
 მანეთი და ათიოდ კაპეიკი). ღამის მუშაობისთვის
 ემაწვილებს აჩაიუყს ან აძლევენ. (,,კაპეიტალი,
 კარლ მარქსისა).

ევროპიულ ქალაქელ მუშების უმეტესი ნაწილი
 კერ მიაღწევს ხოლმე 20 წლამდე, კვდება ემაწვი-
 ლობაშივე. აქ კიდევ ბევრ წამეს გაიმბეჭდით ამ
 მუშების ბნელ, ცივ და ნოტიო სადგომებზე, უვარ-
 გის საჭმელზე და ხანგრძლივ შრომაზე, თუ რომ
 ეს ჩვენ შორ ან წაგვიყვანდა. დაუბრუნდები ისევ
 ვასილხიკოვის წიგნს.

ბევრნი, როგორც ზემოთა ვთქვი, დაწმუნებულ-
 ნი არიან, რომ პირველ რეკოლიუციამ დი ი სარ-
 გებლობა მოუტანა ფრანციელ გლეხებს. ვხანტო,
 რაში შესდგება ეს სარგებლობა? პირველ რეკო-
 ლიუციის წინადად საშინლად იყო შევიწროებული
 ფრანციელი გლეხი სხვა და სხვა ხარჯის გადახდით;
 გლეხი კაღდებული იყო ემუშავნა ბატონის და
 ხელმწიფის სასარგებლოთ, ხარჯი მიუცა სულიერ

მამებისთვის, აზნაურებისთვის და სასკელმწიფოს-
 თვის. ამის გარდა გლეხის სრულ საკუთრებათ არ
 ითვლებოდა იმის მიწა: თავისუფლად უიღვა-გაუიღვა
 არ შეეძლო. რევოლიუციამ გლეხი განადა სრული
 პატონი თავის მიწისა, გაუადვილა იმის უიღვა-გა-
 უიღვა და განათავისუფლა ის ძრავალ ხარჯისაგან.
 აქა რჩება პირველ რევოლიუციის საჩვენებლობა
 ფრანციელ გლეხისათვის. მაგრამ ვინ იცის, მიწის
 უიღვა-გაუადვის გაადვილება სასაჩვენებლო იყო თუ
 არა გლეხისათვის? ამ გაადვილებისა გამო ღარიბი
 ხალხი გაჭირების დროს ადვილად ჰყიდდა თავის
 მიწას მამულს და რჩებოდა თითონ მთელ თავის
 სინოცხლეს უადვილ-მამულს, მშიერი.

მაგრამ ეკონომისტები გვეუბნებიან, რომ პირველ
 რევოლიუციას სხვა კიდევ ბევრი საჩვენებლობა მოუ-
 ტანიან საფრანგეთის დაბალ ხალხისთვის. რევო-
 ლიუციის მართებლობამ ჩამოაჩთვა უმრავლეს თა-
 ვად-აზნაურობას და სასულიერო წოდებას მიწები
 და წირილ-წირილად გაჰყიდა გლეხებსედაო.

ისტორია და სტატისტიკა სხვას გვეუბნება. მარ-
 თალია, რევოლიუციის მართებობამ წააჩთვა აზ-
 ნაურობას და სასულიერო წოდებას 20 მილ. გერ-
 ტარი მიწა ე. ი. მესამედი მთელ საფრანგეთისა და

გაჭყედა, მაგრამ ღარიბ გლეხებსე კი არა, არა-
 მედ ვაჭრებსე, მეიჯარადრებსე, მოქალაქებსე და
 სხვა შეძლებულ პირებსე, რომელთაც უამისოთაც
 საგმართ მიწა ჰქონდათ. სათერანგეთმა გაჭყარა აზ-
 ნაურები და მღვდლები და იმათ ადგილას დასვა
 სხვანი, რომელნიც თუმიც კეთილშობლურ ხამომავ-
 ლობისა არ იყვნენ, მაგრამ შეძლება ჰქონდათ და
 რასაკვირველია დიდად სურდათ აზნაურებისა და
 მღვდლებისაებ ბატონობა ღარიბი ხალხი დაჩნა
 ძველებურად ღარიბი, ცოტა მიწით. რეკოლიუციის
 წინ გლეხობას ეჭირა $\frac{1}{4}$ ან $\frac{1}{6}$ ნაწილი სათერან-
 გეთისა, რეკოლიუციის შემდეგაც გლეხობას ამაზე
 მეტი არა ჰქონია. (მაგ. ლიმურენში 1789 წ.
 33,395 შემამულე იყო, 1813 წ. იქვე მოიზრგე-
 ბოდა 33,646 შემამულე; ამათი რიცხვი არ მომა-
 ტებულა, სჩანს მართებლობისგან რეკოლიუციის
 დროს ყიდულობდნენ მიწებს ისინი, ვინც ადრეც
 უმიწონი არ იყვნენ). მიწები რომ ძრეულ წვრილ-
 წვრილად გაყიდულიყვნენ და თულის შემოტანის-
 თვისაც არ ღეხქარებინათ შეიძველები, მაშინ რა-
 საკვირველია ღარიბ გლეხსაც ერგებოდა რამე აზნა-
 ურების და მღვდლების მიწებიდამ. მაგრამ რეკო-
 ლიუციის მართებლობა დიდ გაჭარებაში იყო,

უნდა იმას ძველი სასელმწიფო ვალები თავიდან მოეშორებინა და ახალ წესის დასამკვიდრებლათაც საჭირო იყო დიდი ფული. ამიტომაც მართებლბა იძულებული იყო საკვირველ იათ ფასათ გაეყიდნა ნაშოვნის მიწები, რომ მიეღო იმას საჩქაროდ ხალხი ფული. ამ იათობითაც ბევრად ისარგებლბა ბურჟუაზიამ, გლესობიდან გამოსულ მდიდრებსა.

ეს ახალი ბატონები იათად ნაშოვნ მიწებს ცოტა გვიან, რევოლიუციის შემდეგ, ძვირად ჰყიდდნენ და ამაში ბევრს იგებდნენ. ერთ ნემციის აფიცერს 1814 წ. ეყიდნა საფრანგეთში 90,000 ფრანკათ მიწა, რომელიც ეშოვნა 19 წლის წინათ (1795 წ.) ვიდასაც რევოლიუციის მართებლბისაგან ცნრავერ უფრო იათად—10,000 ფრანკათ.

რევოლიუციის მართებლბას ისეთნაირად სჭირდა ფულები, რომ შირ-და-შირ ავნო კიდეც დაბალ ღირბი ხალხს. აი რგორ: გარსულ საუკუნის ბოლოს საფრანგეთის მერვედი თუ მუშვიდედი იყო გადადებული ღირბებისათვის. ამ საზოგადო მიწებს აძლეუდნენ უადგილ-მამულე ღირბი გლესებს დროებით. აგრძალული იყო კანონით ამ მიწების გაყიდვა. მაგრამ რევოლიუციის მართებლბამ საზოგადო მიწები იცნო სასელმწიფო მიწებათ და დაიწყო იმათი გა-

ეიდვა. რეკონსტრუქციის შემდეგაც ხან და ხან იეიდვა-
 ბოდა ეს სასოგადო დაწიბების მიწა, უფრო და
 უფრო ნაწილენ III დრეს. ნაწილენ III მი-
 თომ იმ მიწესით, რე ზოგიერთნი ცუდად უგლიან
 თავიანთ მიწებსა, წააწთვა დაწიბებს დრეებით მი-
 ცემული მამულები და გარდასცა მინისტრებს, რე-
 მენიცი თავიანთ მინისტრებამდი ჭკანკალებდენ ში-
 შით, ჩვენ ხანკრატობისა გამე არ ჩაკვსვან ცისე-
 შიე. ნაწილენის მინისტრები, რასაკვირველია, უფ-
 რე კარგად უგლიდენ მამულს, ვინამც დაწიბი გლე-
 სები. თუმიც რეკონსტრუქციის მართებლობა და
 ნაწილენები ასე ამცირებდენ სასოგადო სადა-
 რიბე მიწებს, მანც ამათგან დაწიხა ესლა $4\frac{1}{2}$ მილ.
 გექტარი ე. ი. თითქმის ცნწა მილ. დღიური მიწა.
 ეს მიწები, რეგორც ზეკითა ვთქვით, შეადგენენ
 საკუთრებს სასოგადოებისა (კომმუნასი), ეძლევათ
 დრეებით ულაწიბეს გლეხებს და არც გაიყიდებიან,
 არც დაგიწავდებიან,

ამ სტატიიდან ნასამდა მკითხველი, რომ ეს
 თუქველას ეკონომისტების ჭარბი ფრანციელ დახალ
 ხალხის დღეგრძელბაზე, რომ ჩამდენიც დრო გა-
 დის, უფრო და უფრო ფრანციელი გლეხი სდება
 უბინაო მუშათ. ის ვარდება იმ ბატონების ხელში,
 რომელთაც რევოლუციის დროს დაიჭირეს მარდად
 აზნაურების და ძველლების ადგილები. მაგრამ რამ
 მიიყვანა ამ შეცდომამდე პატრივტიული ეკონომისტე-
 ბი? იკითხავს მკითხველი. იმან, ბატონო, რომ ჩვენ,
 ადამიანები, მეტად სუსტნი აჩვენებანი განლაგართ;
 ბევრჯერ ერთსა და იგივე ტყუილს რა გვეუბნე-
 ბიან, ჭეშმარიტებათ გვეჩვენება ხოლმე ის. აი მაგა-
 ლითად, შარშან ყველა დაწმუნებული იყო, რომ
 რუსული გაზეთები სტყუვიან და რსმალეთი ისეთ-
 ნაინად არ არის დასუსტებული და დაღუბული, რა-
 გორც იმათ ჭგონიათ. მაგრამ ამ წელს ჩვენ, მო-
 ბეზრებულებმა გაზეთების მოუსვენარ ბზუილით,
 დავიჯერეთ, რომ რსმალეთი დაღუბულია, რა რს-
 მალეთი მაშინათვე დაინგრეკა, რა კი ერთხელ შეუ-
 ბერავთ იმას. გაგვაფხიზლა მხოლოდ ზღვენამ. მარ-
 ტო ესლა მოგვაცოხდა, რომ რსმალეთის სისუსტე-
 ზე ლაშარაკი უსაფუძლო ყბედობა იყო ზოგიერთ



გაზეთების მხრით და ჩვენვე გვიკვირს, დაუფერეთ ამ უბედობას. საფრანგეთის შეძლებულმა ვაჭრებმა, მეკვარცდრებმა და საზოგადოდ ბურჟუაზიამ და იმისმა შრომეოსსოვნებმა იმდენი ილაშქრეს გლეხების გაბედნიერებაზე პირველ რევოლუციისაგან, რომ ევროპულ ეკონომისტებმა დაიფერეს ეს ჭორი ისე, რომ გორც ჩვენ გვჯეროდა ოსმალეთის დანგრევა ერთ სკიპარტისაგან.

III

ინგლისი, ირლანდია ჭ შოტლანდია.

თითქმის აწსად ევროპაში ისე აწ აწის გავრცელებული განათლება და პოლიტიკური თავისუფლება რომ გორც ინგლისში და იმის აწლო გუნბულებში, მასთანავე აწსად ისე დარბი აწ აწის დაბალი ხალხი, რომ გორც ამ სასულშიფოში. რისგან აწის ეს? სომ უკვლგან გვესმის, რომ ხალხის სულის ჩამდგმელი, გამაბედნიერებელი მსოლოდ განათლება და პოლიტიკური თავისუფლება გაწდავთ. ამას მშენიერად დაგიტკიცებენ ევროპული მეტნიერები და

ამასვე გაიმეორებენ ჩვენი რუსეთშიც. მაგრამ ახა წარმოიდგინეთ, განათლებულ დიდ ბრიტანიაში, სადაც უოკელწლივ ათობით და ასობით მაშინებს იგონებენ, სადაც ათობით და ასობით სამეცნიერო წიგნები იბეჭდებიან, ასე წინ წასულ ქვეყანაში რაღაც მიწებია უჭირავს 42,000 სახლობას და დანარჩენი 30 მილიონი კაცი უბინავო, უადგილ-მამულა. ასე რომ 42,000 სახლობა რომ შესდგებოდეს დასახლოვებით 200,000 სულიდამ, დიდ ბრიტანიის კუნძულებზე ერთ მემამულეს მოჭყეება 150 უადგილ-მამულა კაცი. იქნება ადგილი ცოტა? იკითხავთ თქვენ. სრულებიდაც არა, ინგლისი თავის ასლო კუნძულებით ოთხჯერ მეტია ქუთაისის და თბილისის ღუბერნიებზე, ზაქათალის მაგრაც რომ დაუმატოთ ამათ. ან იქნება ხალხის სიღარიბე წარმოსდგება ცუდ ბუნებისაგან? არც ეს ითქმის, რადგანაც ინგლისი თავის კუნძულებით მართლაც ისე ღარიბი არ არის ბუნებით, რომ იქ ხალხი შიმშილით კვდებოდეს. შეკცია, ნორვეგია და რუსეთი ამ მხრით უფრო ღარიბები არიან, მაგრამ იქ გლეხი ისე ცუდ მდგომარეობაში არ არის, როგორც ინგლისში.

რისგან მოხდა, რომ ხალხს, რომელსაც ყველაზე მეტად აქვს განათლება და პოლიტიკური თა-

ვისუფლებს, ჭყავს ვეკლასზე მეტი მშვიდი გლახა? ამაზე გიჰსახსებთ სამ სიტყვით: ინგლისელ დიდგაბების ორებით.

მართლაც ჩაიხედეთ ისტორიაში და ნახეთ რა ოსტატობით ინგლისელი ლაზრები თვალს უბამდნენ ღარიბ ხალხს თავისუფლების ჩუქებით. XI საუკუნეს ქრისტეს დაბადების შემდეგ ნორმანებმა დაიჭირეს ინგლისი და განადგურეს ქვეყანა თავიანთ ხელმწიფის საკუთრებათ. ხელმწიფემაც გაჭყეო ინგლისი 60,000 ნაწილად, 28 000 ნაწილი მიეცა სასულიერო წოდებას და 32,000 ახლად მოსულ ჩაინდებს. ამ ჩაინდებმაც ზოგიერთ მიწის ნაწილები დაარჩინეს დამარცხებულ ადგილობრივ მცხოვრებლების ხელში. მას ესე დამარცხებულ ინგლისელებს მოსულმა ნორმანებმა წაართვეს ბევრი და წართმეულიდამ აჩუქეს იმათ ცოტა რამ. ამ დამარცხებულების რიცხვი იყო 250,000-მდი. ხარჯს სახელმწიფოს ამდევდნენ მხოლოდ მდიდრები ე. ი. ის ახლად მოსული ჩაინდები, რომელთაც ერგოთ უკეთესი და უდიდესი ნაწილები მიწისა. ამასთანავე ხელმწიფეს ემსახურებოდნენ იგივე მდიდარი ჩაინდები. რა კი ამით დედადოთ ხარჯი და სამსახური, ამიტომაც გასაკვირველი არა იყო რა, რომ თან და

თან ამათვე უვარდებოდათ სელში მთელ ქვეყნის
მმართველობას; მათ მიანდობდა სელმწიფე კანონების
შედგენას და იმათ აღსრულებას. რასაკვირველია, ეს
მდიდარი წაინდები დასწორდნენ იმისთანა კანონებს,
რომელნიც იქნებოდნენ სასარგებლონი იმათთვის და
არა სხვისთვის. ღორდებმა შემოიღეს იმისთანა
რწმინდი კანონები, რომელნიც ზირველ შესდგით
დაბალ ხალხისთვის არ უნდა ყოფილიყვნენ შემავიწრო-
ებულნი, მაგრამ რომელნიც სამდგილად ცხლავრებაში
კი გამოდროდნენ მხრლად თავიანთ შემთხვეულ ღორ-
დებისთვის სასარგებლონი. მაგალითად, შემოდებუ-
ლი იყო მიჯნების გაყვანა კერძო და საზოგადო
მამულებში, მაგრამ ამ მიჯნების გაყვანა ისე ძვირად
უჯდებოდათ ღარიბებს, რომ ამათ თავიანთი მამუ-
ლები და საზოგადო მიწებიც უზვენეს მართებლობას
ღორდების საკუთრებათ და გამიჯნაკებისთვის ღორ-
დებმა მისცეს ფული. ამ გვარად მართებლობის ქა-
ლაღდებში ჩანდნენ მიწის მფლობელებათ ის მდი-
დარი ღორდები, რომელთაც მისცეს სასელმწიფოს
ფული მამულების გასამიჯნავათ. ამ ოფიციალურ
ქალაღდებით ისარგებლეს სხენებულმა ღორდებმა და
ღარიბ ხალხის მიწები დაისაკუთრეს. ამ გვარად ამ
საუკუნეში წვრილ-წვრილი მემამულები აღარ იყვნენ



ინგლისში, იუვენ იქ მხოლოდ მდიდარი მექამულები
 ნი რიცხვით 30,000. ირლანდიაში და შოტლან-
 დიაშიც, როგორც ინგლისის საკუთარ მიწებში, შუ-
 ძალებული იყო იგივე პოლიტიკა. ირლანდიის მი-
 წები ეკუთვნიან მხოლოდ 5,000-მდი მექამულებს და
 შოტლანდიისა—7,000-მდი. მართალია, მდიდარ
 ღორღების ცდილობით გამოიცა ამ უკანასკნელ
 დროს მანქებლობისაგან წიგნი, რომელშიაც ნახე-
 ნები იუვენ 972,836 ინგლისელი მექამულები, მაგ-
 რამ ეს რიცხვი დასაჯერებელი არ არის, რადგანაც
 ამ რიცხვში შესულან ისინიც, ვისაც თუმიც დიდი-
 ხნით, მაგრამ მანც დროებით უჭირავთ სხვისი მი-
 წები. ამავე რიცხვში შესულან ერთ დღიურზე ნაგ-
 ლებ მიწის მთლობელნი. ი ვით პარლამენტის წევრი
 ბრისტოცი ამბობდა 1872 წ., რომ ინგლისის ნა-
 სკვარი შეადგენს ას-არმოც-და-ათ კაცის საკუთრე-
 ბას, და შოტლანდიის ნასკვარი ეკუთვნის 10 თუ
 12 ღორღს.

ზოგს უკვირს, რატომ დიდხან არ იყოს ინ-
 გლისში ბატონ-უმობა; რატომ მოსხეს ეს წესი
 თვით ღორღებმა. ზოგი ამაში ხედავს თავისუფლე-
 ბის სიყვარულს ინგლისელების მხრით. მაგრამ ეს
 საქმე აიღსნება სხვათრიც, უფრო დასაჯერებელ გა-

რემოებით. იმ ქვეყნებში, სადაც დიდხანს ბატონ-
ყმობა იყო და ყმა მიწისაგან განუშორებელი ით-
ვლებოდა, ყმა იხეებდა თავის ნახნავ-ნათეს მიწას
და ამ მიწის ნაწილი მაინც რჩებოდა იმას განთა-
ვისუფლების შემდეგაც. ხი ამ მიწის დახეებისა უში-
ნოდით ინგლისის ღონებებს, როცა ისინი იყვნენ
წინააღმდეგ ბატონ-ყმობის გადაგდებისა.

უადგილ-მამულა ხალხი უმეტეს ნაწილად წავიდა
დღიურ მუშათ მდიდარ მეძამულებთან და ქალაქებში
ქარსნებში. ბიჭმინგამს, მანჩესტერს, ლონდონს და
სხვა ზოგიერთ ინგლისის ქალაქებს ჭყავთ თავიანთ
მცხოვრებლებათ ასი ათასობით დღიური მუშები,
ის მუშები, რომელთ მამა-პაპის ხელიდამ გამოაცა-
ლეს მდიდარ მეძამულებმა პატარა, მაგრამ ღარიბ
ხალხისთვის სამეოფი მიწები.

მაგრამ ბევრი უადგილ-მამულა გლეხთაგანი დარჩა
თავის მამა-პაპურ მიწაზე ფერმერთ. რო ამ ფერ-
მერების მდგომარეობა არ არის შესაშურებელი, ამას
ნახავთ იმ გარემოებიდან, რომ ირლანდიაში თით-
ქმის ყველა საგლეხო ფერმა შეიტყუეს ცამეტ დღიურ
მიწაზე ნაკლებს; ჯალაბიან კაცის შესანახავათ კი,
როგორც გამოცდილი კაცები ამტკიცებენ, საჭიროა
ცამეტ დღიურზე არა ნაკლები მიწა. სშირად იმავე

ირლანდიაში ფერმერს მიწის მოსაკლადამ რჩება მხოლოდ კარტოფილი; სხვა კი ეძლევა მიწის ზატ-რანს.

ამიტომაც 1848 წ., როდისაც ძრეულ ტუდი მოსვალა იყო კარტოფილისა, ირლანდიაში შიმშილი ჩამოვარდა. 1849 წ., როდისაც კიდევ დასუდათ ირლანდიელებს კარტოფილის მოუსვლელობა, ირლანდიაში 6 კაცში ერთი ითვლებოდა გლახათ. ამ შიმშილობის გამო წამდენიმე მილიონი ირლანდიელი გამოესალმა თავის დაუნდობელ სამშობლოს და გადასახლდა ამერიკაში; წამდენიმე ასე ათასი კაციც მოკვდა შიმშილით.

აი ამ მდგომარეობაში გახლავან ინგლისელები, შოტლანდიელები და ირლანდიელები. ისინი ღასაკვირველია, ვერ მოითმენდენ აჭამდი და აჯახულებოდნენ, თუ რომ ინგლისის მდიდარ შემამულებებს არ გამოეცათ კანონები, რომელნიც დაბალ ხალხს მითომ თავისუფლათ და მდიდრების სწორად სდიან სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში. მაგრამ რომ თავისუფლობით და თანასწორობით ვერ სარგებლობენ გლეხები, ამას მკითხველი ნახავს შემდეგ მაგალითიდან. გაჩსულ საუკუნის ბოლოს მმართველობამ მისცა ნება დეპუტატების ემორჩივისა ზარდამენტში იმ ღარბ სოფლებსაც, რომელნიც სა-

სელმწიფოს აძლევენ სარჯის მხლელად 12 მან. და
 რთხ აბანს (40 შილდინგს); ამავე დროს მემამუ-
 ლეებმა დაანაწილეს დიდი ფერმები და გადასცეს
 ისინი ამ 13 მანეთამდელი სარჯის მიძცემ სოფლელებს
 იმ პირობით, რომ ამათ ამოიწიონ დეპუტა-
 ტათ ის კაცი, რომელსაც უჩვენებს თითონ მემამუ-
 ლე.

მართლაცადაც მშიერ ხალხს რა თავისუფლება გამო-
 ადგება! ის ამ თავისუფლებას ერთ ლუკმა ზურისთვის
 გაჭყიდის დიდ სიამოვნებით. ამისთვის მშიერის
 დამრასვაც ძნელია.

ვინც მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევს ზოლი-
 ტიგურს თავისუფლებას, ის, რასაკვირველია, მე არ
 დამეთანხმება. ის იტყვის: „დეე მუშებმა ან სოფ-
 ლელ ფერმერებმა თავი დაანებონ თავიანთ მექარს-
 ნებს და მემამულეებს, თუ ესენი თხოულობენ იმათ-
 გან, რომ ჩვენი ნახვენი დეპუტატები ამოიწიეთ.
 მაშინ უმუშებოთ და უფერმერებოთ დარჩენილი
 ღორღები იმულებულნი იქნებიან მოწვიონ სელ-
 მურედ თავიანთი ძველი მუშები და ფერმერები და
 ველარ გაბედვენ იმათ შეწუხებას.“

რატა ამას ამბობენ ზოლიტიგურ თავისუფლების
 თაყვანის მცემლები, ისინი, რასაკვირველია ივიწყებენ

ერთ მტკიცე გარემოებას; ისინი ივიწეებენ, რომ მდიდარი მექარსნიეები და შემამულეები მდიდრები არიან და მხათ არიან რამდენიმე დღე და კვირაც დააგდონ შეუმუშავებლათ თავიანთი მიწები და უმრქმედეთ თავიანთი ქარხნები, რადონდ მუშა-სახლსა და სოფლურმა გლეხობამ არ გაიმარჯვოს და ნამდვილი თავისუფლება და სასკელმწიფო საქმეებში მონაწილეობა არ მიაშვოს. დღიური მუშები გი და ღარიბი ფერმერები რა დარჩენენ რამდენიმე დღე ან კვირა უმუშათ შემშლით დაინოცებიან.

ესე, ბატონო ღიბურალებო, თქვენი პლანი არ ვარცა; უნდა დარწმუნდეთ, რომ ინგლისის და ირლანდიის გლეხს არ არგებს თავისუფლება, თუ რამ არ იფიქრეთ ამ გლეხის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

აქ საჭიროა დაუმატოთ, რომ ამ საუკუნეში დაუნდობელ, ანგარ ინგლისელ მდიდრებში აღმოჩნდა რაიმედ პატიოსანი კაცი, რომელთაც ნამდვილად უყვართ დახარული დახალი სახლი და იმათთვის სასარგებლო განახლები გამოაცემინეს ინგლისელ პარლამენტს. გლეხობის მოყვარენი კობდენი, ბრაიტი და გლად-

სტონი არას დროს არ დაავიწყდებიან ინგლისელ ხალხს.

მეტად შესანიშნავია გლადსტონის და იმის ამხანაგების ცდით გამოცემული კანონი ირლანდიელ ფერმერების და მუშების შესახებ (ბილლი, 1872 წ.). ამ კანონის ძალით ისე ადვილი არ არის ფერმერის გაგდება იმისგან შექმნივებულ მიწიდან, როგორც ადრე იყო. მეტად შესანიშნავია ის ნაწილი კანონისა, რომლის ძალითაც მმართველობა ფუფუნით უშველის ღარიბ ხალხს მიწის შესყიდვაში. თუ ფერმერი ან მუშა მოინდომებს მიწის ყიდვას მეძამულისაგან და ფასიც გადასწყვიტეს ამათ, მაშინ ამ ფასის ორ მესამედს აძლევს მეძამულეს ფერმერის ან მუშის მაგიერ მმართველობა იმ პირობით, რომ ფერმერმა ან მუშამ დაუბრუნოს მმართველობას ეს ფული 35 წლის განმავლობაში და 100 მანეთზე მისცეს 5 მანეთი სარგებელი. ეს კანონი ცოტად მაინც შეამსუბუქებს ირლანდიელ გლეხის ძნელ მდგომარეობას. მაგრამ ბევრი რამ არის კიდევ სასურველი, რომ ინგლისელ, ირლანდიელ და შოტლანდიელ დაბალ ხალხს დაავიწყდეს შიმშილით სიკვდილი და ისარგებლოს იმან თავის კანონიერ პოლიტიკურ თავისუფლებით. აი მაგალითად, გარკვეი იქნებოდა, რომ კანონმა



ვალდებულნი გახადოს მეძამულენი, რომ ამით მიჭყიდონ ღარიბ ფერმეურებს ამათგან შემუშავებული მიწები. უფრო კარგი იქნებოდა კანონით ტაქსა დედას ამ მიწებს, ე. ი. კანონმა გადასწვიტოს, რა ფასითაც უნდა მიჭყიდოს მეძამულემ გლეხს მიწა. მართლაც, აი რა ჭარბებს გამოსთქვამენ გლადსტონის ჰარტიის მომხრენი: ჯონ როსსელი ვერ კიდევ 1849 წ. ამბობდა, რომ სასოგადო მიწები, დაჩემებული მეძამულეთგან, იყიდოს მმართველობამ და დაურიგოს ღარიბებს. ჰარლამენტის წევრი ბრისტლი უჩიევდა მმართველობას: ფერმეურებს უუიდეოთ იმათგან შემუშავებული მიწებიო. ეკონომისტი ჯონ სტუარტ მილლი ამტკიცებს, რომ სასოგადო მიწები უნდა ჩამოერთვათ მეძამულეებს, და მმართველობამ უნდა ასესხოს ფული ყველა ფერმეურებს, რომ ამით შეისყიდონ თავიანთგან შემუშავებული მიწები.

მაგრამ გლადსტონის ჰარტიის სურვილი ვერ ასრულდა, უძრავლესობა ანგარ ღორღების მხარეს დაჩნა, გლადსტონი და იმის მინისტრები იძულებულნი



საზოგადოებრივი ინფორმაციის ეროვნული ცენტრი
- ეს არის ეროვნული ცენტრი ინფორმაციის ეროვნული ცენტრი
- ეს არის ეროვნული ცენტრი ინფორმაციის ეროვნული ცენტრი

ზარზანდელ ქართულ მწერლობის

ზადათვალთქება.

ამ უგანასკნელ ორ წელს მოქმატა სიტუცსლე საზოგადოდ კავკასიელ და მეტად ჩვენ მწერლობას. ორი რუსული გასეთი, რომელნიც ჩვენში ამ ორი წლის წინად გამოდოდნენ კვირაში სამკერ, გარდიქნენ ესლა ყოველდღიურ გასეთებათ. „დროება“ ამ გზას დაადგა. შარშან დაგებადა კიდევ ახალი ქართული გასეთი „ივერია“, რომელიც გვეწვევა ხოლმე კვირაში ერთსელ დიდ თაბასობით და რომელიც ზოგჯერ ივიწებს თავის გასეთობას და ხემულობს ყურნალობას. ამის გარდა ახალ წლიდამ გვემატება ახალი ყოველდღიური რუსული გასეთი უფ. ნიკოლაძის (სკანდელის) „მიმხნილვა“ (Однорук), რომელიც გვზირდება კავკასიელ „ტაიმსობას“. მთავრეთ ამ ორი წლის წინანდელი ჩვენი ლიტერატურული უარწარობა და ეს გასეთების სიმრავლე, რა გვარნიც ივენენ ისინი—სულ ერთია, გვეჩვენება მწერლობის სიმდიდრეთ. რა არის მიზეზი ამ ლიტერატურულ გამდიდრებისა? ომი, მიზასუსებთ

მოვიხდომეთ და მწავალგვარ სავნების დასასყლე-
 ბის მაგიერ ვისურვებთ დასასყლებს ერთ ვაცის, ჩვენ
 უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ მწერლობის გაღვიძების
მიზნები იყვნ. ნიკოლაძე (სკანდელი). ჩვენში ბევრი
 იმისთანა ვაცია, რომელნიც ვერ იცნობენ კეთილ
 სინიდისიან შრომის ნაყოფათ უფ. ნიკოლაძის ნა-
 წერებს, მაგრამ მე მგონია ესენიც დამეთანხმდნენ,
 როცა ვიტყვი: უფ. ნიკოლაძეს აქვს ისეთი ლიტერ-
 ატურული ნიჭი, რომელიც აღვიძებს ბევრ ძმინა-
 რე მწერალს და ააღვიძებს იმათ ვალამს ხელში.
 1870 წლის აქეთ ვადევნებ თვალს უფ. ნიკოლაძის
 თხზულებებს და შემომხსენია, რომ როგორც ნი-
 კოლაძე გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე, მა-
 შინვე ასტუდება სოფელ ლიტერატურული აყალ-მა-
 ყალა: ზოგი მიწასთან ასწორებს ამ მწერალს, ზო-
 გი მითომ ესაჩჩლება იმისგან გამოთქმულ აზრებს,
 ზოგი მოიგონებს თავის დავიწყებულ თხზულებას და
 ასწორებს და ცდილობს იმის დაბეჭდვას, ზოგსაც,
 გატაცებულს ნიკოლაძის ცოცხალ სტატიებით, ერთ
 წამს მაინც შეუვარდება მწერლობა და გასეთუბის
 ბეჭათად ვითხოვ. იქნება ეს გავლენა ჩვენ შემოხ-
 სესებულ მწერლისა ვინმემ აღსწავს ამ მწერლის გეს-
 ლიანობით, ვიუტ გახდებით სიმართლისა და ზა-

გადათვალერება

ტიოსნებისა. ამის მიქმელს ჩვენ ვუჩინებთ გადა-
ათვალერებს ჩვენი ძველი „ცისკრები“ და სსკვ. ყუჩ-
ნალ-გასუთები; იქ იზოვით ბევრ ლანძვას, ბევრ
ცხადად-უსამართლო ღებებს და თვილინიკებს, მაგ-
რამ ამ სისამაგლეს არას დრეს არ დაუბადია მწერ-
ლობაში სიტყვცხლე. სსკვ არა იყოს რა მოიგონეთ
რუსული ყუჩნალი „საქმე“ (Дѣло) და რუსული
გასეთი „ახალი დროება“ (Новое время); ამ
ბევრ უსათუძვლო ლანძვასაც იზოვით და უსამარ-
ლო ქებასაც, მაგრამ ამით არას დრეს არ მიუციათ
რუსულ მწერლობისთვის სიტყვცხლე. არა, ნ. ნიკო-
ლაძე მიქმედებს ესე ძლიერად ქართულ და საზო-
გადოდ კავკასიელ მწერლობასე თავის ცოცხალ კალ-
მით, თავის ლიტერატურულ ნიჭით და გამცდლი-
ლებით. ეს ნიჭი და გამცდლილება აძლევს უფ. ნი-
კოლაძეს დონისძიებას, გაიგოს ყოველ წამს—
ვისთვის და რისთვის უცემს გული საზო-
გადლებას, რა აცინებს და რა ატირებს მკითხ-
ველს.

რაც უნდა იფიქროთ თქვენ, მკითხველო, უფ.
ნიკოლაძეზე, ეს კი უეჭვო ჭეშმარიტება განლავთ,
რამ ჩვენ მწერლობას ამ უკანასკნელ დროს და მკ-
ტად შარშან უცემდა მკვ. ადრინდელი მკტად. და-

ვიწუთ სულგუნურ თხზულებებიდაც. ამ მხრივ რასაკვირველია ნათარგმნები შარშან მეტი გვეხანდა, ვინამ ლ. გიგინეაძის თხზულებები. უკვლახე მეტი უწყრადლება ქართველ მკითხველების მხრივ მიქცეული იყო „მეფე ღირსე“. ეს გამომჩენილი თხზულება შექსპირისა იყო ნათარგმნი იღა. ჭაჭავაძისაგან და იგ. მანბლისაგან ინგლისურნიდაც. ამას იქითაც ვაჩივებ იქნება, რომ გამოვესაღმთ უცხო ქვეყნელ თხზულებების თარგმნას რუსულნიდაც. რუსულ მწერლობაში, როგორც იქაურმა კრიტიკამ აღმოაჩინა, ბევრი უნიჭო, უკეთ ვთქვას, უგვარო თარგმანია. ვისაც წაუკითხავს ჭინე ნემეცურ ენაზე და რუსულზე, ვისაც წაუკითხავს „ტარტიუფი“ ფრანგულად და რუსულად, ის დარწმუნებულია, რომ დიდი განსხვავებაა ნემეცურ და რუსულ ჭინეს შუა, ფრანგულ და რუსულ ტარტიუფის შუა. რუსულად დამახინჯებულ კლასიკების თარგმნა ქართულად სწორედ სავსეა საქმეც არის. ქართველი მკითხველები მოიძულევენ კვრამბიელ გენიოსებს უგვარო ქართულ თარგმნების გამო. ამ მხრით სწორედ თანაგრძობის ღირსია „მეფე ღირსის“ ქართულად გადმოღება. ამ თარგმნის სისწორეზე ლაპარაკი მიგვიჩნდება იმათთვის, ვინც რიგიანად იცის ინგლისური და ქარ-

თული ენები. მანც კი ვიტყვით, რომ დიდად ეჭვში ვართ, შეიძლეს თუ არა „მეფე ღირის“ მთარგმნელებმა ამ ტრადიციის ხასიათის გამოთქმა ქართულად. მაჩქედნი პირნი ამ თსულებში დაზარალებულ გრძელწინადადებებით და ერთ უბრალო აზრის გამოხატვით ხმარობენ მძიმე მწიგნობრულ ენას. ეს დაზარალების გაჭიანურება ცოტად მანც ასუსტებს იმ ღრმა შთაბეჭდილებას, რომელიც რჩება ხალხმეგობრულად შექსპირის თსულების კითხვიდან. უკეთეს რუსულ ნათარგმნებს შექსპირის ტრადიციებისა, რამდენადაც გვასწავს, ეს ნაკლებად აზრს აქვთ და ამიტომაც მეტი შთაბეჭდილება რჩება იმათგან მკითხველს.

ამის გარდა „მეფე ღირის“ გადათვალისებრებაზე გიბრუნებ იქ ერთი ადგილი ძნელად გასაგებია იმათთვის, რომელთაც რუსულად არ წაუგითხავთ ეს თსულება. მესამე მოქმედების მეოთხე სანახავეში ტრიალ მინდორზე ღირს ახლავან გლესტერი და კენტი, რომელსაც ტანისამოსი გამოუცვლია და ამის გამო ვერ ვინ იცნობს იმას. გლესტერი ეუბნება კენტს:

„მის (ღირის) დეიძლი შეიძლი ხასიკვდილოდ მას იმეტებენ!

კეთილთა კენტო!... უოკელი ეს მან წინად იგონებ...
 ვაი უწყალოდ განდევნილსა?... შენ მეუბნები,
 რომ სელმწიფესა ჭკვა-გონება ეკარგება...
 აქ მკითხველს ეგონება, რომ გლასტონის
 იცნო კენტი, რადგან ამას გლასტონი ეუბნება:
 „კეთილთა კენტო!“ საჭირო ვია, მკითხველი მაშინ-
 ვე მისგან, რომ გლასტონი ვერ იცნობს ტანთ-
 გადაცმულ კენტს და თუ ამბობს „კეთილთა კენტო“,
 ეს იმითომ, რომ ის იგონებს თავის ძველ გან-
 დევნილს ნაცნობს და იბრალებს იმას. ეს ადვილი
 გასაგებია დრეჟინინის რუსულ თარგმანში. აი რას
 ამბობს იქ გლასტონი შემომოყვანილ სიტყვების
 მაგიერ: „იმის (ლირის) სიკვდილი სურთ ქალებს.
 ახ, კეთილი კენტი! სად არის ესა ის! უოკელი
 ეს იმან წინადვე სთქვა! შენ ამბობ, სელმწიფეს
 ჭკვა-გონება ეკარგება... ამ სიტყვიდან მკითხ-
 ველს ადვილად ესმის, რომ გლასტონი იგონებს
 კენტს, მაგრამ ვერ ვი იცნობს იმას, იქვე
 მდგომსა.

თვით შეესპირზე და იმის «მეფე ლირზე» ბევრ
 რი კრატეური გვათქმის ამ მცირე სტატიაში. ხვან
 სრულდებაც კრიტიკის წინ არ გვდამუბია. ჩვენ
 დაგზირდით გადათვალიერებას.

ჯესინგის შემდეგ კვრამიელ კრიტიკამ იცნო შექსპირი გენიოსათ, რომელმაც მშვენიერად იცის ვაჭის ხასიათი და იმის ცხოვრებად გამოხატვა პოეტური ტრადიციებში. ამ უკანასკნელ დროს სომხისინატრებმაც კი იცნეს შექსპირი მცოდნეთ ადამიანის ხასიათის სწეულებებისა. აღმოჩნდა, რომ ეს გენიოსი ისევე სწორედ სატავს შელახსოლიკებს და ლუნატკებს, როგორც ანხსლებს, ორგულებს, შუკინებს და სხვა ადვილად შესახვედრ ხასიათებს*).

„შეფე ლირი“ ერთი უკეთეს ტრადიციათაგანია შექსპირის რეპერტუარში. ეს თხზულება გარდაგიშლის ერთ სახარკულ სურათს; საშინლად დიდი და გამრყენელი გავლენა ჰქონია ჩვენ ცხოვრებაზე შექსპირს, მატერიალურ ძალას, ხანამ ღირი ბრძანდებოდა ყოველ შემქმნელ მეფეთ, ის იყო დიდ განცხრომაში, იმის წინააღმდეგ სიტუვას ვეჭვინიტყოდა დაუსჯელად. მაგრამ აკემ იგოვე ღირი, რადა ის მეფეთ აღარ არის, სათამაშოა თავის უსადურ ქალების ხელში. დაჭკარვა იმან თავისუფლებს და ამ უბედურებით გაგიყებული გარბის მინდორში, ტყე-ღრეში, საშინელ ღამეს, ქაჩიშხალს

* იხ. საინტერესო სტატია მაუცლასა: „ჰამლეტი“ (რუს. ეურნალში „ცოდნა“, 1874).

და ნიაღვარში. შექლება, მატერიალური ძალა შარტო გარეუვის ვი არა ვაცს, აბრმავეს ვიდრე იმას. ლიჩის ქალები, რაღა ისინი მიიღებენ თავის მამისაგან სანუჭრათა იმის სამეფოს, ივიწყებენ მამა-შვილურ გრძნობას და ისე ავიწროებენ თავიანთ გამახედნიერებელ მამა ლიჩს, რომ ეს იმულებულის გაატაროს ღამე უბინაო გლახასაებ მინდორში სასაშინელ ავდარს. ქალები ვი გრძნობენ თავიანთ თავს სამართლიანებათ. ძარტლადაც, ისინი თქვამენ: „რასაკვირველია, მადლბელი ვართ მამისა, რომ იმან სამეფო ვკახუქაო, მაგრამ ამან ხომ ვაღდებულაი არ ვაკვსადა ავიტანათ უოველგვარი ჭირვეულება ტვინგამოლეულ მოხუცისაო.“ თვით მეფე ლიჩიც თავის ცოდვებს ჭგრძნობს მხოლოდ უბედურებაში. მხოლოდ ღამე ტრიალ მინდორზე აგონებს იმას ღარიბებს და დაჩაგრულებს:

„ტიელ-ახერხო, უბედურხო, შიშველ-ტიტველხო! რას შვრებით მამინ, რას მოვასწრობთ ესეთი ღამე?... მშიერ-მწყურვალნი, უძოსელნი, უსახლ-გარონი ნეტა ვით იტანთ ამისთანა ვაი-ვაგლახსა?

ვანი რომ ესდენ ცოტა თქვენზედ მე მიზრუნვია!“

მხოლოდ უბედურებაში ესმის ლიჩს, რომ ეს ქვეყანა სამსკა უსამართლობით; აი უბინაოთ დაგ-

დებულები გადაკარგულ მინდორზე რას ამზობს
ღირსი:

რაგერ მოკასზე ასწიობს ფლიდსა და მატუყარსა..
მტირე რამ ცოდვა კაცს ძონსებ ქვეშ თვალში ეცემს
და ფარხის ქვეშ კი უოკელავე დაფარულია.
ოდონდ მქროთი დანტყერე შენ დანაშაული
და თვით ღახკარი სამართლისა ზედ შეემსგვრეკას!...
ძონძში სვეულს კი ზიგმეოსის ჩაღაც განტკმირავს!
არავინ არის დამნაშავე ქვეყანაზედა!...
არავინ არის ბრალეული! არა, არავინ!

მათი მოსარჩლე მე ვარ მეთქი! ეს დაიხსომე!“
ამ ჩვენ დაუნდობელ ცხოვრების სურათს შექ-
სპირმა ჩატატა რი სპი ანგელოზი სული, მაგა-
ლითებრ ღირის უმცროსი ქალი—გორდელია და
კენტი, რამეზნიც თავიანთ ვეთილ-შობლურ მქ-
მედებებით თითქმის გვანუგეშებენ: »ნუ დავარდე-
ბით, გამხნევდით, ცარიელ ღონეს და შეძლებას არ
დარჩენიაო ბურთი და მეიდანო, ქვეყანა მარტო ავა-
ზაკებით არ არის სავსეო, ვეცადოთ და ამ ჩვენ
ცოდვილ მიწაზე ატყუავდება ძმობა, თავისუფლება და
თანასწორობა!“

ამის გარდა შარშან «ივერიაში» და „დროებაში“
ითარგმნებოდნენ ზატარ-ზატარო მოთხრობები ასაღ

ფრანციელ მწერლების ეკემან-შატრიანის და ალფ. დოდესი. დინსია აგრეთვე ეუზადდებისა პატარა მოთხრობა ამერიკულ ცხოვრებიდან „ვირთაგას“ („დროება“ № 15, 16), ნათარგმნი ეკ. ღვინია-შვილისაგან. აქ ცოცხლად, მაგალათით ნახვენებს, რომ კაცის ზნეზე დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ წესს; ხშირად სიღარიბეა დედა ეფექტუალად აკაცობისა, მაგრამ კაცის ხასიათი ადვილად გამოიცილება, კარგ გზაზე დადგება, თუ რომ ბოლოს მოუღებთ სიღარიბეს, უსამართლო სიმძლავრეს და სხვა ჩვენ ცხოვრების ჩვეულებრივ უგვარობას. ამგვარი აზრები მოგდით თავში, როცა კითხულობთ კანთომოვანობით, გრძნობით საგსე სტრიქონებს „ვირთაგასისა“.

სანამ არ გაგვითავებია შარშანდელ ქართულ ნათარგმნებსე საუბარი, ვიტყვი აქ ორიოდ სიტყვას იმაზედ, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ესა ჩვენში საზოგადოდ ხელმოწერილ თხზულებების თარგმნას.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი ახალი ხელმოწერილი მწერლობა შორს ვერ წავიდა; ის დიდისნია შესდგათ. ილ. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის ლექსებსე, „კაცია-ადაშიანსე“ და „მგზავრის წიგნებსე“ ჩვენ

ახალ მწერლობას უიწოდო. ჰუმბლიტისტიკური ხასია-
 თი აქვს. გერტ ერთმა ჩვენ მწერალთაგანმა, გამო-
 სულმა სალიტერატურა ასპარეზზე ამ უკანასკნელ
 ათ წელს, ვერ გამმოიხინა შესანიშნავი პოეტიკური
ნიჭი. ან უკანასკნელ ათ წელს ჩვენ უწინააღ-გაზე-
 თობაში გვინახავს ბევრი ცოცხლად დაწერილი ფელ-
 ტონი, საიუძელებანი ჰუმბლიტისტიკური სტატია, მე-
 ტად საინტერესო პოლიტიკური წერილი, მაგრამ
 ნიჭიერად დაწერილი ქართული ლექსი ან სტენა ამ
 ათ წელიწადში გვინახავს ცოტა, და რაც გვინახავს,
 ის შეადგენს ძველ კალმის ნაწარმოებს. სელოვნუ-
 რად დაწერილი კომედა, მოთხრობა ან რომანი
 ხომ სრულებით არ შეგვხვდრია ჩვენ მწერლობაში
 ამ უკანასკნელ დროს. იმ მეორე ხარისხის პოეტებ-
 მა და საზოგადოდ მწერლებმა, რომელთაც არა აქვთ
 სერსი ან დრო შეთხზან რამე გამომჩენილი, რთი-
 გინაღური, რომ მიჩუონ სელი თარგმნებს, უკეთე-
 სი იქნება. აწავისთვას საიდუმლო არ არის რომ
 არც ერთ ვლასსიკს რიგინად არ იტნობს ჩვენი მკით-
 ხველი. იმისთანა უკვდავი თხზულებანი, როგორც
„ტარტიუვი“, „ოტელლო“, „მაგბეტი“, „ფა-
უსტი“, „ავანკები“, (შილდერისა), „ჩაილდ-
ჭარლდი“, „მანფრედი“, „კერტი“, „ვეკფილ-

დის მღვდელი“ და სხვ. ჯერ არ არიან ნათარგმნი ქართულად. იქნება მითხრან, რომ ამ გამომხილ თხზულებების თარგმნა სანამ ჩვენთვის ძნელია, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენში მეტად ცოტამ იცის ეკრძაიული ენები. მე, სწორედ მოგასენოთ, ამაზე თანახმა არ ვახლავართ; თუ ინგლისური და ნემეცური ცოტამ იცის ჩვენში, ფრანციული და რუსული ხომ მაინც უნდა ქონდეთ რიგინად შესწავლებული იმ ჩვენ ასაღვანდა მწერლებს, რომელთაც თავიანთ უკეთესი დრო შეუწინავეთ მოგზაურობისთვის ეკრძაში. ამაზედაც, რასაკვირველია, შეგიძლიანთ მითხრათ, რომ შემოსხსენებულ განთქმულ თხზულებების თარგმნისთვის საჭირონი არიან ნამდვილი ნიჭიერი პოეტები, რომელნიც ჩვენ სამწუხაროთ გვაკლიან. მაგრამ ვერც ამაზე რე დაგეთანხმებით, რადგანაც თუ „ოტელლოების“ და „ჩაილიდ-ჭაროლდების“ გადმოღება მეტად ძნელია, არა მგონია ძნელი იყოს რადენიმედ ნიჭიერ და სვინიდისიან მწერლისთვის გადმოღება უძელ ზოლას რომანისა (გინდ შემოკლებით) ან პომილავსკის და მის. მიხეილავის მოთხრობისა. და ჩვენთვის ხომ უსარგებლო არ უნდა იყოს ამ ნიჭიერად დაწერილს და კაცთმოყვა-

რეობით სავსე თხზულებების თარგმნა, და თუ
თქვენ ამ თხზულებებს ვედაც მეტყვიით, მნელი სა-
თარგმნიანი არიანო, მაშინ ყველა დარწმუნდება,
რომ ჩვენ ახალგაზდა მწერლებს შეუძლიანთ მხოლოდ
კანცელარიული მწერლობა.

აქ უნებლიედ მიგონდება ქუთაისელ ახალგაზ-
დების წრე, რომელიც შარშანწინ მეტად ბეჯითად
სთარგმნიდა სხვა-და-სხვა დრამებს და კომედიებს
და არდგენდა იმათ არა ნაკლებ ბეჯითობით. შარშან
ამ წრესე ადარაფერი ადარ ისმოდა. ეს არის, კით-
ხველო, ჩვენი ბედის წერა: ჩვენში ყოველი კეთილი
საქმე ძალიან ადრე იღრჩობა. რამდენადაც მასსოვს,
ხსენებულ წრეს სხვათა შორის გადუთარგმნია ოს-
ტროვსკის ერთ უკეთეს კომედიათაგანი „შემოსავ-
ლიანი ადგილი“ და გამორჩენილ ფრანციელ მწერ-
ლის ბომარშეს «ფიგაროს ქორწინება». თუ ეს
თხზულებანი სკრსიანად არიან ნათარგმნნი, იმათი
დაბეჭდვა ასკვერ უფრო სასარგებლო იქნება ჩვენ
საზოგადოებისთვის, ვინამც დაბეჭდვა ათას უბო-
ლოვო კორრესპონდენციებისა ამინდზე, სხვა-და-
სხვა ჩინოვნიკების გასაოცარ პატიოსნობაზე და
სხვა მოულოდნელ შემთხვევებზე. შემოსენებულ
ოსტროვსკის კომედიაში საკვირველ ცოცხალ სუ-

რატეხში გამოსატყულის რუსული ჩინოვნიკობა; «თი-
 გარას ქარწინება» დაწინვას იმთხედ, რომელთა-
 თვის დიქრთს მიუცის კარგი გვარის-შვილობა და
 შქაქება, და არა ნიჭა, ჭკუა და შრომის სიყვა-
 რული; დაბალ სალსილამ გამოსული ხეწიანი ფიგა-
 რა ადვლად ამარცხებს თავის ახნაურ-ბაჯრას.

ეს სატირიკული პიესები ისევე სასიამოვნონი
 არიან კითხვაში, როგორც სტენაზე; და ამიტომაც
 განვიძეარებთ: სასურველია, რომ ისინი დაბეჭდნენ
 ქართულ ენაზე, თუ გადმოთარგმნილნი არიან ნიჭია-
 ნად.

ქართულ რიგინალურ თხზულებებში შარშან
 ყველანე მუტი ყურადღება იყო მიქცეული ჩვენ მკით-
 ხველების მხრით უფ. ქსნის-ხეველის ლექსე: «მუშა
 ბოქულაძე» («ივერია» № 7). ბევრი რამ დაწერილა ჩვენ
 ახალ მწერლობაში მუშასე. ახალგაზდა პოეტები ცდი-
 ლობდნენ ჩვენ მუშისთვის ეთქმინათ ის, რასაც თი-
 თონ იეიქრობდნენ ან რასაც იეიქრობს უკროპიელი
 თავისუფალი მუშა. ახალ ლექსებში გამოითქმებოდა
 ხოლმე ჩვენ ესლანდელ საზოგადოებრივ წკის ური-
 გობა, შრომის მნაშენელობა და სხვის შრომით
 უსვინიდილ საზრკებლობა. მაშინვე მიხვდებოდით,
 რომ ახალ პოეტს არც კი უნახავს რიგინად ჩვე-

ნებურნი მუშა და ათქმინებს იმას უცხო ქვეყნულ წიგნებიდამ გამოკითხულ ჭასრებს.

— აი გინდ ავიღოთ შარშან «იუკრიაში» (№ 6) დაბეჭდილი ლექსი ოქრიაშვილისა «მუშის სიმღერა».

ამ ლექსში მუშას ესმის მშვენივრად, რომ საზოგადოებრივი წესის ბრალია დაბალ ხალხის სიღარიბე; აქ მუშა უიძულო არ არის, ის გაბრახებული, ამაყი თხოულობს სხვებისაგან სამუშაოს: აქ თითქმის მუშა გრძნობს თავის თავში ძალას; აი რას ამბობს ის:

«მე არ ვთხოულობ არავისგან მოწყვლებასა, და ამითი არ დავამტირებ ჩემ ღირსებასა;

შრომის დაგვარად ვითხოვ ოქკენგნით დაჯილდოებას. ქვის გულისანო! უფრო არ უგდებთ ჩემს ვედრებასა?

საქმე იმაშია, რომ ეს ლექსი მიხამდა ტომის გულისადმი და ამგვარი სიტყვები უაღვილონი არ არიან ნემეტურ არ ინგლისულ მუშის პირში, რადგანაც ევროპაში მუშა დაჯილდოებულია ცოტად ძანც მთლიტოურ თავისუფლებით და განათლებით. ჩვენ მუშას ადბეჭდილი აქვს სახეზე საშინელი უიძულობა, უილაჯობა. ჩვენებური მუშა ადარც კი დაეძებს თავის სიღარიბის ძახელს, რადგანაც ის თავის თავს გრძნობს ისე სუსტათ, რომ იძუდრც არა აქვს გააუძვობეს თავისი მდგომარეობა. ამ საცლოდა-

ვისთვის ნუგეშის მცემელი მსოფლოდ სარწმუნოებას და ეს ავიწყებინებს იმას თავის უბედურებას და შუბრის გებას. სასარება, სულის უკვდავება, თანასწორობა საიქიოს, უზარუნველ ემანვილობის მოგონება, — აი რა ჭკლავს ჩვენ მუშაში იმ სიბრახეს, სიანხსლეს, რომელსაც ვხედავთ ევროპიელ მუშაში, როცა ეს იგონებს თავის დანაგვრას და ქვეყნის უსამართლობას. უფ. ქსნისსეკელმა, რამდენადაც გვასსოგს, პირველად გამოგვისახა ამგვარი სურათი ჩვენებურ მუშისა. უფ. ქსნის-სეკელის მუშა ბოქულაძე აი რას ეუბნება «გახტნრომის ძეს, ნებიერად გაზრდილსა:»

«ეჭ, ძმავე, წადი შენ შენს ბრახეს სიმღერით... მე ჩემ ბარგსა როგორმე იქ მოვისსნი... სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი, საუკუნოდ განსასვენსა ალაგსა!..»

ასე განუსაზღვრელი სიმშვიდე გამოითქმება მსოფლოდ ჩვენ მუშისაგან.

ერთი სიტყვით «მუშა ბოქულაძე» ისეთივე წმინდა სახალხო ლექსია, როგორც ალ. ჭავჭავაძის «ლოთებო, ნეტავი ჩვენა» და გრ. მარბელიანის «იანაღისადმი» უდი. მნიკოვის «დარდები» და «მუხამბახები.» შინაარსით კი ქსნისსეკელის «მუშა

ბეჭეულს» უფრო მაღლა დგას აქ სწავებულ ლექსებსზე, რადგან უფ. ქსნისსეკელის ლექსში მუშის ხასიათით ისტეება ჩვენი ხასოგადობრივი წესი. ამ ლექსს რომ ვითხულობთ, გატყდით მკითხველს, უეჭველად მოგივსთ თქვენ თავში შემდეგი ფიქრი: ჩვენში ვატი რომ იღუბება, ის ვერც კი ბედავს დასწევებს თავის დამღუბველი, ან იქნება ჩვენში დაღუბული ვატი ისე საშინლად დაღუბულია, რომ ვერც კი სედავს ხოლმე ის თავის დამღუბველს. ჩვენ დახატულ მუშის ხმაში ისმის მხოლოდ მონახება, უბოლოდ მონახილობა, დამამინიჭებელი ვატის ღირსებისა.»

რავი შარშანდელ სელსენურ თხზულებებზე დავიწყეთ ლაზარაკი, აქვე უნდა მოვავტონთ მკითხველს რაფ. ერისთვის ფელტონი «ავლიანე ერონტის ხანამბობი» («დროება» № 8 და 9). აქ ავტორი ლაზარაკებს თბილისში ჩამოსულ გურულს, რომელიც მთლად ვადურევიათ ცუდლუტ ქალაქლებს თავიანთ მასხარობით. «ერონტის ხანამბობი» თითქმის თიატრში წასაკითხავათ იუოს დაწერილი.

მაგნიამ ჩვენ მწერლობაში ხელეწიურ თხზულებებს ამ უკანასკნელ დროს დაჭკარგეს თავიანთი შიშველი ადგილი. ჯერ მეფობდა აკაკის თეატონი, ესეა მეფობენ ზუბლიცისტიკური სტატეები და ცარიელი გასეთური შენიშვნები. ამას გვიმტვიცებს ის გაჩემობაც, რომ ჩვენ ესეა გვაქვს სამი გასეთი და არც ერთი ყურნალი; ლექსები და მოთხრობები ან ობლათ, ცალკე წიგნებათ გამოდინან გასეთების მივარველობის ქვეშ მოიკუნტებიან რომელიმე გადაჭარგულ კუთხეში უთვალავ კორრესპონდენციების შუა. მას ჩვენი ვაღია გადავათვალეერთ ის მძლავრი ზუბლიცისტიკაც, რომელსაც ესეა ჩვენში შიშველი ადგილი უჭინავს.

როგორ აღსნეს ჩვენმა ზუბლიცისტებმა და ზოლიტიკოსებმა ადმოსავლეთის საქმის გამო ჩამოვარდნილი ევროპაში აყალ-მყალი? როგორ უყურებდნენ ჩვენი მეგასეთეები იმ ხანგრძლივ ომს, რომელიც ატეხილია სლავიანების, რუმინების და რუსებისგან ოსმალეთთან? ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ ქართულ მწერლობაში ამ მძიმე საქმეების განსილვა ვერ დაიწყეს რიგინად. „იკერია“ თავის აღტაცებულ მოწინავე სტატეით ომზე (№ 8) დაედარა იმ რუსულ გასეთებს, რომელნიც კი არ

ამდევან საჭირო რჩევებს საზოგადოებას და იმის ძრიელ პირებს, ანამედ ენაზე ადგიათ მოაღოდ ერთი ლაქიური ლექსი:

Ваши рѣчи—истина святая,

Ничего умнѣе не слыхалъ.

სსენებული მოწინავე სტატია „ივერისა“ ამტკიცებს, მითომ რუსის ხალხს გამოეცხადოს ომი ურჯულთა ოსმაღობისთვის. „ღრრება“ იმულებული იყო აედსნა სსალ ქართულ გასეთისთვის, რომ მართებლობა უცხადებს ომს მართებლობას და ანა სსალსი ხალხს. იქნება „ღრრებამაც“ დაივიწყა ეს ტკომარტება ერთ თავის „დამატებით“, რომელშიაც ქართული ქართველი ურჩევს ოსმაღეთის ქართველებს ჩვენკენ გადმოდიოთ; მაგრამ ის სომ ვიცით, რომ ეს რედქციის მოწინავე სტატია არ არის.

ამ კეშურებით დაუმატოთ, რომ „ივერიაში“ სწორს სხვა კალამიც, რომლის გულწრთელობა ჩვენთვის უეჭვია. გადაათვალიერეთ უცხოეთის მიმოხილვა და საზოგადოდ პოლიტიკური სტატიები ამ გასეთისა და თქვენ დაწმუნდებით, რომ ამათი ავტორი ერთმხრივ არ უცქერის ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას; თქვენ დაწმუნდებით, რომ „ივერიაში“ ზოგიერთ მწერლის სათუთკლიანმა ცოდნამ პოლიტიკურ

ლიტერატურისა და სხვა ბედნიერმა გარემოებამ გა-
 დუმდა შარშან ქართველ მკითხველს უშუალოდ
 სურათი ევროპულ მართებლობებისა. მაგრამ ამ
 სურათის უშუალოდობამ არ დაგვიშალა გაგვიგონ
 იმის უმთავრესი აზრი. აქ ჩვენ რამდენიმე გვირგვინს
 ვუძღვნით ამ „ივერიის“ საზოგადოებრივ სტრუქტურებთან
 აღებულ სტრუქტურებს. მით უფრო ხალხისათვის ვა-
 სრულებთ ამას, რომ ბევრი ჩვენში ფიქრობენ: სად
 ქართული გაზეთი და სად პოლიტიკობა და ფილ-
 სოფიზობა; რაც რუსულ გაზეთებშია იმაზე მეტს
 რას დასწერენ ევროპაზე ჩვენი მეგობრებიო! აი
 ამის გამო ხშირად მშვენიერი ქართული სტატიის
 ევროპულ პოლიტიკაზე რჩება უმკითხველოთ; თუმც
 ძნელად იზოვირთ რუსულ მწერლობაში ამ სტატიის
 მსგავს რასმეს. აი გინდ ავიღოთ ოსმალეთის მარ-
 თებლობის სიმძლავრე. რა არ დაუწერიათ იმაზე
 რუსულ გაზეთებს; მაგრამ ის კი დავიწყებიათ ეჩვე-
 ნებინათ სად რჩება ოსმალეთის სიმძლავრე და რით
 განიჩქვას ის სხვა განათლებულ სახელმწიფოების
 სიმძლავრისაგან. რუსულ გაზეთებში ადრე ისმინდა
 ამ საგანზე მხოლოდ ერთი და იგივე ხმა: ოსმალ-
 ზობი ტყველზე სწავლენ პატარა უმწიფელებს, პირუტ-
 ყულად ჩესაქენ დედა-გატებს და საზოგადოდ ქრი-

გადათვალვიერება

სტიანებს. მაგრამ „ივერია“ ამის გარდა სხვა რამე-
საც ხედავდა ოსმალეთის მსეტობაში:

«ერთი მწერალი ამბობს—ოსმალეთის მაგივრად
რომ სხვა რომელიმე მთავრობა და სასკლმწიფო
ყოფილიყო, ბალკანის ნახევარ კუნძულზე დიდი-
ხანია სლავიანების ხსენებაც არ იქნებოდა. ეს არ-
ჩი მთლად მართალია თუ არა, ღმერთმა უწყის, მა-
გრამ ის კი უნდა აღვიაროთ, რომ ოსმალეთის
შეღობელობას ერთი შესანიშნავი მხარე ჰქონდა:
ძოვა რომელიმე შოხელე, გაცარცვავს კაცს, წაართ-
მევს რაც შეუძლიან და დანებებს თავს—ახლა რომ-
ღორც გინდა ისე იცხოვროს; არც შენი ესა მინ-
დაა, არც შენი შინაგანი განწყობილება, არც შენი
გვარტომობის თვისებაა. არა ჰგვანებია განათლებუ-
ლის ევროპის ზოგიერთს განათლებულს სასკლმწი-
ფოს, მაგალითურ, გერმანიას, რომელიც ვერ ისე
მძწიწებით ექცევა კაცსა, ისე ეტრფიალება თითქმ-
ის თავდაჯებული მოძმე იუოს, და მერე კი კვრც
შეამხნევს კაცი ან ხორცი რომღმ შეაჭამა, ან სული
როგორ ამოართოა“ („ოსმალეთის კონსტიტუციის
შესახებ“, „ივერია“ № 5).

ავიღოთ მეორე მაგალითი. ომის წინადა და იმის
დაწყების დროსაც რუსული გაზეთები ბევრს ამბობ-

დენ იმასე, რომ სამსაღეთი ორად არის გაყოფილი, ერთ ნაწილს შეადგენენ მატყადაინები, რომელნიც ბატონობენ და მეორე ნაწილს — ქრისტიანები, რომელნიც დანაგრეულები არიან შიკველთაგანა. „ივერია“ კი ყოველთვის არ ხდოდა სარწმუნოების სხვა-და-სხვაობას სამსაღეთის მსგავსების მიზეზით:

„...შესანიშნავი მეტადრე ის არის, რომ შარლამენტის წევრნი ქრისტიანნი თუ მატყადაინნი ერთნაირად და ერთგვარს ჩივილს უცხადებდნენ და უცხადებენ კიდევ მთავრობას და ერთგვარს ცვლილებებს თხოულობდნენ მთავრობისაგან. ეს გარემოება შესანიშნავია-მეთქი, რადგანაც ცხადად გვიჩვენებს, რომ სამსაღეთის ქვეშევრდომთა ტვივილი უკელასი ერთი და იგივეა, სარწმუნოება, გვარტომობა, აქ ერთობას არ უშლის.“ („წმინდა აღმოსავლეთის საქმისა“, „ივერ.“ № 15).

უკანასკნელ დრონდელ კორრესპონდენტებმა გვიჩვენა „ივერიის“ სიტუების სიმართლე. აი რას გვითხულობთ თვით „ივერიაში“ ამის შესახებ:

„აი რას იწერება კორრესპონდენტი „სახლ დროებისა“ ერთ ბელგარეულ სოფლიდან: „ჩვენ გვინდოდა შეგვეტყო თუ რაგონა ცხოვრობდნენ ურთი-

გადათვალაიერება

ერთ შორის ოსმალები და ბოლგარიელები, რად-
განაც მესამედი ამ სოფლისა ოსმალებსა. ამხედ
ეველამ გვიზასუსა, რომ ჭსტხოვრებდნენ მეგობრუ-
ლად და ეველანი ერთხაირად შეწყუბუღენი იყვნენ
მხლელად ჩერქეზებისაგან. ამგვარი ცნობა მრავა-
ლი მოიხროვება აწინდელს რუსულ ქუენად-განკეთ-
ბაში, რომელნიც საკმაოდ გვიხვევენ რა მდგ-
მარეობაში იყვნენ ბოლგარიელნი ოსმალებითი... ე-
თი მწერალი ამბობს: ახლა მიბძანეთ მოიხროვება თუ
არა კიდევ სადმე ევროპაში იმისთანა ქვეყანა, სადაც
მცხოვრებნი, როგორც ქალაქისა, აგრეთვე სოფლისა
იმ გვარ სიმდიდრეში და კმაყოფილებაში იყვნენ,
როგორც ბოლგარიელნი და აგრეთვე თავისუფალნი
და დამოუკიდებელნი იყვნენ თავის საგვარტომო
(национальный) მიდრეკილების წარმოებაში და გან-
ვითარებაში?—ყოვლად შესაძლებელია, რომ იმ მამა-
ზანურ მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფება ოსმა-
ლეთის ადმინისტრაცია და სამართალი (СУДЪ), ბოლ-
გარიაში ხშირად მოხდეს კერძო უსამართლეობა, ძა-
ლადობა და უდიერობა; მაგრამ ნეტავი მიხვენონ
ევროპაში იმისთანა კეთილ-მოწყობილი ქვეყანა, სა-
დაც ამგვარი შემთხვევა არ დასტრიალებს დაბაღის
წოდების კაცებს, რომელნიც, ამასთანავე, მოკლე-

ბუნნი არიან როგორც ბოლგარელები კეთილმდგომარეობას, აგრეთვე იმ თავისუფლებას, რომელიც უზურიათ ბოლგარელებს იმ გარემოების ძალით, რომ მათზე არავითარი სპალიტიკო და სპალიტიკო შედამხედველობა არ სუიუკვს... ვსთქვას ინგლისელს მიეტყუება ბოლგარელებს მდგომარეობის უცოდინრობა—იგი არც ნათესაობას იჩემებდა, არც გულში ცუდა ქქონდა. მაგრამ რუსული გასეთი კი რომ თავის ნათესავს ვერ იცნობდეს,—ეს კი გერმანია, სწორე მოგასხენათ.“ (წერილები პეტერბურგიდან, „იუვერია“, № 38).

აქვე მოვიუვანთ რამდენიმე სტრიქონს კიდევ ერთ სპალიტიკურ სტატიიდან „იუვერისა“. ამ სტატიისში ცნობდა და სწორედ გამომთქმულნი არიან ის გრძნობანი, რომელთაც აღმჩავს ევროპულ სახელმწიფოებში ოსმალეთის დავიდაჩება.

„ევროპის სახელმწიფოებმა ვითომ ჩაღათაც არ ჩავიდეს ოსმალეთის კონსტიტუცია, „აბა კონსტიტუცია რა ოსმალეთის საქმეა! არა, ბრევი ქომუბიანი თათარი და კონსტიტუცია რომ არ გაგანობლა!“ აი ეს ერთი საბუთი, რომლის ძალითაც სახელმწიფოებმა თავსაცნადა აიგდეს ოსმალეთის კონსტიტუცია. ამას მოჭყვას კიდევ მეორე: ცარიელი



კონსტიტუციით რა გამოვიდაო, საქმე ის არის ნამ-
დვილი, ძირეული ცვლილება მოახდინოს რსმალეთ-
მა და პატარა შეღავათი მისცეს თავის სლავიანუ-
საო. ეს კი, სწორედ მოგასსენოთ, ვერაფერი ქე-
ბას ვეროპიის სასკლმწითლო განწყობილებისათვის.
მაშ კონსტიტუცია თუქი სიტყვა ყოფილა! ამით
ვეროპიის მთავრობანი თითქო ეუბნებოდნენ თავის
ქვეშევრდომებს კონსტიტუციის დადგენა და ცხვი-
რის დაცემინება ჩვენთვის ერთნაირად ადვილია; რამ
მოვინდომოთ თუნდ თხუთმეტ კონსტიტუციას და-
ვადგენთ ერთსა და იმავე დროსაო, და ამით ვი-
თომ ან ჩვენ რა დაგვაკლდებაო, ან თქვენ რა მო-
გმატებათო! მაგრამ ვინ იცის იქნება პირად ამას
ამბობენ და გულში კი ჭსწამთ რსმალეთის კონ-
სტიტუციის ძალა. იქნება გულში ამას თუქრობენ:
„დასე ამ წყეულ რსმალეთმა რა დაგვამართაო! აკი
დაგვასწრო და პირიდგან ლუკმა გამოგვგლიჯაო.“
იქნება მართლა ეგეფას ამისათვის ჭქონდა საღერ-
ლედი აშლილი და რაღაც ძირეულის ცვლილების
თაობაზედ გააბეს ლაპარაკი მარტო იმიტომ, რომ
ამასობაში აგები რეგორმე ერთმანეთი დავიყოლიო-
თო და სლავიანები და მათი ქვეყანა ერთმანეთში
დავიყოთო. ვინ იცის? მაგრამ ის კი ცხადად ამო-



ჩნდა ერთსეულ კიდევ, რომ ევროპის სასულემწითოებს
 სლავიანების დაწდი არა აქვთ; რომ იგინი მხოლოდ
 თავის კერძო სარგებლობას ადგანან და არა სიძარ-
 თლისა და თავისუფლების დაცვის გზასა.“ (კიდევ
 აღმოსავლეთის საქმის თაობაზე, „ივ.“ № 7).

შარშან „ივერიაში“ დაიბეჭდა კიდევ რამდენიმე
 ყურადღების ღირსი სტატია, მაგალითებში, „ცხო-
 ვრება და განონი“, „გზავრის წერილები სვანეთზე“,
 და „დიდოელების აჯანყება და კახეთი“, მაგრამ
 ამათზე ვეღარ მოვასწარით რამე გვეთქვას; ვერ მო-
 ვასწარით რამე გვეთქვას ვერც საზოგადოდ ჩვენ გა-
 ზეთების თეორიულ სტატია გაგვიგზავნა და და-
 ნარჩენზედაც მერჯულ ვისაუბროთ, თუ რომ მო-
 გვისდა, მკითხველს, თქვენთან მერჯულ საუბარი.

25 ნოემბერი.

1877 წ.

მეტივერის მხარე იმდენი სწავლის მიხედვით
 იქვე მოხდა და ამისთვის დაწესდა სწავლა.
 „თავისუფალი“ მხარე მაგალითად ეს თეორიული
 მხარე და მისი მიხედვით მსგავსი მხარე
 მიხედვით მსგავსი მხარე და მისი მიხედვით
 სიძარ- მხარე და მისი მიხედვით მსგავსი
 მხარე და მისი მიხედვით მსგავსი მხარე
 მხარე და მისი მიხედვით მსგავსი მხარე
 მხარე და მისი მიხედვით მსგავსი მხარე



პატარა წერილი დიდ საქმეზე.

გამოვესალმეთ ძველ წელს, ძველ ცხოვრებას, მი-
გებებეთ ახალ წელს და აწა ახალ ცხოვრებას.

ბევრი ახალი წელი გავლიდა, მაგრამ ჩვენ სინო-
ცსლეს ვერ მოჭმატია სინოცსლეს. ეს ძაინც გავიგოთ
დაბადებითვე ვართ ღოქოები, თუ ესლა რამე სა-
მაგელმა შემთხვევამ მოგვტაცა სული და გული. მო-
იგონეთ მსოფლოდ ამ თხუთმეტობოდ წლის წინა დრო
და თქვენ დაწმუნდებით, რომ ჩვენ ადამიანები
ვართ და ღოქოობა დაგჩემდა ამ უკანასკნელ ხანს-
მაშინ რუსეთში სდულდა სინოცსლეს და არც ჩვენ
გვეძინა. რამდენი გეთილმოხლური სიტყვან თქა
იმ დროს მთელმა საზოგადოებამ: „შეგლამ მარ-
ტო ინჟინერები, ექიმები და ხინოვნიკები ვი არ
უნდა გაგვსადოსო, შეგლამ მასთანავე უნდა გაგვ-
სადოსო ერთგული მოსამსახურე თავის ქვეყნისა, გატო-
მოყვარე, თავისუფალი, გონიერი ადამიანიო.“, სა-
ზოგადო საქმეებში საიდუმლოები რა სჭირდა, სა-
სამართლოებში ყველაფერი უნდა მოხდეს საქვეყნო-

თაო; სიბნელე მარტო ქედს უყვარს. „მოკს-
 ზოთ მონაობა და გავსდოთ გლეხობა და თავად
 აზნაურობა თანასწორნი კანონის წინ; გადავადოთ
 ბატონ-ყმობა, გაუძარჯოს თავისუფალ შრომასა.“
 რამდენი ამისთანა კაცთმოყვარეობით სავსე სიტყვა
 გესმოდა, მკითხველო, ამ თხუთმეტობად წლის წი-
 ნად! მერე როგორ ამბობდნენ ამებს? აღტაცებით,
 გულწრფელობით, გეგონებოდათ ამის მთქმელი აგერ
 აგერ უმსხვერპლის თავს თავის საყვარელ საქმეს.
 მაგრამ აღტაცებული სიტყვა, იმედებით სავსე ასაღ-
 გაზდობა, სიცოცხლის დუღილი უეტრად გაჭქრა
 და დაიწყო მეფობა რაღაც საშინელ სიხუმრად რა-
 მელიც მოგვარებდა მსოფლოდ სამარეს. მაგრამ მარ-
 ტო სიხუმრე არ იყო. იმედგაწვეტილი კაცი ყო-
 ველგვარ განკიდურებს ჭკიდეებს ხელს; ხვეწ გავს-
 დით მთწამენი საშინელ, დაუჯერებელ სურათებისა;
 ძლიერი სსეულით და გონებით კაცი იჯდა თავის-
 თვის სადმე კუთხეში და საქმეს ვერ შოულობდა.
 ისე ვლახარაკობ ამ საქმეებზე თითქო ისინი ეკუთ-
 ნოდნენ ძველ ისტორიას; ნამდვილად კი ეს ამბები
 ქლავ სდებიან. ესლავ უსაქმოთა ვართ და გულ-
 გრილად შევსტყუროთ საზოგადო საქმეს, ქვეყნის
 სიკეთეს. ამასე მე არ გავაგრძელებ ლაპა-

ჩვენ და ამის მაგიერ გიამბობთ შარშანდელ უაღ-
მაკალსე, იმ დიდ საქმეებზე, რომელნიც სშირად
აწა ხდებიან. იქნება თქვენ თათონ წამე ასრი
გამოიყვანათ იქილამ, თორემ ჩემგან ნუ მოკლათ
ნურათურ ფილასოფიას. მწერალი ყოველთვის პა-
ტარს კაცია და რათ უნდა მოკლადეთ პატარა კა-
ცხსაგან დიდ საქმის აღსნას? უფ. აკ წერეთელმა
ტყუილად კიან დასცინა ჩვენებურ მწერალს: „აჭი-
ჭინე აჭია-ბაჭია, მართალს, ჭკვიანურს ნურას იმ-
დერიო, თორემ გამოჭხრავს შენ ჩანგს ვით ჭია
ჭკუის მტარვალ ტვინბუისტერიო“. რასაკვირველია
ზოგი ჩვენგანი იჭიბება, მითომ დიდი კაცი ვარო
და დიდი საქმეები მესმისო, მაგრამ ნუ დაუჯერებ,
ჩემო მკითხველო. კრილოვისა არ იყოს, როცა ცა-
რიელი კასრი დაგორდებო, დიდი ძანილი და ხმა-
ურება აქვსო. მაშ ესე, ღვანებებ თავს ფილასო-
სოფიას და გიამბობთ, როგორც ნამდვილი მემბტი-
ანი, მხოლოდ იმას, რაც მომხდაჩა და რაც ჩვენ
გვინახავს ან გაგვიგონია.

ამ ორი წლის წინად როცა უკეთესი ნაწილი
რუსეთის საზოგადებისა იჯდა და ფიქრობდა: „რა
გზა ამოვირჩიოთ და რა საქმეს დავადგეთო“, და



იგონებდა ამ თსუთმეტრიოდ წლას წინანდელ თავის
 ყმაწვილურ აღტაცებას როგორც სიზმარს: „აჰ! დრო-
 ნი, დრონი, ნაქების მტკბარადო, წარივლტენენ
 განჭქრენ სიმშებრივ ჩქარადო“; ამ ცუდ დროს
 უეტრად, მოულოდნელად მოხდა ოსმალეთში სლა-
 ვიანების აჯანყება. რუსულ ყურნალ — გაზეთო-
 ბამ გამოიყვანა ამ საქმეში ოსმალეთი მძლავრ
 უსვინიდასო სასულმწითოთ, რომელიც უოკუ-
 ლის ღონისძაებით სხაგრავს ქრისტიანებს
 და მეტად სლავიანებს; გამოდიოდა რომ სლავიანე-
 ბი იბრძოდნენ თავიანთ თავისუფლებისათვის მძლავ-
 რების წინააღმდეგ. რუსული ყურნალ გაზეთობა საქმის
 ამ გვარ აღსნით თითქო ეუბნებოდა რუსულ საზოგა-
 დობას: აი თუ გინდა აქ გამოიჩინე შენი კეთილი
 გული, კაცთ მოუვარეობა და სვინიდასიანად შრომა;
 არვინ დაგიძღის თავისუფლად იმოქმედო.

მართლადაც ბევრი ახალგაზდა, რომელსაც სა-
 შინლად სწეუროდა კეთილ საქმისათვის მუშაობა და
 თავის დადება, გაემგზავრა სერბიაში საომრათ
 მძლავრ ოსმალეთის მართებლობის წინააღმდეგ. მაგ-
 რამ იქ მარტო. ამგვარი ხალხი არ წავიდა იქ წავიდნენ
 იხინიც, რომელნიც დიდი ხანია ფიქრობდნენ იმაზე,
 რომ როგორმე ეკელა სლავიანები რუსებს დაუმოწი-

ღრთო. ამ პირებში ბევრს საშინლად სძულს და-
 ლი სალხი და ვერ გაუგია თავის გულისაუშოფო-
 ლად სიტყვა: თავისუფლება. სხვა და სხვა ჩე-
 ნი აკეკები და კომანდოებები, რომელთაც კე-
 რას დროს ვერ გამოეჩინათ თავიანთი ნიჭი და
 ცოდნა, და თავისუფლების პირველი მტრები იუვნენ
 რუსეთში, წავიდნენ სერბიაში სლავიანების დასაც-
 ველათ. რათა, მკითხველმა? რასაკვირველია იმისთვის
 კი არა, რომ თავისუფლებისათვის იბრძოხენ, არა,
 უოკვლგვარი თავისუფლება, როგორც მოგასხენეთ,
 ამ ვაუბატონებს საშინლად ეჭვავრებათ და თუ მო-
 ვიდნენ ისინი სერბიაში საომრათ, იმიტომ რომ
 იმათ რუსეთში ვერ დაიჭირეს კარგი ადგილები
 და თქვამდნენ: „იქნება სერბიელები როგორმე
 დავიბრძოლოთ და იმათში ვიბატონოთ; იმათ,
 როგორც პატარა სალხს, რასაკვირველია უნდა ემი-
 ნოდეთ ჩვენი, რუსებისა, და დაგვეძირკვლებიანო.
 ამის გარდა რუსის მართებლობაც მადლობას გვეტ-
 ვისო და დაგვაჯილდოებსო. მართლაც ღენერალ
 ჩერნიევის და ამის ამქარის მოქმედებები სერბიაში
 გვიმტკიცებენ, რომ სწორედ ამას თქვამდნენ
 ისინი. ამ ღენერალს ბევრი ასი თუმანი მოსვლია
 რუსის სასოგადოებისაგან სლავიანების საქმისთვის



დასასწავლავათ და აწარმოებენ კი ანგარიში საქმეში
არ მიუცია, რაზე მოხდა აქედნი ფული. ომში
იმან გამომიხინა მხალხოდ უნეტარება და თუ გნებავთ
უსკინიდილობაც, რადგანაც კაპიტანობას აძლევენ
ძველ უვარკის უნტერ—აფიცრებს და პირველ რი-
გებებით აწილდებდა თავის მზარეულებს.

რასაკვირველია, არ მოეწონებოდათ ამგვარი უ-
გვარობა ჯარის უფროსისა იმ უკეთეს რუსებს,
რომელნიც მოვიდნენ სერბიაში უკეთეს რიგის სა-
ნასავათ და უკეთეს კაცებთან საქმის დასაწყევლათ.
ამ გარემოების გარდა კიდევ სხვა რამ აუტრუფა გული
რუს ვოლანტიერებს. სერბიაში რსმალეთს ებრძ-
ვოდა თითონ ხალხი კი არა, არამედ იმის მართებ-
ლობა, რომელსაც სრულებიდაც არ უგვარდა თავის
ქვეყანა და ხალხი. მათინ უკეთესმა რუსებმა
იფიქრეს: ვაი თუ ჩვენ ჩვენი თავი ჩავიკლათ და
სამკებლობა მოუტანათ დახაგრულ ხალხს კი არა,
არამედ იმის მშიშარა ბატონებს; დიან, კარგი სა-
ხელი იყოთ თავისუფლებისთვის ომი, მაგრამ ნამ-
დვილად კი ეს ომი ვინ იცის ვისთვის არის გა-
მართებული». ეს იფიქრეს უკეთეს რუსის ვოლან-
ტიერებმა და დაბრუნდნენ შინ, რომ სულმოდრედ
მიეცნენ აქ ძველებურ უსაქმობას; სიტყვისდე, გან-
ღვიძება აღარ დასტყობია იმათ, უკერ აუვადნენ,

ისე დაუკნენ ნისლიან დღის განთიადზე! რატომ
 მოხდა ეს? მკითხველთ თქვენ; მარშან ამდენი სმაურა-
 ბა იყო, ამდენი დავიდარება და მოძრაობა და რათ
 უნდა დარწმუნოე უძრავთ რუსეთის სასოგადოება?
 ამას რომ მკითხველთ, სწახს დაგვიწყებიათ ჩემი სიტ-
 უები: მე ვატარა კარგი ვაწ და ვერ ავლხნი დიდ
 საქმეებს. ნუ მოელოთ ჩემგან ფილ აღოფიას; უნდა
 განვაგრძო ჩემი მოთხოვნა და გაიმართ რა მოხ-
 და სლავიანების აჯანყების შემდეგ.

სლავიანებმა ვერ შეძლეს რსმაღეთის დამარცხება,
 თუც აჯანყება გაგრძელდა იყო ბახნიაში და
 ჭერტოვოვინაში და იმათ ესმარებოდნენ ჩერნოგო-
 რილები და სერბილები. რუსეთის იმპერატორმა
 შარას წინ შემოდგომას თავის ჯარს სიტყვით
 შეაწყობინა რსმაღეთს რძი სლავიანებთან. ევრო-
 პიულ სასულმწიფოებს შეეშინდათ, მარტო რუსეთ-
 მა არ ჩივდეს სულში რსმაღეთით და ჩვენ გი არა-
 ფერი არ გვერგოსო ამიტომაც შეიყარა კონსტანტი-
 ნოპოლში ევროპულ დიპლომატების კონფერენცია,
 რომელსაც უნდა გადაეწყვიტა სლავიანების დავა რს-
 მაღეთთან. ლაბკრალურ ეროპულ სასულმწიფოებს
 რსსავეირველი უნდა გამოეჩინათ თავიანთი ლიბერა-

ღობა და თავისუფლების სიეკატრული და ამიტომაც
 იმათ რუსეთთან ერთად მოსთხოვეს ოსმალეთს:
 სლავიანებს თავისუფლება მიეცითო. სულთანს და
 იმის დახლარებულებს რასაკვირველია კარგად ესმო-
 დათ, რომ ინგლისი, ავსტრია და სხვა ევროპელი
 სახელმწიფოები დიდი მოეკარენი არ არიან რუსეთი-
 ს და თუ იმათ რუსეთის მხარე დაიჭირეს, ეს მო-
 ახდინეს იმათ მხლად ფორმისათვის, რომ არავინ
 დასძინოს: თავისუფლების მტერი ხართო, სლავ-
 კიანებს და რუსებს არ დაეხმარებით იმათ პატრი-
 არს საქმეშიო. ესმოდა სულთანს და მიდგა ფაშას,
 რომ რაც უნდა უარი უთხრას ოსმალეთმა ევროპას,
 ევროპა რუსეთის მხარეს არ დაიჭერსო, რადგან
 ამისთვის ევროპა მომზადებული არც არის და არც
 სურსო, რომ რუსეთმა ჩაიგდოსო ხელში ოსმალე-
 თი და ამიტომ ბრწყინვალე პორტა უფულ ევრო-
 პელ სახელმწიფოების წინადადებაზე უარს ამბობ-
 და; ოსმალეთის მინისტრები ამყად ამბობდნენ:
 ჩვენ მივეცით პოლიტიკური თავისუფლება როგორც
 ოსმალეთს, ისე იმათთან მცხოვრებ სლავიანებს;
 ჩვენ გამოვაცხადეთ კონსტიტუცია, ჩვენი პარლამენ-
 ტი თქვენ პარლამენტს არ დაუვარდება და აღარ
 გვესმის ვიდრე რა თავისუფლება უნებაყო. ამასე

ევროპიელ სასულიწიფოებოებდამ გამოგზავნილ კაცე-
 ბი ეუბნებოდნენ სავტერ-ფაშას და იმის ამხანაგებს:
 თავისუფლებას მარტო ქალაქზე გიწვერიათ და რომ
 დაწველი უჭკეულად ასრულდეს, ჩვენ ვთხოვლობთ,
 რომ ერთი წლით მაინც შედგეს უცხო ქვეყნელები-
 საგან კომმისსია, რომლის ხელში იქნება დანიარაღე-
 ბული ჯარი, რომელეთის ქრისტიანებისაგან შედგე-
 ნილი; ამ კომმისსიამ უნდა უყურებს, რომ სამართ-
 ლიანად გათავდეს ოსმალების დავა სლავიანებთან
 და დაზიანებული თავისუფლებას ნამდვილად გავრცელ-
 დეს იმათში. ამასე ოსმალები ამაყად უზსუსებდ-
 ნენ: ვის რა ხელი აქვს ჩვენ შინაურ საქმეებთან;
 ერთი სასულიწიფოა არ არის ევროპაში, რომ რამე
 არა სტკივოდეს, ინგლისში ირლანდიელები უკმაყო-
 ფილონი არიან, გერმანიაში—სლავიანები, მაგრამ ამ
 შინაურ უთანხმოებების მოსასპობლად რომ არა ცდი-
 ლობს მთელი ევროპა ერთად.

ოსმალებმა ამგვარად თავიდან მოიშორეს ევრო-
 პიელი დიპლომატები და შეურიგდა უძლურ სერბი-
 ას, რომელმაც თავის უძლურობის გამო ვერაფერი
 სთხოვა ოსმალებეთის მართებლობას. 12 აპრილს გა-
 მოაწყნადა ომი რუსეთმა; მანიფესტში თქმული იყო:
 ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით ოსმალებეთის ქრის-

ტიანების მდგომარეობის გაუმჯობესებას, მკვლამ
 რჩევით და ცარიელ თხოვნით არაფერი არ გამოვი-
 დარა და იძულებულნი ვართ ამ საქმისთვის სისხლი
 დაკვარათ. ყველა მოკლულა, რომ ოსმალებს ვინ-
 ძე გამოესარჩლება და საშინელი, ხანგრძლივი სის-
 ხლის ღვწა გაიძარტება. ეგონათ ეს, იმიტომ რომ
 ოსმალები, თუ იქიდან გამოვრჩნეთ სლავიანების
 შრომინციები, რომელხიც ომში მონაწილეობას არ
 მიიღებენ, დიდი სასულძწიფა არ არის, სულ ჭყავს
 20 მილიონხადი მცარვრები და მასხადამე რუსეთ-
 ზე ოთხჯერ ნაკლები ძალის გამოძენია. ყველა
 თქვამდა, რომ ეს პატარა ამ უკანასკნელ ომებით
 დასუსტებული სასულძწიფო ვერ გაბედავს მარტო
 შეჯახს რუსეთს, რომ ოსმალებს გამოესარჩლე-
 ბა ავსტრია ან ინგლისი და ვინც გამოვა ომიდან
 გამარჯვებული, იმას ჩაუვარდება ხელში ხანგრძლივ
 ომებთ ძაღწადებული ოსმალები. ნამდვილად კი
 სხვა რამ მოხდა. ოსმალებმა მარტო დაიწყო ომი
 რუსეთთან; ვამბობ მარტო, იმიტომ რომ ეგვიპ-
 ტიდან გამოგზავნილი იყო სულთნის ჯარებში სულ
 30,000 კაცი, რომელთაც აქამდე რიგიანად არ უ-
 მინათ, და ტუნისიდანაც ოსმალებმა მიიღო თით-
 ქმის აძღვნივე ჯარი. ოსმალებს კი უომებოდა რუ-

სეთი და ჩეჩნოგოზია, ამათ მოქმედა ჯერ რუმი-
ნია და მეტე სერბიანტ რომელთაც იფიქრეს: მარ-
თალია, მეტად შეწუხებული არა ვართ ესმალეთი-
საგან, რადგან საკუთარი მართებლობა გვაქვს და რა-
ოდენიმე თავისუფლებით ვსარგებლობთ, მაგრამ სრუ-
ლი თავისუფლობა თუ გვინდა, ესლხ უნდა ვეცადო-
თო, რაღა უოკელმხრე დასუსტებული ესმალეთი
მზათ იქნება აკვისრულოს ჩვენი სურვილიო.

რაკი საქმე ამგვარად წავიდა, ყველას ეგონა,
რომ რძი ჩქარა გათავდება, რადგან რთხი მტერი
უოკელთვის აღვიდა და ამარცხებს ერთ მტერსა.
მართლაც 12 აპრილს რძი გამოცხადდა და თი-
ბათვედვი ჩვენ მოვასწარიოთ აკველ რარი კარგი ცი-
ხე: ბაიაზეთი და არტახანი (ერთი იმთაგანი ურ-
მით) და რარი დიდი სამხედრო გემიც დაუღუპეთ
ესმალეებს დუნაიზედ. ამ რუსის ჯარების გამარ-
ჯებებით ძალიან დაიფთხნენ ესმალეები; მართ-
ლაც, იმათ იგრძეეს: ჩვენ ბოლო მოგველებათ,
თუ ძლიერ დავმარცხდით ამ ბძლასშიო. რაც შე-
ელო მეტი ჯარი მოაგროვა ესმალეთის მართებ-
ლობამ და წინ დაუყენა რუსის ჯარს. მისის დამ-
დებს, რაღა ჩვენებმა აიღეს არტახანი, ყარს შემო-
ერთუნენ და გაემგზავრნენ წინ ერზრუმისკენ, ეს-



მალეთის ჯარი გამოვიდა ზღვიდამ აფხაზეთში და
 დენიძე ადგილას. რუსის ჯარმა უბრძოლოთ დაუთ-
 მთ სუსუმის მარცა და უკან დაიწია; აფხაზებსა
 იარაღი არა ჰქონდათ, რომ ოსმალებებისთვის წი-
 ნაადმიდგობა გამოეჩინათ და მტერი ამით წაქეზე-
 ბული კარგა წინ წავიდა, კინაღამ ინგურადი და
 სამეგრელომდი მივიდა. აქ უმეტეს ნაწილს ოსმა-
 ლის ჯარისას შეადგენდნენ ის ზრქეზები, რომელ-
 ნიც ადრე სტოვრებდნენ რუსეთში და თავიანთ
 აჯანყებისგან იძულებულნი გახდნენ გადასახლება-
 ლიყვნენ ოსმალეთში. ესენა ხმარობდნენ ყოველ
 დონისძიებას, რომ ხანგრძლივ დაჩქინილიყვნენ თავ-
 ვიანთ საყვარელ ძველ სამშობლოსთან ახლო; ესენ
 აძლევენ თხოვნილობას აფხაზებს და თავიანთი
 საომრით აგდებდნენ; და ჩვენ გი უსათუძვლოთ
 გვეგონა: აფხაზებმა ადრევე დაწყობილ ზღა-
 ნით გვილაღატეს და აჯანყდნენ. ივნისში
 უარსის მარცხაც გაძლიერდა ოსმალის ჯარი
 და ზვიანთან ომის შემდეგ კავკასიის უმთავრესი
 კომანდოსი იძულებული იყო დაეხებებინათ თავი ერზრუ-
 მის გზის და უარსის გარს შემოერთებისთვის და
 დაბრუნებულიყო სამხდვართან ახლო, კურუქ-დარა-
 ში. სამხრეთითაც ქურთები მიეშველნენ ოსმალეთის
 ჯარებს და გარს შემოერთებენ ჩვენ გარნიზონს

ქართული
საქართველო

ბაიაზეთის ცხეში; მხოლოდ 23 დღის შემდეგ
 დენერალ ტერ-დუკასოვმა მოასწრო ერზრუმის გზი-
 დამ უკან ჩვენ სამხედვართან დაბრუნებულყოფა და
 ბაიაზეთიდან ჩვენი მცირე რიცხოვანი ჯარი დაეღ-
 სნა ქურობისაგან. ამავ სამსრუტ მხარეს იზმაილ-
 ფაშა თავის მრავალ ქურობით გადმოვიდა ჩვენ
 სამხედვარზე, სურმალინის უფდში და გამაგრდა
 მთებში. ჩვენი ჯარის ცდა იმ დროს იმაში შესდ
 გებოდა, რომ გზა შეეკრას მძლავრ მტრისათვის
 რომ ეს არ შემოსულიყო შუა კავკასიაში და ა-
 შეერთებულყოფა ჩვენ მაჭმაღიან მთიულეთთან, რომ
 მელნიც ჯერ ცოტ-ცოტად, ნაწილ-ნაწილად აჯან-
 დნენ და მერე მუხთარ-ფაშის გამაგრებებით წაქეზე
 ბუღნი საშინლად გაშეუბოვრდნენ.

მართლაც ჩვენმა ჯარებმა გზა შეუკრეს მტრის
 საძივ მხრით: იზმაილ-ფაშა შედგა სურმალინის უფ-
 დში და მუხთარ-ფაშა ალაჯის მთებზე, მხოლოდ
 აგვისტოში აიღო ამან კიდევ ერთი მთა-კიზილ-ტა-
 შა. ენკენისთვემდი შედგა ამაზე საქმე, მხოლოდ
 აიხაზეთს დაანებეს თავი ოსმალოს ჯარებმა, რად-
 გან ესენი საჭირონი იყვნენ ოსმალეთისთვის ე-
 რომაში.

კრონშტადტ, დუნაის მხარეს თითქმის იგივე
 მხნდა. ჯერ რუსეთი ადვილად იმარჯვებდა ოსმა-
 ლეთზედ. როგორც ზევით მოგახსენეთ, ხვეწმა
 ჯარებმა დუნაიზე დაღუპეს ორი მტრის სამხედრო
 ხომალდი, გადავიდნენ დუნაიზე ცოტას ზიანით,
 ადვილათ ააღეს ცხენი ნიკოპოლი, უომრთ დაიჭი-
 რეს ბაღჩანას მთები და გამაგრდნენ აქ მსულ ასა-
 დებ გასავალს შაბკოში. მოელი ოსმალეთი გაჭკვირ-
 და თავის ჯარების უიქმედობით; მართებლობამ
 დაიბარა ნიჭიერი დუნურალი სუთეიმან-ფაშა თავის
 ამხანაგებით ჩეჩნოგორიიდან, სადაც დიდად იმარ-
 ჟვებდა ოსმალეთის ჯარი. და გაგზავნა ბაღჩანებში
 რუსის ჯარისთვის გზის შესაკვრელათ. მსხე სუთე-
 იმანმა აასრულა თავის მართებლობის ბრძანება. ამის
 გარდა შარტამ დანიშნა მთელი დუნაის ჯარის უფ-
 რესათ განათლებული ნემსცი მჭკედ — ალი-ფაშა
 და დასავლეთითაც დააყენა განთქმული დუნურალი
 ოსმან-ფაშა; ძლიერ რუსის ჯარის შესაყენებლათ
 ოსმალთს მართებლობამ დაიბარა აგრეთვე სახუ-
 იდამ თავის უშიშარი ჩეჩნოგორები. ამგვარად ოსმა-
 ლებმა შეაყენეს თითქმის ამ უკანასკნელ დრომ-
 დის რუსის ჯარი და აღარ მიუშვეს ის აღრიანო-
 ხლადი და სტამბოლადი. დიდი ხანი ცდილობ-

დნენ ჩვენი წინ წასვლას და თითქმის დღემდე ეს
 ცდა ამათ რჩება; სამჯერ მივიდნენ ჩვენი ჯარები
 იერიშით ზღვენოზე და სამჯერვე ვერ მოუხდათ ამ
 ქლავის აღება: მარტო ამ ადგილას რუსებმა და
 რუმინელებმა დაჯგარეს, როგორც ოფიციალური
 ცნობები გვეუბნებიან, 30,000-დი კაცა.

ამ უკანასკნელ ორ თვეს კი რუსებს კიდევ გა-
 უღმა ბედმა და სამჯერ დიდად გავიმარჯვეთ ოს-
 მალეებზე: 2 ოქტომბერს ჩვენმა მთავარ-მართე-
 ბელმა მ. ი. უ. მიხეილ ნიკოლაშის ძემ საშინ-
 ლად დაამარცხა მუხთარ-ფაშა და ამით გაიღსნა
 გზა ერზრუმიდმი; 6 ნოემბერს ღორის-მელაქოვმა
 თავის მხნე ღენერლის დაზარკვის შემწეობით აიღო
 იერიშით გაიმარჯვებულმა მაგარი ციხე ყარსი და 28
 ნოემბერსაც ზღვენოს გმირი ოსმან-ფაშა ყოველ
 მხრივ გზა შეკრული და მძიერი გარდებდა თავის
 ჯარით რუსებს. ბოლოს და ბოლოს გამარჯვება
 ჩვენ დაგვრჩა და, როგორც ვტყულობულაბთ უკან-
 ასკნელ დებშიდამ, ოსმალების მართებლბა სთხოვს
 ევროპას რუსეთთან შემარბეო. როგორი იქნება
 შერიგება? რით გათავდება დიპლომატიების შუად-
 გომლობა? რა მოგველის შერმის, კიდევ სისხლის
 ღვრა, თუ გამარჯვების ნაყოფებით სარგებლობა?


 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

თუ ამას იკითხავ, მკითხველ, სჩანს დაგვიწყნებდა
 რომ მე პატარა კაცი ვარ და არ შემიძ-
 ლიან დიდ საქმეების აღსნა. რა შესაძლო
 ყოფილიყო მე ხმასაც არ ამოვიღებდი ომზე,
 მაგრამ არ შეიძლებოდა... ყველას ენასე მარტო
 ომის ამბავი ადგია და მე რომ ომის მა-
 გიერ თვით—მართკულაობასე ან სასოფლო ბანკებს
 ვამება პასია, სწორედ ყურს დაიცობდი და ჩვე
 კულანასდრწეს ვერ შევრიგდებოდი. მაგრამ იმ პი-
 რობით ვი ვლანპარაკობ ჩვენ ესლანდელ დავიდარ-
 ბასე, რომ ჩემი აზრი არ გამოვთქვა, რადგან სად პატარა
 კაცი და სად თეილოსოფია. ნამდვილ ამბებს ვი მო-
 ვართმევთ გინდ ერთ სურჯინს. აი მაგალითად, თქვენ
 შეგიძლიანთ იკითხოთ: რა ვაკლენა ჭქონდა ესლან-
 დელ ომს ჩვენ უკეთეს საზოგადოებასე, ხალხსე
 მეც ამასე გიზასუსებთ ნამდვილ ამბის მოთხრობით
 ვერ პირველად ყველამ გაიხუჩუნა, მითომ უნდ
 ვუშველოთ ჯარსაო, რადგან ისინი იბრძვიან ქრის-
 ტიანების განთავისუფლებისთვისაო. ნაწი არისტო-
 კრატეები ჭქეჩავდნენ ბეჯითად სხვა და სხვა თა-
 ლასებს უწითელ ჯვრის“ სასარგებლოთ. რამდენიმე
 სამშობლოს მოყვარე კაცმა დანება თავი თავის გან-
 ცხრობით ცხოვრებას და შევიდა ჯარში სალდათათ
 რამდენიმე მდიდარი ქალი წავიდა ომში დაჭრილ

ბას მოსაგლელათ; რამდენიმე კონტრქტი, რაზე
 რული წარმოდგენა, სეიწნობა დაჭრილ მეომრე
 ბის სასარგებლოთ;--აი ამით გათავდა ჩვენი თა-
 ნაგრძნობა იმ დროს, როცა ომი დაწყებულა კე-
 თილ განზრახვით, როცა ველირსენით მრავალ გა-
 მარჯვებას და ახლა ვართ ჩვენ სურვილის ასრუ-
 ლებასთან! რათ სძინავს ამ დროს საღხს ან ჩვენ
 უკეთეს საზოგადოებას? რათა ვართ უსაქმონი, უგ-
 ზო-უკვლანი? რათა? მე არ ვიცი რა გიზასუსათ,
 მაგრამ ის კი ვიცი, ზოგიერთი რას გიზა-
 სუსებთ ამაზე.

ზოგი უფურებს მთელ საღხს ჰუშეინის ჰეუტისაზე:
 საღხს ოღონდ ქქონდეს თავისთვის, საკვე ჯამი
 თორემ სხვა უკვლადური ფეხებზე ქქილია. ეს
 ზოგიერთი არას დროს არ იტყვის: საღხის ხმა
 დვთის ხმა არისო, რადგან საღხს ავის და კარგის
 გაჩეკვა არ შეუძლიანო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი.
 ეს ზოგიერთნი აგრეთვე გვარწმუნებენ, რომ ვე-
 რაფრით ვერ დააკმაყოფილებთ საღხსაო, რქრთი
 მრჭფერეთ იმის ფეხის კვალიო და ის მანც უმა-
 დური იქნებაო; იმას არაფერი არ გააკვირვებს და
 არ დააკმაყოფილებს, არც ომში დიდი გამარჯვება, არც

თავისუფლებათვის ბრძოლა, არც ტვ-ლი სიტყვა
 არც მრავალი დაზიარება; ის ერთი ცხოველისებ
 თქვებზე რა დაისვა თავზე აგივალ.

ბევრია ამგვარ აზრისა ჩვენში. ამ დღეებში, რო-
 ცა ერთა ჩვენი აფიცერი აღტაცებით მეუბნებოდა:
 „მე სიკვდილის არ მეშინიან, რადგან ვიბრძვი გე-
 თილ საქმისთვის-ქრისტიანების განთავისუფლებათ-
 ვის,“ აქვე მდგომი კორნესზოდენტი მამიბრუნდა
 და ცხარედ შემომევირა: «აჲ ღმერთო, რატომ ყვე-
 ლა ჩვენში ამას არ ამბობს! ღმერთმანი, არ ვიცი
 რით ავლენა ჩვენი ნიადაგი გულგრილობა საზოგა-
 დო საქმეებში.»

იგივე განათლებული კორნესზოდენტი ისეთივე
 სიტყვებით მეუბნებოდა ერთსელ: „სალხი ყველგან
 მზათ არის აჯანყდეს. რა უფურცე ეკლავილებს,
 გეგონება, რამ თავისუფლება გი არ აკმაყოფილებს
 ხალხს, არამედ უფრო ახალისებს იას მეტი და
 მეტი მართხოვოს. აიღეთ მაგალითათ იმისთანა
 თავისუფალი ქვეყანა, როგორც გერმანია, იქ ხალ-
 ხი გზავნის რეისსტაგში სულ უფრო და უფრო იმის-
 თანა დეპუტატებს, რომელნიც მზათ არიან ერთ
 დღეში განხიავონ ბისმარკის თხუთმეტი წლის შრო-
 მა. საფრანგეთში სომ. დახალი ხალხი ყოველ წამს

ჭირთა მოვიგონეთ ცოტად მაინც ახალ საფრანგეთის ისტორიას.

გარსულ საუკუნის ბოლოს საფრანგეთში დაარსდა რესპუბლიკა. რესპუბლიკიდან განდევნილ ფრანციულებმა—მომხრეებმა მოკლულ მეფისა აღმესწავლეთი ევროპელი სახელმწიფოები საფრანგეთთან, რომ ამ ქვეყანაში სრულად ჩამქრალიყო ახლად გაჩენილი, მთელ ევროპისთვის საშიში თავისუფლების წაპყროვლი. მღვდლების და თავად-აზნაურებისგან განიკასრულებულ ახალ საფრანგეთს მოუხდა ხანკმლაკი ომი რესპუბლიკის მტრებთან. ამ ომებში დიდი ნიჭი გამოიჩინა ნაპოლეონმა, რომელმაც თავის მხეობით, ჭკუით და ცოდნით აღტაცებაში მოიყვანა თავის ჯარი და ამის შემწეობით დამოაწილა თითქმის მთელი ევროპა. გაბრუნებული ევროპაც ჩუმ-ჩუმად ემზადებოდა თავიდან მოეშორებინა ეს მძლავრი ღენერალი და მოასწროვიდეს ეს აკრულებინა. ამ საუკუნის დასაწყისს ევროპელ სახელმწიფოების შეერთებულ ჯარებმა აიღეს პარიზი, სადაც გადასწყვიტეს იმათ გადაეწება ნაპოლეონისა და საფრანგეთის ტახტზე აყვანა მოკლულ ლაუდოვიკის XVI ძმისა. ამ დროს საფრანგეთი თითქმის დაადგა კიდევ ძველ გზასა;

მთელი მხარე ჩაუვარდათ ხელში კიდევ იეზუიტებს და უბედურებით განრისხებულ თავად-აზნაურებს. ეს დიდი შეურაცხყოფა იყო საფრანგეთისათვის. მაგრამ ჩქარა დადგა დრო, როცა ხალხი გამოვიდა მოთმინებიდან და 1830 წლის რევოლუციის გამო საფრანგეთში კიდევ წამოდგა პოლიტიკურ თავისუფლების ჩრდილი ამ საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღო ტიერმა, მასინ ჯერ უცნობმა და ასაღვანდა ყურნაჟისტმა. ტიერი მშვენიერად ლაპარაკობდა და ცოცხლად სწერდა; ის არც კენდა ამაყი შეუზოვარ, დამჩაგვრელ მართებლობას და აქებდა პოლიტიკურ თავისუფლებას. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ტიერი რომისძე ყოფილიყოს დაბლ ხალხის თავისუფლების მოყვარე. არა, ის იყო დამცველი მდიდარი ბურჟუაზიისა, ე. ი. ხალხიდან გამოსულ შეძლებულ პირებისა, რომელთაც სურთ ხელში ჩაიგდონ მთელი სახელმწიფო. ტიერი და იმის ამხანაგები რომ ბრძანებდნენ: თავისუფლება გვინდა, თურმე მარტო თავიანთთვის, გაბატონებულ გლეხებისთვის, უნდადათ თავისუფლება. მართლაც 1830 წლანდელ რევოლუციის შედეგათ იყო ლუი-ფილიპეს გამეფება და მდიდარ გლეხების და ვაჭრებისაგან მართებლობის ხელში ჩაგდება. დახალი ხალხი

მოსტუქვდა: იესუიტების და თავად-ანსაუზობის
 ადგილი დაიჭირა ბურჟუაზიამ და ქვეყნის ამით
 არც დაკლდა და არც მოემტა. 1848 წ. მოხდა
 რეგულაციის იმ აზრით, რომ ერთგვარად გაკარგე-
 ლებოდათ მთელ ქალხში თავისუფლება. ეს, რა-
 საკვირველია, ბევრად უწინა სსკებთან ერთად ტი-
 ერსაც, რომელიც არ სთვლიდა დაბლ ხალხს თავ-
 ვისუფლების ღირს:თ. ჩქარა ამ ასაკ რეგულაციით
 ისარგებლა პირველ ნაპოლეონის ძმისწულმა, რა-
 მდამც:ც ჯერ თავი მოიკატუნა ღიბურაღათ და მერე
 კი ხალხს წარმოადგენს უფრო გარკვეა, უფ-
 რი დაატუსაღა და თავის თავი იმპერატორათ გა-
 ხადა. მერე იცით ვინ ყოფილი ამ სამაგლობის მიხე-
 ზათ? ამას ახლად ბენ ტიერს, რომელმაც ჯერ გი-
 დეკ ლუი-ფილიპეს დროს ფრანციელებს მოაგონა
 იმითგან დავიწყებული ნაპოლეონი პირველი. ეგოა
 კი ისე უფობდა ტიერის დიდ წიგნს ნაპოლეონზე:
 „კონსულობა და იმპერია“ და აღტაცებაში მოდი-
 რდა ამ დენიკლის ნიჭსაგან. მართლაც რა ჩქარა
 გადაკარგულ გუნდულიდამ „წმინდა კლენიღამ“ პა-
 რკელ ნაპოლეონის გვამი დიდის ამბით მოასვენეს
 პარიზში და დამარხეს ინკალიდების სხეში.

ეს კი უნდა ვთქვათ რომ შექმნეს ტიერა ყოველ-

თვის განვიცხავდა ნაპოლეონ III-ის მძლავრობას, მაგრამ ტიერის და იმის ამხანაგების განვიცხავებ ვერ ჩამოავდო ტასტიდამ იმათგან გადიდებული ნაპოლეონი. ამას მოჰყოლო ბოლო 1870 წ., როცა ის წაიყვანეს ტყვეთ პრუსსიელებმა. გამბეტამ, ჟულ-ფერდინანდმა და იმათ ამხანაგებმა ამოაჩვენეს ფრანციელებს დეპუტატები, რომელთაც უნდა შეედგინათ დროებითი მართებლობა და რძისთვის ბოლო მოეღოთ. ფრანციელებმა ამოიჩინეს თავის დეპუტატებათ, მხოლოდ პატრიოტები, ყოველგვარ პოლიტიკურ პარტიების გარეშე; ამათში უმრავლესობას შეადგენდნენ ძველ წესის მომხრეები და ხალხის თავისუფლების მტერნი. ამგვარად შედგენილმა ნაციონალურმა კრებამ თავის საქმე გაათავა: ამოიჩინა დროებითი მართებლობა და რძის ბოლო მოეღო. მაგრამ ნაციონალურ კრების იმ მწევრებმა, რომელთაც უშინოდან საფრანკეთში საყოველთაოთა რესპუბლიკა ან დაარსდესო, მოინდომეს ვინმე სელმწიფოთ აერჩიათ, და რადგანაც ამასე ისინი ვერ დათანხმდნენ ერთმანეთში (ზოგს ნაპოლეონი უნდოდა, ზოგს — შამბორი და ზოგს — რლეანის პრინციები), გადასწავლიეს ამ ბატონებმა: სანამ ერთმანეთში მოკრიგდებოთ სელმწიფის ამოსაჩვენებათ,

რესპუბლიკა გამოვაცხადეთ და იმის ძლიერ უტყრო-
 სათ დაესვით ვინმე ჩვენგანით. ამ დროს მართებლ-
 ბის თავით საფრანგეთში ტიერი იყო და იმის ვა-
 ლი იყო დაეთხოვნა ნაციონალური კრება, რომელ-
 საც შეესრულებინა თავის საქმე და მაინც არ იშლე-
 ბოდა. ტიერმა არ აასრულა ეს თავის ვალი, რად-
 გან თითონ ეჭვგარეშად ნამდვილი რესპუბლიკა და
 ეშინოდა, ახალი დემოკრატები რომ ამოვარჩევინო-
 ხლეს საყოველთაოთ მართებლობის დადგენისთვისაც
 ნამდვილი რესპუბლიკა დაარსდებოდა და თავისუფ-
 ლება გავრცელდებოდა მთელ ხალხშიც. მართლაც,
 ტიერს რომ დაეთხოვნა ნაციონალური კრება, დღეს
 საფრანგეთში დამკვიდრებული იქნებოდა ხალხის
 თავისუფლება, რომლის მტრები ათას სოროს მო-
 სპებნიდნენ დასამალავათ. მაგრამ ნაციონალური კრე-
 ბა არ დაითხოვა ტიერმა და ამ კრებამ საყოველთა-
 თ შეადგინა ისეთი კანონი, რომლის ძალითაც
 რესპუბლიკის ბედი მაკ-მაჭონის ხელშია და მაკ-
 მაჭონიც დიდი ხანია მონარხიელების ხელშია. ნა-
 ციონალურ კრებამ მისცა საფრანგეთს იმ გვირი კონ-
 სტიტუცია, რომლის ძალითაც ბროფის, ფურტუს და
 სხვა იესუიტებს შეუძლიანთ ვინც უნდათ საფრან-
 გეთის ხელშიწიფეთ ის დასვან. მართლაც, ნასეთ

რეგორ მრქმედობდა მაკ-მაჭანი. შარშან ამან სსუ-
 ნებულ კონსტიტუციის ძალით დაითხოვა დეპუ-
 ტატთა პალატა და უბრძანა ფრანციელებს: გამგე-
 ტას, ტიერს და იმათ ამხანაგებს რესპუბლიკელებს
 ნუ ამოიჩხვით, ჩემი მომხრენი ამოიჩხვით. მაკ-
 მაჭანი ხმარობდა უოკელ ღონისძიებას, რომ იმის
 ბრძანება ასრულდებოდა და მათლადაც ნახევრად
 ძინც ასრულდა. პალატაში სხალ ამოჩხვევის გამო,
 შართალია, უმრავლესობა კიდევ რესპუბლიკელებს
 ურგოთ, მაგრამ იმათ რიცხვმა იკლო და მაკ-მაჭანს
 მოემატა მომხრე პალატაში. მაკ-მაჭანი ფიქრობს
 და თითქმის ხმამალადაც ამბობს: „კონსტიტუ-
 ციის ძალით კიდევ დავითხოვ პალატას და ხალხი
 უფრო ჩემ მომხრეებს ამოიჩხვოს, მომავალ პა-
 ლატაში უმრავლესობა ჩემ მხარეს იქნება“. ამის
 პსუსხათ დეპუტატთა პალატა ამბობდა: «ხანამ მაკ-
 მაჭანი არ დაგვემოჩილებს, ხანამ ფუფს არ მიუ-
 ტემოთ იმას და ის თითონ თავის მინისტრებით და
 პრეფექტებით უჯამაგირებოთ დაჩხებიანო“. მაკ-მა-
 ჭანმა, იმისთვის რომ მიიღოს პალატისაკან ფუ-
 ლი, გამოაცხადა: მე ვემოჩილები რესპუბლიკელებს
 სალ და მინისტრებათ და პრეფექტებათ დანიშნულ-
 ნი იქნებიან სულ რესპუბლიკელები. ამით აღტა-

ცხადია მოსულა რესპუბლიკური პალატა და უკვე-
 ლია ის ბიუჯეტს მაკ-მაჭონს დაუმტკიცებს. მაკ-
 მიჭონიც, რაკი ის ჩაიგდებს ხელში ფულს, უკველია
 კიდევ დაითხოვს დეპუტატთა პალატას და იმდენს
 ეცდება, რომ სხვა და სხვა კანონიერ მოტყუებაებით
 მოძველი პალატა შესდგეს ძველ წესების მომხრეთა-
 გან, მონარსიელებისაგან. ყოველი ამგვარი ურიგო
 მოქმედება მაკ-მაჭონისა კანონიერი იყო და კანონიერი
 იქნება და ამაში ბრალი უნდა ჰქონდეს ტიერს, რომ-
 ძელმაც იმისთვის შედგენილ ნაციონალურ გრებს
 დააწერინა საყოველთაო კანონები საფრანგეთის-
 თვის.

ტიერს ყოველთვის უომნია მღვდლებთან, იეზუი-
 ტებთან და დაბალ ხალხთან მხოლოდ მდიდარ ვაჭ-
 რების სასარგებლოთ. ამაში უფრო კარგად დარ-
 წმუნდებით, რომ მოიგონათ ტიერის ეკონომიური
 აზრები. მგონია 1872 წელს ფული საშინლად
 სჭირდა საფრანგეთის მართებლობას და ახალ გა-
 დასასხადის შემოღება სჭირდა იყო. ბევრი ურჩევდა
 ტიერს, რომელიც მაშინ საფრანგეთის რესპუბლი-
 კის თავათ იყო, რომ შემოეღო იმისთანა კანონი
 რომლის ძალითაც სახელმწიფო ხარჯი უნდა გადა-
 ხადა ყველას თავის შემოსავლის დაგვარად. ამ გვა-

როი გადასასადი ბევრგან აწის და ვინ აწ იცნობს იმას სამართლიან გადასასადათ! მაგრამ ტიერი გაბრაზდა, სუყუკელანი სოციალისტები ხართო და მდიდრების შევიწროება გინდათო; მე კვლავ დავრჩები პრესიდენტათაო. ბევრი სვეწნა იყო საჭირო რომ ტიერი შერიგებოდა ნაციონალურ კრებას და დაჩხუნილიყო თავის ადგილას.

მაშ ხალხი რაღასა სწუხდა, რატო იმის მტერი მოკვდა? გადარეულებიც ხომ აწ აწინ პარტიული მუშები, რომ ვერ უცვნიათ თავიანთი მტერი და იმას პატივსა სცემენ. საქმე იმაშია, ჩემო მკითხველო, რომ მშვიერი ასჯერ მადლობას გეტყვით იმ ერთ ლუკმა პურისთვის, რომელიც იმას სრულებითაც აწ გააძლახს. ტიერი ხალხის მტერი იყო, მართალია, მაგრამ ის ამ მტრობაში როგორ შეედრებოდა იმისთანა ურცხვ, შეუპოვარ იეზუიტებს და საფლათებს, - როგორც ბროლი, ფურტუ, დიუკრო და სხ. სხვა რომ აწა იყოს რა, ტიერი დიდად ნიჭიერი კაცი იყო და თავის ნიჭით იმან მოუტანა სარგებლობა ამის დროს თავის სამშობლოს; ამის გარდა ამ პატარა კაცს იმდენად მაინც ჭქონდა თავის პატივი და სვინიდისი, რომ თავის სამშობლოს თავზე აწ დაჯდებოდა მაკ-მაჭონისაიდ

და არ ეტყოდან: „შენ რაღა გინდა თქვი და მე კი შენი ბატონი ვარა“. რანაირი შეუბოვარი და ურცხვი მმართველები (ჩუმი მანც) ჭყავს ესლა საფრანგეთს, ნასავთ თქვენ შემდეგ შემთხვევიდა: ამ რამდენიმე კვირის წინად ერთ სენატორს ეთქვა ბრალისათვის: „თუ მაკ-მაჭონი სუფოგელთვის მოიქცევა ეგრე უკანონოთ და ამოიწიკეს იმისთანა მინისტრებს, რომელნიც ვარლამენტს არ ეკუთვნიანო, ხალხს და ჯარებს შუა მოხდება შეტაკება, თვით ჯარებსში ჩამოვარდება ურთიერთ შორისოში“. ამასე ბრალიმ ცოცხლად მიუგო: ჩვენც ებ გვინდა, რომ რეკლამიუცია მოხდეს; მაშინ საყოველთაოთ მოვიშორებთ თავიდან ჩვენ მტრებს, ჩქარა ამოვუყუტო იმთანა“. ხალხს, რომელსაც ჭყავს ამისთანა მმართველები, რასაკვირველია ტიერცი კი ეგონება თავისუფლების ძეგარებულათ.

ტიერის სიკვდილის გლავით საფრანგეთის ხალხმა გამოიჩინა დიდი ზომიერება. იმას შესძლებისათვის მტერთან შერიგება, რაცა ელის ომი სსვა უარეს მტერთან. ამას იქით წადით და დაიჯერეთ ზოგიერთ ვაჟბატონის ქადაგება, რომ ვერაფრით ვერ დააკმაყოფილებ დაბალ ხალხსაო; ამან არ იცის დაფასება კაცის ჭკუის, კეთილ საქმის და შრომი-

სადა, ის ვერ გააჩვენებს ავს კარგისაგანაჲ. ჩვენ იმუ-
 ჯებულნი ვართ სულ სხვა აზრი ვიქონიოთ დაბად
 ხალხზედაც და უკეთეს საზოგადოებაზედაც: მარ-
 თალია იმათ ტრახახობით და გარეგნობით ვერ
 მოატყუილებთ, მაგრამ ბევრიც არ არის საჭირო,
 რომ ისინი დააკმაყოფილოთ, რადგან ისინი თავი-
 სუთლებას არას დროს არ გაუნებებრებია; და თუ
 ხალხი სან და სან მტრულად უტყქერის ზოგიერთ
 რაინდს, ეს იმიტომ მოხდება სოფლქ, რომ ამ რა-
 ინდს მხოლოდ რაინდული ტანისამოსი აქვს და თი-
 თონ გი მტარტკეღია. ეს გვიმტკიცებს, რომ სა-
 ზოგადოთ ხალხი ვერ ისე არ დავარდნილა, რომ
 თვალში ქქონდეს ჭკუა და ვერ ნახოს წითელ ნა-
 კერის ქვეშ შავი კატი შავი გულითა.

1877 წელს

14 დეკემბერს.

